

რათ ჩიტაჩავა
ქეთი ჯოტბორდი
ირინა ტაბალუა

} ჰოეზია

ოთარ გოგატადის მოთხრობები

ადა ნემსაძე - ბეჯა ქურხულის
რომანზე

თემო ჭახნაია - ლექსები
მშრალი ხიდის თემაზე

ოქტაი ქაზუმოვი - ქართული
ჰაგიოგრაფიის სწავლებაზე

სწავლა
1852
N2 2024

თქვაი ქაზუმოვი



ცისკარი

№2//2024

ლიტერატურული – საზოგადოებრივი
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომარტელი

პასუხისმგებელი რედაქტორი
თამარ გელიტაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
მარინე სიმეონიძე

დიზაინი
ირაკლი უშვერიძე

ჟურნალი გამდის
საქართველოს
კულტურისა და სპორტის
სამინისტროს ხელშეწყობით



საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო

ciskari1852@gmail.com
<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

სარჩევი

მრგვალი მაგიდა		თემო ჭახნაკია	53
განხილვა კრებულისა „კრიტიკა „ცისკარში“ (1957-1980 წლები)	3	მშრალი ხიდის თემა ქართულ პოეზიაში	
პოეზია		აქტუალური თემა	
რაულ ჩილაჩავა	10	ოქტაი ქაზუმოვი	58
პროზა		რამდენიმე მოსაზრება ჰაგიოგრაფიის სწავლების თაობაზე	
ოთარ გოგალაძე	15	დრამატურგია	
<i>მოთხრობები</i>		ბესო ხვედელიძე	64
პოეზია		ანტემი და რიტა	
ქეთი ჯოლბორდი	32	ახალი თარგმანები	
ირინა ტაბალუა	38	ელჩინ აფანდიევი	70
ხრიტიან-ესეისტიკა		ბალადადამის საქორწინო აბანო	
ადა ნემსაძე	44	აზერბაიჯანულიდან თარგმნა ოქტაი ქაზუმოვი	
„მოზელილ ტალახს შეყოლებული“ მოურჩენელი ტკივილები (ბეჟა ქურხულის „თვალდაკარგული ყიფჩაღის ჩანაწერები ანუ დემთი-ყიფჩაღი“)		ჯოის კეროლ ოუტსი	82
		ბედნიერი ინგლისურიდან თარგმნა მაია ბოლაშვილი	

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
ჟურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვ-
ლისთანავე განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბ-
ლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

წარსული თანამედროვეობის სამსახური –
მსჯელობის თემა:
ჯრეხული „არიბია“ „ცისკარში“ (1957-1980 წლები)

მანანა კვაჭანტირაძე – მეგობრებო, დღეს ჩვენ შევიკრიბეთ მრგვალი მაგიდის ირგვლივ, რათა ვისაუბროთ თემაზე – „თანამედროვე კრიტიკის ტენდენციები და 1957-1980-იანი წლების ჟურნალ „ცისკრის“ გამოცდილება“. ცხადია, 30-წლიან პერიოდს ქართული ლიტერატურისა, 1950-იანი წლებიდან 1990-იანების დამდეგამდე, სერიოზული დაკვირვება და ანალიზი სჭირდება. მოდის კრიტიკოსთა ახალი თაობა, რომელიც თავს, ძირითადად, (თუმცა არა მხოლოდ) ჟურნალ „ცისკრის“ გარშემო იყრის. გამოცემა, რომელიც ეძღვნება ჟურნალ „ცისკრის“ 170-ე საიუბილეო წლისთავს, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა — მოიცავს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პერიოდს, როცა სტალინური დიქტატურის შემდეგ ჩვენმა ლიტერატურამ ხელახლა იწყო წელში გამართვა. კრებულში თავმოყრილია ოცდასამი წლის მანძილზე ჟურნალში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილები, სადაც მკაფიოდ აისახება ამ პერიოდის ლიტერატურული ვითარება. ყველა, ვინც ამ ახლადგამოცემულ წიგნში ჩაიხედავს, მიხვდება, რომ პროცესი იყო აბსოლუტურად უწყვეტი, მიმდინარეობდა მკაფიოდ გამოკვეთილი მიზნით, დაებრუნებინა ქართული ლიტერატურა თავის ჩვეულ კალაპოტში, რომელსაც ის ასცდა. ამ თაობამ თავისი მისია შეასრულა. ეს იყო ნამდვილი ბრძოლა. მაღლობა მინდა ვუთხრა მათ ამ ყველაფრისთვის. მე მინდა დავიწყო ზოგიერთი აქცენტის გამოკვეთით. ამასთანავე, მინდა, რომ ამ ყველაფერს ჰქონდეს საუბრის, დიალოგის სახე და არა მონოლოგისა.

გურამ ასათიანის პირველი წერილის სახელწოდებაა – „წერილები თანამედროვე ქართული პოეტიკის შესახებ“. სათაურის ქვეშ მიწერილი – „იბეჭდება განხილვის წესით“ – შემთხვევითი ფრაზა არ არის. ის უკვე საბრძოლო შემართებით საპოლემიკოდ იწვევს დანარჩენ აუდიტორიას და მზადაა, პასუხი გასცეს ყველას, ვისაც სურვილი აქვს, ჩაერთოს ამ პოლემიკაში. მისი პირველი თეზა ასე გამოიყურება: ქართული ეროვნული მწერლობის აღიარება დიდ პროზად და პოეზიად, ეროვნული და საკაცობრიო მასშტაბით. მეორე თეზაა მემკვიდრეობის საკითხი. მესამე თეზა: მან გამოყო ვაჟას პოეზიის განსაკუთრებული ხასიათი და ღირებულებები. მეოთხე: ქართული ლექსის რეფორმაცია. ამ თემით შემოჰყავს „ცისფერყანწელები“ და მეოცე საუკუნის დასაწყისის მთელი ლიტერატურა. საბჭოთა იდეოლოგიურ სივრცეში მათი შემოყვანა იყო საოცრად სარისკო ნაბიჯი. ეს ხდება 1957 წელს, როდესაც სულ რაღაც ერთი წლით ადრე არიან რეაბილიტირებული „ცისფერყანწელები“ და მომხდარია 9 მარტის სტუდენტთა პოლიტიკური მანიფესტაცია. მისი გაბედულება აუცილებლად უნდა დავაფასოთ!

შემდეგ მეხუთე თეზა: ახალი ქართული პოეტიკის ფორმირება დაიწყო მანამდე, ვიდრე შეიქმნებოდა ქართული საბჭოთა პოეზია. მეექვსე: პირველად იწყება რევიზია იმ მცდარი მოსაზრებისა, რომ ახალ პოეზიას საერთო არაფერი აქვს დეკადენტურ-მოდერნისტულ მიმართულებებთან. აღდგენილია პოეზიის მემკვიდრეობითობის საკითხი.

და ბოლოს, დღეს, როგორც არას-

1. გაიმართა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში 2023 წლის 26 აპრილს



დროს, საჭიროა ოსტატობისა და ფორმის საკითხთა პირველ პლანზე წამოწევა და ამის შესახებ პრინციპული ლაპარაკი. ეს არის ძალიან საქმიანი სტატია და თუ ამ საქმეს უნდა ახლდეს გარკვეული ენერგეტიკა, რომელიც რალაც დოზით პათოსში მჟღავნდება, ეს სწორედ ის შემთხვევაა. ამის შემდეგ, ყველაფერი თითქოს ამ კალაპოტში მიდის, რალაც ახალიც ჩნდება, მაგალითად, ეთიკისტური კრიტიკის გზას კვალავს აკაკი ბაქრაძე, გურამ ასათიანი კი მხატვრული ოსტატობისა და ფორმის საკითხთა წინ წამოწევას უდგას დარაჯად.

პირველ სიტყვას ბატონ ამირანს გადავცემ, მან ყველაზე მეტი იცის ამ კრებულზე.

ამირან გომართელი – მოგესალმებით, მეგობრებო და კოლეგებო. ამ აუდიტორიაში, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა აქვს კრიტიკას ლიტერატურის განვითარებისათვის. ის, რომ ქართული კრიტიკა შედარებით გვიან შეიქმნა, ბუნებრივია არის. ჯერ მხატვრული ნაწარმოებები უნდა დაინეროს და მერე ეძლევა ასპარეზი სალიტერატურო კრიტიკას, თუმცა, ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას მაინც ძალიან დააგვიანდა, ფაქტობრივად, მე-19 საუკუნიდან იწყება. ქართული ლიტერატურისა და აზროვნების არსებითი ცვლილება, უნდა ვთქვათ, რომ არის დამსახურება ილიას კრიტიკული წერილისა – „ორიოდე სიტყვა...“ ერთმა კრიტიკულმა წერილმა მთლიანად შეცვალა ყველაფერი. რაც შეეხება ამ კრებულს: ჩემთვის რომ დაევალებინა ქალბატონ მანანას კრებულის მიმოხილვა, მეც გურამ ასათიანის წერილით დავიწყებდი. ამით იწყება ჩვენი კრებულის და მნიშვნელოვანია, რომ გურამ ასათიანის წერილი განახლებული „ცისკრის“ პირველივე ნომერშია დაბეჭდილი. ერთიც უნდა ვთქვა, ეს პირველი ნომერი პირდაპირ საოცრებაა. აქ იბეჭდება პირველად სრულად მიხეილ ჯავახიშვილის „მინის ყივილი“, გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები, აქ არის, მაგალითად, აკაკი ბაქრაძის წერილი, ოღონდ კინოზე. გურამ ასათიანის ამ ბრწყინვალე წერილში, ამ ერთ სტატიაში, როგორც წვეთში წყლის თვისება, ისე ჩანს მთელი

გურამ ასათიანი. სწორია ის აზრი, რომ ამით თითქოს საპოლემიკოდ და სამსჯელოდ იწვევს გურამ ასათიანი სხვებს, მაგრამ სხვა რამეც არის. ფაქტობრივად, ამ წერილით გურამ ასათიანმა 10-20-იანი წლების თაობის რეაბილიტაცია მოახდინა. იგი ამბობს ძალიან გაბედულ ფრაზას: თანამედროვე ქართული ლიტერატურა არ დანყებულა საბჭოთა ეპოქიდან, იწყება „ცისფერყანწელებიდან“ და მოდერნისტებიდან. თავს დიდხანს არ შეგანყენთ, მხოლოდ ის მინდა გითხრათ, რომ თითქმის არაფერი გამოგვიტოვებია, გარდა რამდენიმე სტატიისა, რომლებიც კონკრეტული ავტორების უსუსური ნაწარმოებების განხილვას ეხებოდა. კრებულში შევიტანეთ ალმანახ „კრიტიკაში“ გამოქვეყნებული გურამ პეტრიაშვილის წერილებიც, რომლებიც მართალია „ცისკარში“ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან დიალოგურ პოლემიკას ტარიელ ჭანტურიასთან (რომელიც „ცისკარში“ იბეჭდებოდა) ქართული პოეზიის საკითხებზე. ასევე, არლი თაყაიშვილის ცნობილი პოლემიკა მთარგმნელებთან. მწერლისა და ენათმეცნიერის, არლი თაყაიშვილის წერილი, ავტორის თვალსაზრისით, სალიტერატურო ენის სისადავისათვის ბრძოლას ისახავდა მიზნად და ამით იგი XIX საუკუნის 60-იანელთა პოზიციას იზიარებდა. მიიჩნევდა, რომ რევაზ თვარაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ზურაბ კიკნაძე, ზვიად გამსახურდია, თამაზ ჩხენკელი, გივი შაჰნაზარი და სხვანი ზედმეტად მიმართავდნენ არქაიზმებს. ამ მეტად საინტერესო პოლემიკაში, რომელშიც ჩაებნენ რევაზ თვარაძე, ზვიად გამსახურდია, ზურაბ კიკნაძე, არლი თაყაიშვილს უფრო ენათმეცნიერის პოზიცია უკავია.

თამაზ ვასაძე – მე ვფიქრობ, რომ აქ სწორედ არლის პოზიციამ გაიმარჯვა.

ამირან გომართელი – არა, გამარჯვებას ვერ დავარქმევთ. მე მგონია, ორივე მხარეს ჰქონდა თავისი ნახევარი სიმართლე. არქაიზმები ის უძველესი პლასტია, რომელიც დიალექტებთან ერთად ამდიდრებენ ენას. ამასთანავე, ანგარიში უნდა გაენიოს ფრაზის სილამაზესა და პოეტურობას. აკი შენიშნეს კიდევ არლი თაყაიშვილის ოპონენტებმა, თუ რაოდენ მომ-

ხიბლავია ზურაბ კიკნაძის ფრაზა, მის მიერ თარგმნილი „გილგამეშიდან“ – „ღიაცმა განახვნა ბაგენი“. ასე რომ, თამაზ ბატონო, ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენ-ჩვენი ნახევარი სიმართლე. ერთი კი აუცილებლად უნდა ითქვას, არლი თაყაიშვილის მიერ წამოწყებული გულწრფელი პოლემიკით ყურადღება გამახვილდა როგორც მთარგმნელთა ფრიად საინტერესო თაობაზე, ისე სალიტერატურო ენისა და თარგმანის საკითხებზე.

მანანა კვაჭანტირაძე – თამაზ, გთხოვთ.

თამაზ ვასაძე – ეს კრებული, მართალია, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაწერილ წერილებს შეიცავს, მაგრამ გვიჩვენებს, რომ ერთი ცუდი და დიდი ძალაუფლების მქონე კაცის სიკვდილს რამდენიმე სიკეთე შეიძლება მოჰყვეს. სულ რაღაც ოთხი წელიწადია გასული სტალინის სიკვდილიდან. რამდენი რამ იყო ჩახშობილი, რომელმაც უცებ ამოხეთქა და გაისმა ხმამაღლა; როგორი თავისუფლები არიან ეს ადამიანები, აბსოლუტურად თავისუფლები, თითქოს არც არსებობდა საბჭოთა კავშირი.

მანანა კვაჭანტირაძე – კითხულობ ამხელა კრებულს და მთლიანად თავისუფალია, მისხალი დათმობა არსადაა.

ამირან გომართელი – მაგალითად, გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებებში იმდენად არის უგულვებელყოფილი საბჭოთა ყოფა, რომ ვერც კი მიხვდები, ეს მოთხრობები საბჭოთა ეპოქაში თუ იქმნებოდა.

თამაზ ვასაძე – მომზადებული იყვნენ ამისთვის.

მანანა კვაჭანტირაძე – გურამ რჩეულიშვილს ხომ ამოუღეს ის ერთი ადგილი, დღეს ისტორიულადაც ბოლო დღეაო, რომ წერს. მერე მარინამ (რჩეულიშვილმა) ჩასვა უკან. უცებ, მოულოდნელად წერს ასე: ეს ისტორიულად ბოლო დღეა. როგორც ჩანს, ეს იყო მისთვის რაღაცის დასასრული.

თამაზ ვასაძე – ახლა ვთქვათ, რამ შეუწყო ხელი ამ სიცოცხლისუნარიანობას: ძალიან მაღალმა პროფესიონალიზმმა, ლიტერატურული ანალიზის დონემ, ლიტერატურაზე მსჯელობის მაღალმა კულტურამ. აბსოლუტური თავისუფლება, ავტორთან ურთიერთობის დიდი კულტურა,

კორექტულობა, არავითარი სიუხეზე, მაგრამ, ამავე დროს, სიმართლის თქმა, მართალი, ზუსტი შეფასებები, პოლემიკური განწყობაც მშვენიერი, არ არის შეურაცხყოფებზე აგებული, პიროვნული ფაქტორის ზედმეტად ჩართვით. შესანიშნავი პოლემიკური ტექსტებია და ძალიან თანამედროვედ იკითხება. აი, თუნდაც გურამ პეტრიაშვილისა და ტარიელ ჭანტურიას პოლემიკა ავიღოთ. უნდა გითხრათ, რომ გურამ პეტრიაშვილთან მეტ სიმართლეს ვხედავ. პოლემიკა ასეთია, შეიძლება ფორმალურად, ერთმა აჯობოს მეორეს, რაღაც თვალსაზრისი უკეთ დასაბუთოს. მაგალითად, არლი თაყაიშვილი, ასე ვთქვათ, ცოტა დაჩაგრეს რეზი თვარაძემ და ზვიად გამსახურდიამ იმიტომ, რომ ლიტერატურაში უფრო მეტად განსწავლული ხალხი იყო, არგუმენტები მეტი მოიშველიეს, უფრო ფართო თვალსაწიერი შემოიტანეს, მოიხმეს რაღაცები, რაც კარგად, შთამბეჭდავად გააკეთეს, მაგრამ, არსებითად, არლი თაყაიშვილი მართალი იყო. აშკარად გადაჭარბებას ჰქონდა ადგილი. მერე იყო დათო წერედიანის თარგმანი; არქაიზმები იქაც არის, მაგრამ ეს უფრო შეფერილობის მიცემაა. შეიძლება რომელიმე არქაული სიტყვა ერთი-ორჯერ ისე ზუსტად თავის ადგილას გამოიყენო, მთელი ტექსტი შეფეროს. მერე უკვე ამ ხაზმა გაიმარჯვა, რაც კარგია. მე მესმის იმ მთარგმნელებისაც. ენა ნელ-ნელა ღარიბდებოდა, იმ ძველ ქართულში კი იმხელა სიმდიდრეა, განძია, რომ არ გემეტება დასაკარგავად. ასევე მოხდა გურამ პეტრიაშვილის შემთხვევაშიც. ძალიან გაბედული და პირდაპირია მისი წერილი. როგორ გინდა, ტარიელ ჭანტურია გააჩუმო, აჯობო, ტარიელი ხომ ძალიან მარჯვეა, მახვილგონივრული იუმორის პატრონი, ძალიან ნაკითხი... მაინც გაიმარჯვა გურამის თვალსაზრისმა, კრიტიკიუმად დამკვიდრდა, რომ ცრუპოეტიზმები არ გვინდა, რაღაც საგანგებოდ შექმნილი პოეტურობა! უამრავი საინტერესო რაღაცაა ამ კრებულში. ოტია პაჭკორიას რამდენიმე წერილია დაბეჭდილი. საინტერესოა მისი წერილი ნოდარ დუმბაძეზე. ძალიან სადაა. ასეთი ადეკვატური წერილი იშვიათია, როგორ ახერხებს ამას?! არც

არაფერი დააკლო, არც არაფერი მოუმატა, ასე წერას ძალიან დიდი პროფესიონალიზმი სჭირდება, დიდი ალლო და სინდისი. ასეთი დონის პროფესიონალები არიან თავმოყრილნი ამ კრებულში.

ერთსაც ვიტყვი და დავასრულებ. ამ კრებულით კრიტიკოსების არაჩვეულებრივი თანავარსკვლავედი იკვეთება, ლიტერატურაში ერთად მოსული ნიჭიერი ხალხისა. ამას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, თავად მხატვრულ ლიტერატურაშიც ერთბაშად მოვიდა ბევრი ნიჭიერი მწერალი. ორივე მხრიდან იყო სიახლე და რეზულტატი დაიდო შესანიშნავი. სინერგია მოხდა. სულ ეს მინდოდა მეთქვა, ბატონ ამირანს დიდი მადლობა წიგნისთვის.

მანანა კვაჭანტირაძე – მე, მაგალითად, გაცემული დავრჩი შთაბეჭდილებით, რომელიც ამ წიგნმა მოახდინა. თითქოს ყველაფერი ნაკითხული მქონდა, ეს ხალხი ვიცოდი, ვაფასებდი და უცებ სრულიად ახალი კუთხით წამოიმართნენ, სრულიად განსაკუთრებულ ხარისხში, კიდევ უფრო აღმატებითში, ვიდრე მანამდე.

მაკა ელბაქიძე – ერთი კითხვა მაქვს. ცხადია, თამაზმა სწორად აღნიშნა, როდესაც ლიტერატურაში მოვა დიდი ძალა, კრიტიკაშიც იგივე მოხდება, თანაფარდობა. „ოტტეპელი“ დაიწყო, აი, ლია დამეთნხმება (ბაშალეიშვილი), მოსკოვიდან არის ახალი დაბრუნებული, წლების განმავლობაში ლომონოსოვის უნივერსიტეტში მუშაობდა, როგორი ნაკადი წამოვიდა რუსულ მწერლობაშიც. უცებ თითქოს დახშული კარი გაიღო და გამოცვივდნენ ვოზნესენსკი, ბელა ახმადულინა, სიახლეები წამოვიდა თეატრში, კინოში...

მანანა კვაჭანტირაძე – ხრუმჩოვიც ვერ შევლოდა საქმეს. მკაცრად აკრიტიკებდა რალაცებს, მაგრამ უკვე გაირღვა ეს...

მაკა ელბაქიძე – ჩემი კითხვა ესაა, „ოტტეპელი“ რომ დაიწყო და ძალიან მიუშვეს, თითქოს ყველას დაავინყდა 30-იანი წლები, მერე იმავე ხრუმჩოვმა გამოფენა რომ დაარბია, ფეხსაცმელი ურტყა, ხომ არ დაიხმო ეს თავისუფალი სივრცე ისევ?

მანანა კვაჭანტირაძე – არა, მხოლოდ ცალკეული შემთხვევა იყო ასეთი, თავისუფლების სუნი რომ იგრძნეს ადამიანებ-

მა, მერე უმართავი გახდა პროცესი.

ლია ბაშალეიშვილი – რუსეთში რალაცნაირად მაინც მოხდა ამ პროცესის დამუხრუჭება. აი, მე ერთ მაგალითს გეტყვით: ქართული კინო, მოგეხსენებათ, მაშინ არენაზე გამოდის, მასზე მთელი სერია მიდის კრიტიკის ისეთი ცნობილი კრიტიკოსების მიერ, როგორიც იყო, მაგალითად, იური ბოგომოლოვი – *Грузинское кино: отношение к действительности* – ანუ, სიმართლესთან დამოკიდებულება, ანუ რეალიზმის პრობლემა. ეგ პრობლემა ყოველთვის იყო ქართველების გასალახი ჯოხი, რომ რეალიზმი არ გამოგვდის, სინამდვილეს გავურბივართ, ასახვა არ ხდება სოციალისტური აღმშენებლობისა და ა.შ. დაწყებული ელდარ შენგელაიას „არაჩვეულებრივი გამოფენიდან“ და „დიდი მწვანე ველიდან“, აკრიტიკებდნენ ყველას. მერე არაჩვეულებრივი პასუხი გასცეს ქართველმა კინემატოგრაფისტებმა (ელდარ შენგელაიამ, გიორგი შენგელაიამ, ოთარ იოსელიანმა), რომ მითოსური აზროვნება არასოდეს ნიშნავდა რეალობიდან გაქცევას, იშველიებდნენ ლოსევსა და სხვებს... მაგრამ მუხრუჭების მოჭერას მართლაც ჰქონდა ადგილი და დაიწყეს კინოთი, რადგან კინო იდეოლოგიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია, უფრო მასობრივი და საშიშია. მოგვიანებით ისე მოხდა, რომ გავიცანი ეს კრიტიკოსი, საკმაოდ ნიჭიერი კაცი და ვკითხე, ასე რატომ წერდით, თქვენ ხომ ჩემზე კარგად იცით, ის ფილმები დიდებული იყო. დავალებით ვწრდით, სრულიად თავისუფლად, აბსოლუტურად ჩვეულებრივად მიპასუხა.

მანანა კვაჭანტირაძე – იმასთან დაკავშირებით, რომ მითოსი არ ნიშნავს რეალობიდან გადახვევას, ჩემს არგუმენტს გეტყვით. ლევი-სტროსი ამბობს, რომ მითი არის ძველი ადამიანის სოციალური პრობლემების მოგვარება არაპირდაპირი, რიკოშეტის წესით. ჩვენი პრობლემები ოთარ ჭილაძემ მითით ასახა. ყველა შემთხვევაში, მითს მიმართავ მაშინ, როდესაც რალაცის თქმა პირდაპირ არ შეგიძლია. ჰოდა, ესეც ხომ იგივე რეალობის პრობლემაა?

ლია ბაშალეიშვილი – რა თქმა უნდა, მაგრამ ის გეუბნება, რომ სოციალისტურ

შეჯობრებაზე არ წერ, საბჭოთა რეალობაზე არ წერ... სულ სხვა პრობლემებია.

ამირან გომართელი – ქალბატონ ლიას მინდა გამოვეხმაურო. იმ რუსი კინოკრიტიკოსის წერილი, თქვენ რომ ახსენეთ, მთლად სიმართლისაგან დაშორებული არ არის. იმის გამო, რომ კინოში უფრო ძნელი იყო სიმართლის თქმა, ქართულმა კინომ მიმართა რომანტიზებას, რამაც შემდგომში ცუდი შედეგებიც მოიტანა. რომანტიზების გამოდევნების შედეგად საკმაოდ ბევრი სუსტი ფილმი შეიქმნა. რა თქმა უნდა, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „ნატვრის ხე“, „შერეკილები“ შედეგებია, მაგრამ აქ სინამდვილე რომანტიზებულია. მაპატიეთ, მაგრამ მითის გამოყენება მეორეულ პლანად და ამ გზით აზრობრივი შინაარსის გამოხატვა, ლიტერატურისაგან განსხვავებით, კინოში შეუძლებელია. კინო არ არის მრავალპლანოვანი, რადგან აქ მთავარია გამოსახულება, ის, რაც ეკრანზე ჩანს. გამოსახულებას კი არ შეიძლება ჰქონდეს მეორე ან მესამე პლანი. ის, რაც ლიტერატურულ ნაწარმოებშია, სადაც მეორეული პლანის მეშვეობით იქმნება ქვეტექსტი და სწორედ ამ ქვეტექსტითაა გამოხატული უმთავრესი შინაარსი. მაგალითად, „მთვარის მოტაცებაში“ ენგური არის რევოლუციის სიმბოლო, თავად კონსტანტინემ თქვა ეს რომანის განხილვაზე 1936 წელს და აკაკი ბაქრაძემაც დაადასტურა „მითოლოგიურ ენგადში“. მეტიც, აკაკი ბაქრაძის აზრით, მთავარი გმირის წყალში დაღუპვა ნიშნავს ხელახალ აღორძინებას. ენგურის ეპიზოდი გადაღებულია თამაზ მელიაშვილის ფილმში „მთვარის მოტაცება“, მაგრამ აქ ენგური არც რევოლუციის სიმბოლოა და არც კვდომა-აღორძინებისა. ერთი წყალუხვი მდინარეა და სხვა არაფერი. აქ გამოსახულება გიმორჩილებს. ასე რომ, კინოს სხვა სპეციფიკა აქვს. კინოენა განსხვავებულია ლიტერატურის ენისაგან. ქალბატონო ლია, ჩანს, თქვენ კარგად იცით მაშინდელი პოლემიკა, ძალიან საინტერესო წერილებია... მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ქართულ კინოში მოჭარბებული რომანტიზების გამო, არცთუ იშვიათად, სიმართლე იმალებოდა, ამიტომ რეალობასთან დაკავშირებული ის შენიშვნა მთ-

ლად საფუძველს მოკლებული არ იყო. რა მივიღეთ, როდესაც ასეთ რომანტიზებას მივმართეთ? საბოლოოდ მივიღეთ ფილმი რაჭველებზე – „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“.

გია არგანაშვილი – რატომ? მივიღეთ „არასერიოზული კაცი“.

ამირან გომართელი – კარგად გამიგეთ, ბატონო გია, ბევრი „ხალტურა“ მოჰყვა კინოში ამ რომანტიზებას. ისევე, როგორც აკაკის პოეზია გენიალურია, მაგრამ მისმა მიბაძვამ „ცისფერყანწელებსა“ და გალაკტიონამდე მოამრავლა უნიჭო ეპიგონები.

მანანა კვაჭანტირაძე – ბატონო გია, გთხოვთ.

გია არგანაშვილი – ტენდენციებზე იყო აქ საუბარი და მინდა, რაც ახლა ჩვენში ხდება, ამ ტენდენციებში ჩავართო. ამ კრებულის გამოცემა, რომელზედაც დღეს ვსაუბრობთ, მე ასე მესმის: ორმოცდაათი წლის შემდეგ, მაგრამ ქვეყნის დამოუკიდებლობიდან ოცდამეათე წელს, ჩვენში დგება შეფასების ამოცანა. ქალბატონ მანანას ვეთანხმები, დიდი ეპოქა იყო და გურამ ასათიანმა სცადა, ფაქტობრივად, ერთგვარი ხიდი გაედო. შეიძლება ითქვას, მან მთლიანად უარყო სოცრეალიზმი, როდესაც თქვა, რომ ყველაფერი მოდერნიზმიდან გამოდის, მისით იწყება, მაგრამ არანაკლებია პროზა, იმიტომ, რომ ოცდაათიანი წლების პროზა ძალიან მაღალ ნიშნულზე ავიდა უკვე. მერე დიდი ჩავარდნაა და 1957-დან ხდება აღორძინება. გურამი, როგორც კრიტიკოსი, არის ამის ნიშანი. ამ დროს იწერება ერლომ ახვლედიანის „ვანო და ნიკოც“, რომელიც არ იბეჭდება საქართველოში, სამწუხაროდ. არჩილ სულაკაური იწყებს ამ ახალ ეპოქას.

როგორც გადავხედე, კრებულში გამოკვეთილად არის ოთხი კრიტიკოსი: გურამ ასათიანი, აკაკი ბაქრაძე, რეზი თვარაძე და ოტია პაჭკორია. აბსოლუტურად ვეთანხმებით იმაში, რომ ოტია პაჭკორია ხელახლაა შესასწავლი. დანარჩენი სტატიები კონკრეტულ ნაწარმოებს ეხება, ამათი უფრო ზოგადია, არაჩვეულებრივი ტენდენციებია...

მანანა კვაჭანტირაძე – ადა ნემსაძეს ვთხოვ კრებულის მიმოხილვას.

ადა ნემსაძე – დავეთანხმები აქ გამომსვლელებს. რომ არ იცნობდე ამ წერილებს, არ იცოდე, რომ საბჭოთა პერიოდშია დაწერილი, იმ დროს, როდესაც სულ ახალი გარდაცვლილია სტალინი, ვერ მიხვდები, იმდენად თავისუფლია აქ დაბეჭდილი ქართული კრიტიკა, კვალციკი არ შეინიშნება სოცრეალიზმისა. რამდენიმე სტატიას გამოვყოფ, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

გურამ ასათანის სტატიაზე უკვე საკმაოდ ითქვა. 1959 წელს რევაზ თვარაძე წერს კრიტიკულ სტატიას – „დიდი ლიტერატურის კარიბჭესთან“, რომელიც წარმოადგენს რამდენიმე წლის წინ დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის აღმანახ „პირველი სხივის“ მეხუთე-მეექვსე ნომრების მიმოხილვას, რაც, ამავედროულად, ლიტერატურული პროცესის შეფასებისა და ტენდენციების გამოკვეთის ცდაცაა. პოეზიის იმავე ტენდენციას, რომელზეც რევაზ თვარაძე საუბრობს, შენიშნავს თამაზ ჩხენკელი სტატიაში „პოეტის პირველი ნიგნი“, წერილი კი ოთარ ჭილაძის პირველ ლირიკულ კრებულს – „მატარებლები და მგზავრები“ – ეხება. ნოდარ დუმბაძის პროზის ძირითადი ასპექტებია განხილული ოტია პაჭკორიას სტატიაში „სოფლელი ბიჭი“, ავტორის იუმორი და ამის მიღმა დასმული სერიოზული პრობლემები: სიყალბე და ფსევდო-კულტურული ატმოსფერო.

თანამედროვე პროზის კიდევ ერთ ტენდენციაზე საუბრობს კობა იმედაშვილი სტატიაში „ოტია იოსელიანის ნოველები“. ესაა პროზის ლირიზმი, ლირიკული ელემენტის შეტანა პროზაულ ტექსტში, რაც მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული პროზის ერთ-ერთი ნიშანი იყო და შემდეგ დაიკარგა სოცრეალიზმის ეპოქაში, დღეს ჩვენთვის უკვე ნაცნობი და გასაგები მიზეზების გამო. 60-იანი წლებიდან ეს ტენდენცია კვლავ იჩენს თავს და მის დასტურად კრიტიკოსს მოჰყავს ოტია იოსელიანის ნოველები.

საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი, რომელსაც შენიშნავს 60-იანი წლების კრიტიკა – გაბატონებული მეშჩანობა საზოგადოებაში და ამ პროცესს დაპირისპირებული ახალგაზრდობის სი-

უსუსტე. მე აქვე გავიხსენებდი ოთარ იოსელიანის ფილმ „აპრილს“ (1962), რომელიც ასევე მომხვეჭელობისა და ქონებით ტკობის წინააღმდეგაა მიმართული და დროშიც ზუსტად ემთხვევა აღნიშნულ მოთხრობებს.

ძალიან საინტერესოა ოტია პაჭკორიას სტატია „შუადღის ილუზიები“, რომელიც პირდაპირაა ნათქვამი, რომ დადგა „ახლებური წერის“, ახალი ფორმების შემოტანის დრო და ეს პროცესი დაიწყო კიდევ ჩვენს ლიტერატურაში. აქვე უკვე პირდაპირაა ნათქვამი – თანამედროვე ლიტერატურამ დაძლია სოცრეალისტური პერიოდი, რასაც აღიარებს 60-იანი წლების კრიტიკა, როგორც არასწორს, დამაზიანებელს, თაობათა დამაპირისპირებელს და სიახლეების შემაფერხებელს. კრიტიკოსი გამოთქვამს იმის იმედსა თუ ვარაუდს, რომ, შესაძლოა ჩვენ, ერთგვარად გარდამავალი ლიტერატურული თაობაც კი ვიყოთ, რომელიც ახალ გამომსახველობით ფორმებსა და თვისობრიობას ეძებს და ნიადაგს ამზადებსო, რაც ზუსტად ახდა კიდევ.

ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებო წერილებია შესული კრებულში, რომელიც ცხადად დაგვანახებს ეპოქის მაჯისცემას. დასკვნის სახით კი შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: სამი ათეული წელიც არ იყო გასული სოციალისტური რეალიზმის დოქტრინის ოფიციალური გამოცხადებიდან, რომ განახლების დასაწყისი უკვე იგრძნო ქართულმა კულტურამ და კერძოდ, სალიტერატურო კრიტიკამ. ამის თვალნათლივი დადასტურებაა 1957 წელს აღდგენილი ჟურნალი „ცისკარი“.

ზოია ცხადაია – მინდა ვთქვა, რომ შეცდნენ ძალიან ღია სტურუასთან მიმართებით, ვერ დაინახეს, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, თუნდაც საინტერესო მომავლის პოეტად.

მანანა კვაჭანტირაძე – რთული ლექსების ტენდენცია გამოიწვია პოეტური აზროვნების გართულებამ, განსჯის ელემენტის მოჭარბებამ, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა მუსიკალური ელემენტის დაჩრდილვა. მეორე იყო დასავლური პოეზიის გავლენა და მესამე, გალაკტიონის ფაქტორი, რომელმაც ამოწურა

ლექსის მუსიკალური შესაძლებლობები. მისთვის გადაჭარბება, უკეთესის დაწერა შეუძლებელი იყო. ამიტომ შემოდის ვერლიბრი, ურითმო ლექსი. ეს ავტორები რითმის წინააღმდეგნი კი არ არიან, მაგრამ ხედავენ უკიდურესი გამარტივებისა და გაუბრალოების ტენდენციასა და საშიშროებას. ამიტომ წერენ ამ ლექსებს.

ჩემთვის შევეცადე ამეხსნა რეზი თვარაძისა და გურამის (ასათიანის) დამოკიდებულება ლია სტურუას პოეზიის მიმართ. მე ვფიქრობ, ამ პერიოდში, ლიას ლექსები არ იყო ის, რაც მერე, 80-იან წლებში წამოვიდა. ამათ უბრალოდ ვერ მოასწრეს ლიას საუკეთესო ლექსებზე გამოხმაურება.

ზოია ცხადაია – გურამ ასათიანი ძალიან წინააღმდეგი იყო, ისეთნაირად მიანიშნა, რომ ეს იყო მისთვის ძალიან უცხო და მიუღებელი...

მანანა კვაჭანტირაძე – ოღონდ არა ვერლიბრის წინააღმდეგი. იმიტომ რომ, ამავე პერიოდში, ის წერს ძალიან სერიოზულ წერილს, კარგ გამოხმაურებას ბესიკ ხარანაულის „ხეიბარ თოჯინაზე“. კიდევ ვამბობ, ვერლიბრს, როგორც ასეთს, კი არ ებრძოდნენ, არამედ მასში დაინახეს ლიტერატურული სნობიზმის ელემენტი, რაც, მათი აზრით, ქართულს არ უხდებოდა. მე ვფიქრობ, ლია ჯერ კიდევ მუშაობდა ამ ყველაფერზე და მისი საუკეთესო ლექსები ოდნავ მოგვიანებით დაიწერა.

თამაზ ვასაძე – რაც თამაზ ჭილაძის პროზაში არ მოსწონდათ, იგივე არ მოსწონდათ პოეზიაში ლიასთან.

მანანა კვაჭანტირაძე – ისინი რომ ქართული ლიტერატურის მოკეთებები იყვნენ, ისეთი ნეტა ბევრი გვყავდეს... ლია სტურუა არის ძალიან სერიოზული პოეტი, რომელიც ვილაცას შეიძლება არ მოსწონდეს. ჩვენ ცოტა სხვაგვარ ლექსს ვიყავით მიჩვეულები ტრადიციულად, მაგრამ ლიას პოეზია არის ინტელექტუალური პოეზია, შესანიშნავი.

მაკა ელბაქიძე – სანამ დავასრულებთ, მინდოდა, ერთი რამ მეთქვა. რამდენიმე წლის წინ საგრანტო პროექტში ვმონაწილეობდი: „ქართული ლიტერატურა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მეცნიერებაში“. თარგმნებს ეხებოდა. პრალაში

ვიყავი მივლინებით, იქაურ ბიბლიოთეკაში. ძალიან სიმპათიურმა ბიბლიოთეკარმა გადმომიღო 60-70-80-იანი წლების ჩემ კრიტიკოსთა მიერ ქართული ლიტერატურის შესახებ დაბეჭდილი წერილები. სხვათაშორის ძალიან სერიოზული, ცნობილი ლიტერატურათმცოდნეები არიან...

მანანა კვაჭანტირაძე – კი, ნამდვილად, სწორედ ჩეხეთის პენკლუბმა წარადგინა პირველად 1994 წელს ოთარ ჭილაძე ნობელის პრემიაზე დამოუკიდებლად ისე, რომ საქართველოში არავინ არაფერი იცოდა.

მაკა ელბაქიძე – თარგმანები რომ ვნახე, გავოგნდი, რამდენჯერმე იყო გამოცემული ჭილაძეები, ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ დოჩანაშვილი. ვიკითხე, როგორც სოციალისტური ბანაკის წევრებს, ვალდებულება გქონდათ, ალბათ, მათ შორის ქართული ლიტერატურაც ასეთი სიხშირით გეთარგმნათ-მეთქი? იმ ქალბატონმა მიპასუხა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თქვენი ავტორები როგორი ლალები და თავისუფლები იყვნენ, ჩვენ ვინ მოგვცემდა იმის დაწერის უფლებას, რასაც თქვენები წერდნენ? ჩეხური ლიტერატურა 60-იან წლებში, როცა ტანკები შემოიყვანეს, მოკვდაო. ამიტომ გამორჩეულად უყვარდათ და მოსწონდათ ქართული ლიტერატურა.

მანანა კვაჭანტირაძე – მახსენდება, ბოლო ხანებში, 1990-იანების მერე, როდესაც ოთარ ჭილაძე გერმანულ ენაზე ითარგმნა, იქ ვილაცამ დაწერა, რომ თუკი ასეთი რამეები იწერებოდა საბჭოთა კავშირში, არც ისეთი მკაცრი რეჟიმი ყოფილაო. ეს ყველაფერი ადასტურებს ჩვენი დღევანდელი „მრგვალი მაგიდის“ პათოსს: 1957 წლიდან ქართულმა ლიტერატურამ და კრიტიკამ სრულიად უკუაგდო სოცრეალიზმი და გახდა თვისობრივად ახალი, გაბედული.

ამირან გომართელი – სანამ დავასრულებთ, ბოდიში უნდა მოვიხადო. ერთი რამ არ მითქვამს. კრებულის შედგენაზე ასევე მუშაობდნენ თამარ გელიტაშვილი და თეა თვალავაძე. ასე რომ, ჩემთან ერთად მადლობა ეკუთვნით ამ ქალბატონებსაც.



რაულ ჩილაჩავა

ჩემი აივანი

აივანს ჩემსას მე დავარქევი „ტრფიალის ბუდე“,
რომლის კუთხეშიც ჩიტებივით ვართ მიყუჟული,
თითქოს სოფლურად გარს გვავლია ღობე ტყრუშული
და ვარსკვლავები ჰგვანან ცაში ასროლილ ქუდებს.

მხოლოდ ჩვენ ვიცით სხივთა მათთა მიმართულება,
და როცა ოქროს ელვარება მოგვწვდება მაღლით,
მოგვენატრება თივის ზვინი ალერსით დაღლილთ,
ახდება ყველა ლეგენდა და ყველა თქმულება.

მერე – სიმშვიდე. სიმყუდროვე. ხმა არსაიდან.
მოპირდაპირე მინის სახლის ლურჯი პროფილი.
ჩვენ ერთმანეთის მაჯისცემით ვართ კმაყოფილი
და აქ მომავალ თავშეყრამდე ცაში, ჰაიდა!

წაახრიგინებს ჩავლილ წყენებს ფიქრის რონოდა,
და მოვა ჟამი შერიგების, როცა არ ელი...
ხომ იქნებოდა ჩემი ყოფა გაუხარელი,
ეს პანანინა აივანი რომ არ მქონოდა!

შენს ნამდვილ მარჯრებს დილა დაადგანს...

გათენებამდე ყოველთვის რჩება
დასაფიქრებლად წუთი თუ წამი.
(აქ მნიშვნელობა არა აქვს ამინდს,
არც ცის და მიწის წინწილს და ებანს!)

მთელი ცხოვრება გაგირბენს თვალწინ,
შავ-თეთრი ფერით, – კარგით და ავით

და სანამ სიზმრად გგონია თავი,
იტყვი: მე ვივლი სხვა გზებით ანი!

და ისევ ჩათვლემ... მორფევის ნებით
სხვა სამყაროში გადასახლები.
(სიზმარო, ძილში ცხადად საღებები
და გაღვიძებულ თვალებში დნები!)

შენს ნამდვილ მარშრუტს დილა დაადგენს,
და შენც მის ნებას საკმევლს უკმევ,
რადგან უშენოდ გადანყდა უკვე,
საით ნახვიდე, რა გზას დაადგე!

მოძმა, მოჯათე, მონათესავე...

აქ სულ ასეა: ხან წვიმა მოდის,
ხან თოვლია და ხან ქარებია.
მე კი არ მტოვებს არც ერთი სევდა,
რაც გულს ოდესმე გაჰკარებია.

და მაინც ვსუნთქავ, მაინც ვარსებობ,
რაც მეტ ხანს ვცოცხლობ, უფრო მინდება,
ვუყურო ამ ცას, ამ მინას, ამ ზღვას,
თორემ ისედაც აბიბინდება,

ერთხელ ნაძვებქვეშ პატარა ბორცვი,
რაც უკვე ზუსტად მონიშნულია...
ჯერ ბოლო თარიღს ბურუსი ფარავს,
სხვა დანარჩენი ისეც ნულია!

და როცა წვიმს და როცა ქარები
გარშემო თოვლის ფიფქებს თესავენ,
მე ვგრძნობ, მე ვხვდები, ვარ სამივესთვის
მოძმე, მოკეთე, მონათესავე.

ჰელიოს!

მზეს რა შევწირო? – არადა ითხოვს
მზე რა ხანია ჩემგან თავის წილს.
მე მის სხივებქვეშ ლამის დავინვი
და ცოცხლებს შორის არცა ვარ თითქოს.

არადა მზისთვის საკადრი ძღვენი
კაცს როგორ უნდა გამოგელიოს,
შუქჩაუმქრალო კერპო ჰელიოს,
შენ ჩემ ცხოვრებას გვირგვინად შვენი.

მერე რა, თუკი არ ჩანხარ ღამით,
ჩემი და-ძმები – ვარსკვლავთა ჯარი,
მაფენს სიკეთის იდუმალ არილს
და მიორთქლდება ცრემლები ნამი.

ფაეტონივით შევაბამ ნაბლა
ცხენებს კოსმოსურ ეტლში და ჰერი!..
როცა დადგება დამსხვრევის ჯერი,
მეტეორებად წამოვალ დაბლა!

რის შელავათი, რის ფასდასაღება!..

მე ბოლოს მაინც შენთან მოვედი,
თითქოს გზაც აქეთ მედო ოდითვე.
შენს ოდას მე ვცემ პასუხს ოდითვე,
და ხმაურს ვახშობ სიმყუდროვეთი.

სიმართლე რომ ვთქვა, კი მიკვირს ისე,
როგორ ვიცხოვრე უშენოდ დღემდე.
და თოვლისა და ქარიშხლის შემდეგ
უწინდებურად არ ვიტყვ კისერს.

მე ერთნაირად მახარებს ახლა
მზის ამოსვლა თუ ამოსვლა მთვარის.
ო, სიყვარული ზიდვაა ჯვარის,
რომელსაც დიდი სიამეც ახლავს!

ბედი მილიმის (რა გვიან მივხვდი!),
როდესაც თვალწინ ცა იფაკლება!..
რის შეღავათი, რის ფასდაკლება,
ყველა დანახარჯს ბოლომდე ვიხდი!

მიჯაჭვულობის ხანონი

მიზიდულობის კანონის გარდა
მიჯაჭვულობის კანონიც არის,
როდესაც დგახარ სიამის კართან
და გენატრება გალება კარის.

კაკ-კუკ!.. – აქა ვარ! სუნთქვაშეკრული.
მე ვაყურადებ შენს ყოველ ნაბიჯს.
ხან მწვავს ქართული, ხანაც მეგრული
და მშველის მხოლოდ ტრფიალის აბი!

ეს გაზაფხულიც უცებ მოვარდა,
როგორც მთებიდან ღვარცოფი შმაგი.

ვით პირმშო დღეთა ტკბილსახსოვართა,
ვკოცნი რიჟრაჟებს დაშაშრულ ბაგით.

მოაქვთ ხალისი აისის ფერებს,
მათ ვერაფერი გააქრობს, ვერა!...
მე სიყვარული მწამს, ვიცი, მჯერა,
როგორც სიცოცხლე სიკვდილის მერე!

მე ჰხადავ სიყრმის დედაქალაქს, წლახით დათოვლილს...

მე ისევ იქ ვარ, იმ თბილისში, იმ სიზმარეთში,
სადაც არავინ აღარ დარჩა ძველი დასიდან
და ცრემლების ზღვამ სევდის ტალღა ცამდე აზიდა
და ორად-ორი მარშრუტი მაქვს მხოლოდ: „გარეთ-შინ!“

მე აქ მოვედი ყინვების და თავსხმების მერე
და დამხვდნენ მხოლოდ ლანდები და სილუეტები.
ასე მგონია, თითქოს ლობე-ყორეს ვედეები,
როცა გარშემო „რექვიემის“ ჰანგები ჟღერენ.

დასრულდა დოღი, მარათონი, ვნებათა რალი,
ჩადგა გრიგალი ეჭვების და ღამეთა თევის.
თავის ბუნაგში წევს დაღლილი ტრფიალის დევი
და არ ადარდებს ამ სანუთროს ცოდვა და ბრალი!

– ეს თბილისია? – თბილისია! – პასუხობს მტკვარი.
აქეთ კუს ტბაა, იქით – ლისი და ხუდადოვი.
მე ვხედავ სიყრმის დედაქალაქს, წლებით დათოვლილს
და ჩემი ბინის რკინის კარებს აწყდება ქარი!

ჯახირი

ქარმა სიჩუმეს ჩაულენა დილით ფერდები,
შეიფრთხილეს ჩიტუნებმა ხის კენწეროდან.
მე მომეჩვენა: თითქოს დაფრთხა გუნდი წეროთა
და გულში გამკრა სინანულმა, ვაჰმე, ვბერდები.

კვლავ ვერ ვიგრძენი, დედამინა როგორ ტრიალებს,
ამასობაში მერამდენედ ისევ გათენდა.
და კერის კვამლი, ბავშვობაში ცრემლს რომ მადენდა,
არაა უკვე სავერანე და სატიალე.

თვალეებმა თითქოს შემლადადეს: სიზმრებს მიხმეთო,
მე კი ჯერ კიდევ ძილ-ღვიძილის უმწეო ტყვე ვარ
და სანამ ჩემში დანყებულა ქსოვილთა რღვევა,
გთხოვ, ერთხელ კიდევ დამიფარე, ფიქრის მიღმეთო!

ჭრიალებს ჭაზე ონინარი, ზმუის ნახირი,
ხურმაზე რომ ზის მოწყენილი, ეზოს ყვავია,
ჩემი სიცოცხლე ხელში კვლავაც ცას უკავია
და რასაც ახლა დაბლა ვხედავ, ჰქვია ჯახირი.

მოლოდინი

მთავარი არის მოლოდინი... როცა სხეული
ჰყავთ ტყვეობაში ნეტარების ფლუიდებს... როცა
შეყრას მთრთოლვარე ბაგეებით უსიტყვოდ ლოცავ,
ოცნებად ქცეულ სურათისკენ პირმიქცეული.

გაკრთობს ნიავის დაქროლება ანაზდეული,
თითქოს ღვთიური ბგერა დასცდა უეცრად მოცარტს,
შენ კი გიჭირავს ხელში ღვინის ნაკურთხი ბოცა
და თუმც მარტო ხარ, არ გგონია თავი ეული.

ბედნიერების ჰორმონები ცეკვავენ ტანში,
და ჯერ განუცდელ განცდებს თრთოლვით უცდი და ელი,
თითქოს იწყება შენთვის სულ სხვა, ახალი ერა.

მისნურ სტრიქონებს ქარაგმულად თან ნერ და თან შლი,
გონებამ უკვე აღარ იცის, რას დაწერს ხელი,
მაგრამ შენ მისი მოძრაობის უსიტყვოდ გჯერა.

მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს ვემორჩილები!..

ვემორჩილები საკუთარ თავს... მან უკეთ იცის,
რა გამიხარდეს, რა მეწყინოს, რა ვთქვა და როგორ!
რას შევადარო ამავალი კიბეზე გოგო,
რა ვუპასუხო განთიადზე ქარების სიცილს.

მე მახსენდება დადებული ოდესღაც ფიცი,
რომ სავსე მთვარე იყოს ჩემი ცხოვრების ლოგო
და სიყვარულის ქვამარილი ხარივით ვლოკო,
მიუსაფარმა ტრუბადურმა ცისა და მიწის!

მე ბევრი ვნახე – ომიც, ზავიც, ცეცხლთან თამაშიც,
ვნახე შეჯიბრი გულბოროტთა, ცრუთა, ვერაგთა
და კონფუსია გადაბუგულ ხეთა ჩრდილების.

მე ვიტრიალე ჩემი ქვეყნის ყველა დრამაში,
მაგრამ რადგანაც სიყრმის ნატვრა დღემდე ვერ ახდა,
მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს ვემორჩილები!

მოთარ გოვალაძე

ჯაობი

„ტრაკულ ქვეყანაში დავიბადე, რა ჩემი ბრა-ლია“, – ამბობს, – „თუ დროებაში, დიდი განსხვავება არაა“. – ამბობს, თუ ფიქრობს. ალბათ, უფრო ფიქრობს. აბა, ამის ხმა-მალლა თქმას ვინ გაპა-ტიებს?! და ისე, რომ სა-კუთარი ქალაქიდანაც კი არასდროს გასულა, ახლა პირველად ფიქრობს წას-ვლაზე. ვერ ნავა, ჯერ მაინც ვერსად გადადგამს ნაბიჯს, თავადაც კარგად მოეხსენება და რა საჭი-როა თავის მოტყუება. ერთხელ არც ისე ახლო მეგობარმა უთხრა: „ადამიანი მხოლოდ იქამდეა ბედნიერი, ვიდრე მიხვდება, რომ ბედნიერი ვერ იქნება“-ო. ზუსტად იმ დილით ახსენდება, როცა მისი მორიგეო-ბაა. ეს მათხოვრული ხელფასიც როგორ ამოუვიდა ყელში! საქმე რომ უყვარდეს, კიდე ხო. როცა საქმე გიყვარს, შემოსა-ვალაც გყოფნის, რალაცნაირად, მაგრამ არა, უყვარს კი არა, ხანდახან ჰგონია, ეზიზღება – დილით ადრე ადგომაც, მე-რე ღამის თენებაც – ჰა, ჰა, ერთი-ორი საათით მოატყუოს თვალი და ეგაა – ის მოხუცებიც, თანამშრომლებიც.

„სანტიაგო სავალას პერსონაჟი შე-მიჩნდაო“, – ფიქრობს. – „როდის ჭამა დედამისისდედის პირველად ქართველმა და დღესაც რატომ აკეთებს იმავეს ყო-



ველდლიურად? მოგცლია. ნახევარი სა-ათიც და უნდა წავიდეს, გამოიცვალოს ორი ავტობუსი იმ ადგილზე მისასვლე-ლად, რომელზეც გული ერევა. ერთჯე-რადი ნებო... სათვალავი აერია, აღარც ახსოვს მერამდენედ ანებებს ფეხსაც-მლის ქუსლს. ახალს ვერ იყიდის, ასე თავს როგორ გაანებივრებს, ურჩევნია, ძილის წინ ორი ჭიქა კონიაკი გადაჰკრას. იაფფასიანი, რასაკვირველია, თუმცა მა-ინც კონიაკი. სულ ცალ ფეხზე ჰკიდა, რა ეცმევა.

ყველა წიგნი გაყიდულია, ერთის გარ-და. როდის აერია ასე ცხოვრება? როდის ჭამა დედამისისდედის ისე, რომ სადღაც ჩაეშვა და უკან ველარ ბრუნდება? მოგ-ცლია!“ ის ერთიც ბევრჯერ გაიტანა გა-საციდად, ათჯერ მაინც. ყოველ ჯერზე

რალაც თუ ვილაც აბრუნებდა უკან სანტიაგო სავალას.

„რა გქვია?“, „რა მქვია და სანტიაგო“, – ამბობს ხოლმე სერიოზული სახით. – „დაიცა, კაცო, ეგ რანაირი სახელია, ეგ რა ქართულია!“ – უწყრებიან ხოლმე.

ახლაც იღებს წიგნს. გასაყიდად კი არა, სადღაც შუაში შლის, ცოტა დრო ხომ აქვს. ლამის ზეპირად იცის ეს ამხელა წიგნი და იმ ადგილს კითხულობს, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს. „ქალი მაინც მყავდესო“, – ფიქრობს და იმწამსვე გრძნობს, წამიერად როგორ მაგრდება მისი სხეულის ქვედა ნაწილი. დაბერდა ასეთებისთვის, არც სხეული ემორჩილება ბოლომდე და არც გული მიუნევს.

ღამით ვილაცამ დაურეკა. ორი საათი იქნებოდა, არ ეძინა.

– Hello, Santiago.

„მესწავლა დედამოციუნული ინგლისური“, – გაიფიქრა. მერე გაახსენდა საბჭოთა ტიპი რომ იყო, თუ პოსტსაბჭოთა და ხელი ჩაიქნია.

– გისმენთ.

– Do you still live at same address?

– ვინ ოხერი ხარ, სანტიაგო ვარ! – ბოლო ხმაზე ღრიალებდა.

ძლივს დაიძინა. ჩაძინებამდე ფიქრობდა, ვინმე ჯონი მაინც ეკითხათ ან ჯეკი, რალა სანტიაგო აუტყდათო. მერე, მთელი ღამე, ვილაც ქერათმიანი, მაგარი ნაშა ესიზმრებოდა. ბოლოს ეგეთი მაგარი სიზმარი სამი წლის წინ ნახა. იქამდე, ვიდრე ახალ სამსახურს დაიწყებდა. იმის მერე სულ მკვდარი მოხუცები და იმათი შვილები ესიზმრებოდა – შუა ხნის ასაკის, მარტოსულები, ემოციებისგან დაცლილები, მიტოვებულ მშობლებს მხოლოდ მაშინ რომ აკითხავდნენ, საოჯახო სასაფლაოზე გადაყვანის დრო რომ დგებოდა. სიზმარში ბევრად ახალგაზრდა იყო. ისეთივე მოუწესრიგებელი, წვერგაუპარსავი და გამელოტებული, როგორიც ახლა, თუმცა – ახალგაზრდა. გაუკვირდა კიდევ, ასეთ ქალს ჩემთან რა ესაქმებაო. მერე ქალს დაურეკეს, ამანაც ორიოდღე წუთი ილაპარაკა ინგლისურად, ისე როგორც მანამდე და ბოლოს ქართულად არ აჭიკჭიკდა?!

შეძინებული წამოხტა, ტელეფონს და-

ხედა. როგორც ჩანს, ქერა ნაშას აღარ დაურეკავს.

დროა.

დგება. მიდის.



– მე გადავიყვან.

– მარტო?

– მარტო.

– რატო?

– მამაჩემია.



შუადღის მზე სახეს უწვავს. ისევ გადაუხვია. გააგდებენ და გააგდონ. ასჯერ თუ აპატიეს, ახლა რა დაემართებათ? ბეზიათქვევისამ, ხელფასი გაქვთ და გრაფიკი ისეთი, ერთბაშად არ მოგანყდნენ, არიქა, მე ამიყვანეთ, ემანდ არავინ დამასწროსო. ხოდა, სარგებლობს. როცა უნდა, მიდის და მოდის. ხიდთან ჩერდება, ყოყმანობს, მაინც აგრძელებს გზას. „პიკასოს ბიჭთან“ ტურისტები შეკრებილან. გიდი რალაცას უხსნის, თავი ქუდში აქვთ და რიგის მიხედვით იღებენ სურათებს, ბედნიერი, კმაყოფილი სახეებით. მოწყენილი ტურისტი აქამდე არ უნახავს და ვერც ნახავს, ალბათ.

ბარში შედის და კონიაკს ითხოვს.

– თანხა წინასწარ, ასეთია წესი! – ამბობს მიმტანი. ახალგაზრდა ბიჭია.

უკვე კარგად იცის ასეთი ამბები. ფიქრობენ, რომ ლოთია. დალევს და აითესება. მიდი და გაამტყუნე. თანხას აწვდის. პირდაპირ მაგიდასთან ნაცნობ სახეს აწყდება. კონიაკს სვამს. ისიც აკვირდება, მაგრამ ვერ ცნობს. მხოლოდ დაჟინებული მზერის პასუხია.

– შენ ბაჩო არ ხარ? ბაჩო ფურცელაძე.

იბნევა. ამ ბაჩოზე მასწავლებლები ამბობდნენ, დიდი და ცარიელი თავი აქვს, ერთი ეგაა, ხანდახან აზრები ანუხებს, წვეტიანიო. ისე, თუ ცოდვაა, ცოდვა იყოს და, მართლა უზარმაზარი თავი ჰქონდა. სამაგიეროდ, პატიოსანი ბიჭი იყო. ძალა კი ერჩოდა, მაგრამ მაგისგან დაჩაგრული სკოლაში არავინ ახსოვთ.

– კი, ბაჩო ვარ, მერე?

– მერე დაჯექი და კერე ან ყვერებში მახათი გაიყარე ხოლმე, მაინც რა საქმე გაქვს მეტი.

ბაჩო დგება, მუშტებს კრავს. მგონი, ცხოვრებაში სულ მეორედ ან მესამედ იქნებ პირველადაც. არ ახსოვს. არც ერთ რაზბორკაზე არ დაჰყვებოდა კლასელებს, შემომაკვდება ვინმეო. მართლა რა ჯანზეა ეს შობელძალი.

– რა იყო, შე კაცო, კლასელებს ველარ ცნობ? – ახსენდება, საუკეთესო თავდაცვა თავდასხმა როა და ხმას უწევს.

– ბიჭო, მართლა შენ ხარ? – გულწრფელ გაოცებას ვერ მალავს ბაჩო. საერთოდ, ბაჩოს არაფრის დამალვა არ შეუძლია, – რანაირად შეცვლილხარ, რას დამგვანებულხარ. – მართლა არაფრის დამალვა არ შეუძლია.

– დავგლახავდი, პატარა კი აღარ ვარ, რას დაგილია ეგ პირი, შე ჩემა.

– გამომტყუებ რალაცას. – მაინც ვერ იკავებს სიცილს.

ერთმანეთს ეხვევიან. ერთადერთი კლასელი ეს დარჩა, ვინც მართლა უყვარდა და ახლა გრძნობს, არაფერი შეცვლილა. რამდენი წელი გავიდა, რაც არ უნახავს? ან როგორ მოხდა, ორივე რომ ამ პატარა ქალაქში დაბორილობდნენ და ვერაფრით გადააწყდნენ ერთმანეთს?

მეორე იყო გუგა.

გუგა მეცხრე კლასში შემოუერთდა ამათ. სხვა სკოლიდან იყო. თუ დედამინაზე ბაჩოსგან ყველაზე განსხვავებული ტიპი არსებობს, ზუსტად ეგ იყო. პატარა, უცნაურად მომრგვალებული. თავიდან, „ბარო, ბიჭების“ გარდა, არაფერს ამბობდა. ხოდა, ეს ჩვენი მასწავლებლები ადგნენ და პირდაპირ ბაჩოს მიუსვეს ახალი – დონ კიხოტი და სანჩო პანსა. ახალი მხოლოდ ერთი მხრიდან ჩანდა. მერე ზაფხულიც დადგა და დაიშალნენ. ისეთი არაფერი, როგორც ხდება ხოლმე – სამ თვეში ვიკრიბებით. მთელი კვირა აღარ ჩანდა ახალი, რომელსაც უკვე ყველა შეეჩვია. მომდევნო კვირის შუაში დაბრუნდა, ძლივს იცნეს. „ვაა, ორი დონ კიხოტი გაიჩითაო“, – წამოიძახა ვილაცამ და ატყდა და რა ატყდა! ზოგი მთელი თვე არ იჯერებდა, შენ რანაირი გუგა ხარო. ბოლოს დაასკვნეს, ალბათ, ურეკი, სოფელი და რამეო. ობოლი იყო გუგა, ბებია ზრდიდა. ეგ რომ გაიგეს, ყველა ერთდროულად მოლბა. ზაფხულის არდადეგებამდე ერთი კვირით ადრე

წამოსცდა დამრიგებელს. საპირფარეოდან დაბრუნებული გუგა პირდალბული უყურებდა, როგორ ტიროდა ნახევარი კლასი. არაფერი უკითხავს.

მაინც არავის იკარებდა ახლოს. ბაჩო, უნდოდა თუ არა, მაინც მისი საუკეთესო მეგობარი გახდა. აბა, ეს გადამანერინე, მეხუთეში რომელი შემოვხაზო, მიდი ერთი, ძმურად, დავალეხა დამინერე ამ ერთხელაც რა და მეტს აღარ გთხოვ. ახლა დამინერე და ვსიო, ნაღდად, თორე ჩამტოვებს კლასში ეს ნაბოზვარი... გაკრული ხელით დაწერე ოღონდაც, თორე მიგვიხვდება და დაგვენძრევა. რალა ექნა, არც წუნწუნი უყვარდა და არც სხვების ხვენწა-მუდარის მოსმენა ეხატებოდა გულზე, ისევ ყველაფრის უსიტყვოდ გაკეთებას ამჯობინებდა.

– ბიჭო, იმას არ ავაკითხოთ?

– ვის?

– გუგას.

– ნავილოთ ყვავილები?

– ყვავილები არა ის კიდე! პივა ნავი-ყოლოთ, კაცს რაც უყვარს, ის არ უნდა მოაკლო. შევიაროთ მაღაზიაში ავიდეთ. ისე, პირველად რა გითხრა გახსოვს?

რა დაავინწყებდა.

– მახსოვს, მახსოვს, – იმეორებს, – შენ თუ დამეხმარები მარტოო. ვახ, როგორ დავიბენი. რა გინდა-მეთქი? ვილაც უტრაკებდა, უფროსკლასელი. რა უნდა ექნა ამას, შენი ამბავი კი იცოდა, არსად გამყოლი არ იყავი და რატომღაც მე მომადგა. აჰა, პირველად ვამბობ, ვიბოლმე-ბოლი შენზე, მარტო შენ რო გეძმაკაცებოდა. მთელი კლასიც რომ შემეყარა, ვერაფერს ვიზამდი, ჩვენზე დიდები იყვნენ ბევრად. თუ გალახვავა, გალახვა იყოს-მეთქი და ნავედით. რაც მე იქ მირტყეს, მაშინ პირველად მივხვდი, რას ნიშნავდა იმდენის მოხვედრა, რუსის ბარაბანს რო არ მოხვედრია ჯერ. რაც გუგას დააკლეს, ყველა მე დამიმატეს. როცა იყო, ხო გაჩერდნენ და მე სიცილი ამიტყდა, მტრისას. თან სულ სისხლებს ვაფურთხებდი. არ ვიცი, ის რას ფიქრობდა – მე კმაყოფილი ვიყავი. მთავარია, ყველამ გაიგო – ბიჭი მარტო არ იყო. ვალიარებ, გაუცნობიერებლად გავაკეთე, ამპარტავნობის ამბავი იყო. ნლები მერე მივხვდი, მთავარია, ცხოვრებაში მარტო-

ობა არ იგრძნო, ვილაც ან რალაც გყავდეს, სულიერი-უსულო, მნიშვნელობა არ აქვს, თორე მაგრად ჩაეფლობი, ყელამდე ან უარესადაც და ველარაფერი ამოგათრევს იქიდან. მერე შენც კი იცი, დღე არ გასულა ჩვენ სამის გარეშე. არ ვახურებ, მართლა მაგარი დრო იყო...

დგებიან. მიდიან.

●
– კარგი ადამიანი ხართ, ისე მიგეჩვიეთ, – თქვა გოგონამ და ჭორფლიანი ლოყები მთლიანად გაუწითლდა.

– კარგი, ერთი შვილო, – სუნთქვა უჭირდა მოხუცს, – ისე, უკეთესი იქნებოდა, ადამიანები ერთმანეთს არ ვეჩვიოდეთ.

– მართლა გულით გეუბნებით, – ძლივს იკავებდა ცრემლებს.

– კარგი კი არა, ისეთი ცუდი არ ვარ, როგორც შეიძლება ვყოფილიყავი. ერთმა ჭკვიანმა კაცმა იცი, რა თქვა? მე არ მჯერა, რომ რალაცას შეუძლია ცუდი კარგად აქციოს, სულ ზღაპრებია ეგ. ხოდა, იმ ჭკვიან კაცს, ნობელის პრემია რომ გადასცეს... – სულ უფრო სუსტად სუნთქავდა. – ასე ბრძანა, ჩვენ მიერ ნაკითხული კარგი წიგნების გარეშე იმაზე უარესები ვიქნებოდით, ვიდრე ვართო. ეგაა სიმართლე, ჩემი საქმეც ეგრეა.

– მაგაზე გამახსენდა, – გამოცოცხლდა გოგო. – ის წიგნი ნავიკითხე, თქვენ რომ მითხარით. აი, ის, ერთი ოჯახის წევრები რომ არეულად ყვებიან ამბებს, მათ შორის ერთი გარდაცვლილიც. ბოლოს მამა ბრუნდება, ახალი კბილებით. ბევრი ვერაფერი გავიგე.

– მე რომ აღარ ვიქნები, ნავიკითხე თავიდან, – მოხუცმა როგორღაც გაღიმება მოახერხა.

– რალაცას ვერ ვხვდები, ამდენი ხანია ვფიქრობ და კითხვასაც ვერ ვბედავ...

– მკითხე, – მკაცრად გაანწყვეტინა მოხუცმა. – არასდროს არაფერი დაიტოვო გულში, ვერც წარმოიდგენ, როგორ დაგაზარალებს მომავალში!

– აქ ყველას ეუბნებით, რომ არაფერი გახსოვთ, – ძლივს გაბედა, ხმა გაეზარა. – მხოლოდ მე ვიცი თქვენი ამბავი, რატომ?

– მხოლოდ თქვენ დამიჯერებდით,

გამოტვინებული ბებერი რომ არ ვარ. ხუმრობის გარეშე კი, ასეა საჭირო, შეიძლება რამდენიმე ადამიანი დაეზიანებინა ამ ამბავს. კეთილი ტყუილიც ტყუილია, თუმცა...

რალაც უნდა ეთქვა. გოგო ველარასდროს გაიგებს სიმართლეს. მოხუცს თვალები ღია ჰქონდა, უცნაურად იღიმოდა. ერთხელაც ამოისუნთქა...

●
გზას მიიკვლევინ. „რამდენი დამატებიან“, – ორივეს ერთდროულად ეფიქრება. სოკობივით ამოსულ საფლავის ქვებს შორის ძლივს აგნებენ გზას. ერთად პირველად არიან, დასაფლავების შემდეგ პირველად. ისე სულ ერთი ფეხის ნაბიჯზე ასწრებდნენ ან აგვიანებდნენ. ლუდი კი გათბა, სამაგიეროდ, არაყია კარგად გაყინული.

– ნეტა სხვები მოდიან? – კითხულობს ბაჩო. – ნიკუშა, ლადო, ლომთაძე, გაბრიანიძე, მარიკო... რა ვიცი, ვინმე მაინც.

– აბა, მე რა ვიცი, ჩვენ ხო მოვდივართ. დაიკიდე ეგენი, რამ გაგახსენა საერთოდ, შეიძლება აღარც არიან ცოცხლები.

– დანერდნენ კლასელების ჩატში. აა ხო, შენ არ გაქვს ფეისბუქი. ისე, როგორ მიდის შენი საქმეები?

– ტრაკისკენ, როგორც ყველასი ჩემს ასაკში.

– გეგონოს. შენ არც ნუცუბიძის ამბავი გეცოდინება, მილიონერია ტიპი.

– მკიდეა.

– შენი ფილმი ვნახე, კაი ხანი გავიდა, ახლაც მახსოვს, მაგრად იმოქმედა. რატო მიატოვე?

– რომელი ფილმი?

– რომელი და ისა... „ცხვარი“. იმენა ჩვენზეა, მთელ ქვეყანაზე. მანდ რო ერთი როჟა გყავდა, დაქლიავებული სიფათით – ჯემალა – ან სად მიაგენი ზუსტად ეგეთს. რამდენჯერმე ჩანს, მარა, მე თუ მკითხავ, ეგაა მთავარი პერსონაჟი. რასაც ეუბნებიან, ყველაფერს იჯერებს. ერთ ამბავზე თუ ორ სხვადასხვა რამეს ეტყვიან, ორივეს იჯერებს და მერე, პირს რო მოალებს, აღარ ჩერდება.

„შე სანყალო“, – ფიქრობს, – „ეგ ჯემალა შენი პროტოტიპი იყო. საბრალო

ბაჩო. შენ ხარ ეგ ცხვარი, უბედურო“.

– მერე რა მოხდა? – არ ეშვება, – ეგეთი დასაწყისი ასეთ გაგრძელებას იმსახურებს?

– რა მოხდა და რამდენიმე ჯილდო ავიღე, ცოტა ფული შემოვიდა და სად გინახავს კარგად დანყებული საქმის უკეთესად გაგრძელება? ყველაფერში ჩავაჯვით. ნებით თუ უნებლიეთ, ეგრე დალაგდა. ყველა პროექტი ჩამივარდა. თავიდან უბრალოდ არ მიფინანსებდნენ. მერე საერთოდ აღარც მისმენდნენ, განხილვაზე ზედმეტია ლაპარაკი. ახლა მოხუცთა თავშესაფარში ვმუშაობ. რა გაცილებს, თავი ხომ უნდა გამეტანა როგორმე!

– ახლა მუშაობ რამეზე?

– კი, აბა, – ატყუებს. თუ არ იცრუებს არ მოეშვება, ზუსტად იცის და რალაც აბსურდების ჩახლართვას იწყებს, – ერთ ტიპზე ვწერ სცენარს. მოგიყვებ? აბა, რას ვიზამ. მოკლედ, ერთია რა. ისეთი კაცია, ვერავინ ვერ ამჩნევს. მშობლებს უბარებს, მივდივარ და ორ საათში დავბრუნდებიო. ორი საათიც გავა, ორი დღეც, თვეც და ორი წელიც. ეს კი არადა და არ ჩანს. რას აღარ ეცდებიან – ხან მეგობრებს მიადგებიან სახლში, ხან მის შეყვარებულს, მერე პოლიციასაც ჩართავენ, მაგრამ უკვალო საქმეა. ეს კიდე სადღაც მიდის, ყველაფრისგან დაღლილი ეცლება საკუთარ ბავშვობას, თავის თავს. სადღაც მიდის, უსახელო ქვეყანაში. რა უნდა იქ და სიკვდილი. მართლა, მართლა! თავიდან რომ დაიბადო, უნდა მოკვდეო და დაიჯერა, პირდაპირი გაგებით კი არა, ნუ იკრიჭები. იქ ხო არავინ იცნობს, აზრზე არ არიან, ეს რა ბედოვლათია, საიდან გაჩნდა და რას აპირებს. ცოტა ფული კი აქვს და თავს გაიტანს როგორმე, მერე რალაც გამოჩნდება, ყველა ქართველივით ფიქრობს. არაფერიც არ ჩანს კარგა ხნის მერე და ეს მძღნერში ეფლობა, ყოველდღიურად უფრო და უფრო, ოღონდ ჯერ მხოლოდ კოჭამდეა და შეუძლია დაბრუნება. შეუძლია, თუმცა არ უნდა, იცის, რაც ელის უკან დაბრუნებულს. დრო კი გადის. ცოცხლები თუ არიან მშობლები? იქნებ შეყვარებულმაც უღალატა უკვე, თან არაერთხელ? მშობლები თუ ცოცხლები აღარ ჰყავს, სახლი დაინგრეოდა, შეჭველია.

სამსახურშიც აღარავინ დააბრუნებს. მერე პოლიცია, ათასი კითხვა, როგორ ახსნის? იცის, ამას ვერ გაუძლებს და ძველებურად აგრძელებს. ერთი ეგაა, ფულს ისე ველარ ხარჯავს, როგორც უნინ. არც იქამდე უღბინდა დიდად, მაგრამ ახლა თითქმის ყველაფერს იკლებს, პურზე და წყალზეა. ჩადის ჭაობში, ეფლობა. „ვახ“, – ფიქრობს „მართლა მაგარი იდეაა, ხო იცი“, – ეგრე დავარქმევ – „ჭაობი“. ხოდა უკვე მუხლამდეა. ცალ ფეხს ამოყოფს და ძველ ფიქრებს უბრუნდება, მერე ყველაფერი ახსენდება, მშობლებიდან დანყებული, პოლიციით დამთავრებული და უკან ბრუნდება. დგას და ფიქრობს. ხანდახან არც ფიქრობს, უბრალოდ დგას. ვილაცები გაიცნო, მაგრამ კი არ გამოადგნენ, პირიქით – ეს გამოიყენეს. ახლა ყველამ დაიკიდა. პური და წყალიც განახევრდა. დღეში ერთხელ მაინც თუ მოახერხებს კუჭში რამის ჩაშვებას. ყელამდეა. რა უნდა ქნას? და უცებ გონება უნათდება. ერთიანად ამოდის ჭაობიდან, ხვდება, რაც უნდა ქნას. ერთი ის იცის, აქაურობას რომ უნდა გაეცალოს. უცნაური ადგილია, ყოველთვის ნისლიანი. თავიდანვე რატომ არ დაფიქრდა? საკმაოდ იტანჯა, გაიარა თავისი გოლგოთა, მაგრამ რამდენი წელი გავიდა? დიდი ხანია, სათვალავი აერია. საკუთარი თავის მოსაძებნად წამოვიდა, თავისივე სხეულში არსებული არარაობის მოსაპოვად და ისიც კი დაკარგა, რაც გააჩნდა. ფინალი ჯერ არ ვიცი, ან მიმართულება უნდა აირჩიოს და იქ კადრი განყდეს, ღია ფინალის პონტში, რა. დგას და ფიქრობს, საით წავიდე – მარცხნივ, ახალი ცხოვრებისკენ, თუ მარჯვნივ – საიდანაც მოვიდა, ძველი ცხოვრებისკენ, მშობლებისკენ, სახლისკენ. მეორე ვარიანტიც მაქვს – სახლში უნდა დავაბრუნო და იქ მშობლები დახვდნენ, მეტად დაბერებულები, განადგურებულები და დიდხანს აკვირდებოდნენ, იქამდე, სანამ ეს მთავარი ტიპი მიხვდება, რომ ორივეს გაქანებული სკლეროზი აქვს და შვილი კი არა, ერთმანეთსაც ველარ ცნობენ. ტიტრები!

სულ ტყუილად უსმენდა ბაჩო ფურცელაძე. ვერაფერი გაიგო.

გუგას სიკვდილი ზამთარში ცივი წყლის გადასხმას ჰგავდა. უკვე სტუდენტები იყვნენ. მერე და სიკვდილსაც ხომ გააჩნია? მათ თვალწინ მოხდა ყველაფერი, პირდაპირ უნივერსიტეტის წინ. ცალმხრივ გზაზე საპირისპიროდ მომავალმა მანქანამ მთელი სისწრაფით და ძალით დაარტყა. „დატყდა ის ნაბოზვარი!“, – ყვიროდა ბაჩო, – „ნომერი მაინც დაიმახსოვრეთ, ნომერი!..“ – ყველაფერი წამებში მოხდა. საშინელი დასანახი იყო, თვალს ვერ უსწორებდნენ, ტირილსაც კი ვერ ახერხებდნენ, იდგნენ ასე – გახევებულები.

მაგ დღემ ყველაფერი არია. ან იქნებ, პირიქით, თავის ადგილებს დაუბრუნა? ერთი კვირა, ორი, სამი, ერთი თვე, ორმოცი, წლისთავი და ეგაა. ცხოვრება ჩვეულებრივად გაგრძელდა. გამოცდებზე წვალობდნენ, დაბადების დღეებზე ყანნებს ცლიდნენ, ქანცის განყვეტამდე ჟიმაობდნენ (სხვათა შორის, თანაკურსელებიც), ჩხუბობდნენ. მოკლედ, არაფერი განსაკუთრებული. გუგას ეკითხა თორე, ამათ რა, ანაღვლე!

– ის ტიპი მალევე დაუბრედიათ ციხეში, – ამბობს ბაჩო. ისე, უბრალოდ, სასაფლაოზე სიჩუმე კიდე უფრო აუტანელია, როგორმე უნდა დაარღვიო.

არაფერს პასუხობს. ჭიქას იღებს და ბოლომდე ცლის. ნასვამი აღარ ჰქვია, უკვე მთვრალია. „ბიჭო, რა მაგარი იდეა მომივიდა ამ სულელთან ლაპარაკისასო“, – ფიქრობს. რაღაცებს ალაგებს. ფინალი დიდად კი არ ხიბლავს, მაგრამ მოიფიქრებს რამეს. „ჭაობი, სადაც მე ვარ“, – ფიქრობს. – „იქნებ მეც ვნახო გამოსავალი, ხომ შეიძლება, ეს დედამოტყნული სიუჟეტი იყოს ჩემი დაბრუნების საშუალება? ვილაცას უნდა მივადგე. აღარავინ მენდობა. მე კიდე მივაჭრი, ცხვირწინ დავუგდე ამ სცენარს და ვეტყვი: აი, ნაიკითხეთ და მერე ბოდიშიც მომიხადეთ ყველაფრისთვის! ეს არის კამიუს ან თუნდაც ბეკეტის დონის აბსურდი, რატომაც არა! მეც მთავარი გმირივით უნდა მოვახერხო ამოდრომა. ისე, სადამდე ვარ? კოჭამდე? მუხლამდე? ყელამდე? ყელამდე მაინც თუ ვარ და თავზე არ გადამდის, არა უშავს, მოვახერხებ დაძვრენას. აქ თუ არა, სადაც ნავალ, იქ

მოვახერხებ! იქნებ, ზუსტად ამიტოა საჭირო ნასვლა...“

– მოდი, ჩვენს მომავალს გაუმარჯოს, ჩემო ბაჩო, – გრძნობს, ზედმეტად მთვრალია, სიტყვებს თავს ველარ უყრის, – შენ ხარ ჩემი ძმა! შენს ალალ გულს გაუმარჯოს, ჩვენს ურთიერთობას და კიდე მომავალს – ნათელს და მშვიდს. იბერია გაბრწყინდება!

– რას ბოდავ, რა იბერია გაბრწყინდება, დალიე თუ სვამ და ნავიდეო, გამისკდა თავი.

„გაგისკდა, თორე შენც ერთბაშად ტვინი არ გადმოგეღვაროს“, ფიქრობს. – „აუჰ, დაილუბება სანყალი. ნეტა შენი დარდები მომცა, ბაჩო, შენი პრობლემები და საფიქრალი, მთელი ცხოვრება უდარდელად ვიქნებოდი“.

– მოდი რა, თუ მართლა ჩემი ძმა ხარ, დავლიოთ ყოვლადწმინდა და ნავიდეო.

– ნავიდეო ხო, დავასვენოთ ეს კაი კაცი, დავლაღეთ მართლა.

– ნასვამზე სულ ურევ, არ იქნება შენი გამოსწორება.

– გვფარავდეს ყოვლადწმინდა.

– ამინ!



– საკონტაქტოში არაფერია?

– არაფერი.

– არავინ ჰყავდა?

– არა.

– ხვალ შუადღეს დავკრძალოთ მაშინ, საერთო სასაფლაოზე. ამის მეტი ადგილი აღარც გვაქვს, მგონი. არ ვიცი, რა გვეშველება.

– საბუთებს გავამზადებ.



იშვიათად, თუმცა მაინც ფიქრობს, – „ხომ არ აჯობებდა ცოლი მომეყვანაო. თავის დროზე, რა თქმა უნდა. ახლა ვის რა ფეხებად უნდა? აერჩია სხვა გზა, რა რეჟისორობა აუტყდა ამ დაქცეულ ქვეყანაში. აი, სხვამ როდის, როდის და თვითონ კი ზუსტად მაშინ ჭამა დედმისისდედის, როცა პირველად მოუვიდა თავში ეგ აზრი. იქნებოდა ახლა შვილებთან, ვინ იცის შვილიშვილებთან ერთადაც კი, გაიხსენებდა მრავალფეროვან ამბებს, დაწყებული მხედრობით, გაგ-

რძელებული რევოლუციით და ბოლოს ლამის ყოველდღიური მიტინგებით, მათ შორის ხელისუფლების მხრიდანაც“.

ტაქსის უკანა სავარძელზე გადანო-ლილა. რამდენჯერმე ჩასთვლიმა კიდევ. გულისრევის შეგრძნება თანდათან უმ-ძაფრდება.

- აქ გამიჩერე, თუ კაცი ხარ. - პირზე ხელს იფარებს.

- სად გაგიჩერო აქ, პატრული მომ-ყვება.

- მაკოცონ ტრაკზე. გამიჩერემ რო გეუბნები, მე გაძლევ ფულს, პატრული კი არა.

ჩერდებიან. ფულს აძლევს და ჩადის. გზას ფეხით აგრძელებს. ახლა შედარე-ბით გრილა და სუფთა ჰაერი შველის. „სა-ერთოდ რომ არ მივიდეს? - ფიქრობს“. - „დღეს კი არა, აი, საერთოდ. არა, ნავა, სხვა გზა არ აქვს ახლა“.

ეზოში არავინაა. „ისე“... - ფიქრობს, - „ამ ეზოს კარგად თუ მიხედავენ მა-გარი ლამაზი იქნება. ახლა რას გავს ეს ჩემისა, ფუჰ!“

ნაბიჯს უმატებს, გასწორებას ცდი-ლობს, იქნებ ვერ შეამჩნიონ, მთვრალი როა, ბოდიში - გალენილი.

თავისი კაბინეტისკენ მიდის. კაბი-ნეტი, თორე ეგეც არ იყოს. სარფადია ლამის. ფანჯარა მაგას არ აქვს და არა-ფერი. ზამთარში იყინება, ზაფხულში ინვება. გამოცვლას ხუთიოდე წუთს ან-დომებს და დერეფანში გადის. ისევ ეს აუტანელი სუნი, ასაკისთვის დამახასია-თებელი.

- ვაა, გაუმარჯოს, ქეთუშ. უი ბოდი-ში, ქალბატონო ქეთევან, - თავს უკრავს.

პასუხს ვერ იღებს. გოგო მოწყენილია. აკვირდება და ხვდება, ახლახან იტირა.

- რა მოხდა, აღარ იტყვი?

- გარდაიცვალა.

- ვინ?

- მესამე ოთახი. მეორე სართული.

- გოდერიძე?

- გოდერიძე...

კაბინეტში შედის. ეს მართლა კაბი-ნეტია. დირექტორია და აბა, როგორ. კონდიციონერი, პატარა მაცივარი ცივი სასმელებისთვის, ყავის აპარატი, მთე-ლი ამბები. წესით, საყვედურებით უნდა დაინყოს, დაგვიანების გამო ან ალკოჰო-

ლის სუნის, ადრე წასვლის... მიზეზებს რა გამოლევს. არაფერი მსგავსი. უკ-ვირს. მერე ეკითხება, - „რამე სიახლე ხომ არ გვაქვსო. ისე, ზრდილობის გამო. არადა, ყველაფერი იცის. ფუ, როგორ ვერ იტანს, როცა იმას კითხულობენ, რაც ისედაც იციან. როგორ ხარ? კარ-გად. შენ? კარგად. არასდროს არავისგან სმენია სხვა პასუხი. ჰა-ჰა, მაქსიმუმ - არა მიშავს. ცუდად ვარო, არავინ გეტ-ყვის, შენი იმედი არ აქვთ და მაგიტო. იციან, გაიკვირებ და მერე დაიკიდებ, ერთი ამისიც, მეც ცუდად ვარო. ყვე-ლა ერთ ჭაობშიაო“, - ფიქრობს და ისევ სასაფლაოზე ბრუნდება აზრებით. კმა-ყოფილია თავისი მოფიქრებული სცენა-რით, თანაც როგორ, წამებში დაალაგა და თავიდან ბოლომდე მოყვა, ახლა მთა-ვარია, არ დაავინწყდეს.

- გოდერიძე გარდაიცვალა, ბოლო დღეებში მაგრად დასუსტდა, ოღონდ ასე მალეც არ ველოდებოდით.

- ეგ ვიცი. ქეთიმ მითხრა.

- ვინ დაასწრებდა მაგას, ოღონდ ვინ-მე მოკვდეს და...

- კარგი გოგოა ქეთი, თქვენ იკით-ხეთ, თორე ეგ გზას არ დაებნევა.

- ისე, სანამ სხვა გეტყვის, ჯობია, ჩემგან გაიგო, აღარ ვაპირებ შენი გა-მობტომების მოთმენას, დავამთავროთ, ორივესთვის აჯობებს.

- მეც აღარ ვაპირებ. გოდერიძესთან დაკავშირებით რას აპირებთ?

- საერთო სასაფლაო. ერთი ადგილ-ლილა დარჩა. მაგისთვის ყოფილა, აცხო-ნოს ღმერთმა. შევეჩვიეთ ყველა.

- არა!

- რა არა?

- საერთო სასაფლაოზე არა-მეთქი. ვერ ხვდება. საიდან უნდა მიხვდეს. ელოდება. აღარ იცის, რა უნდა იკითხოს.

- მე გადავიყვან.

- მარტო?

- მარტო.

- რატო?

- მამაჩემია.

- შეუძლებელია. კი, მაგრამ შენ ხომ...

- დედის გვარზე ვარ. დიდი ამბავია ეგ, არ ღირს მოყოლად. მეც მეზარება და დარწმუნებული ვარ, შენც გკიდია. აბა, მშვიდობით. განცხადებას, წასვლას-

თან დაკავშირებით, ხვალვე ჩავაბარებ ქეთის. კარგი გოგოა, ეგ უვლიდა მამაჩემს. მე იშვიათად შევდიოდი, მძინარეს თუ დავხედავდი ხანდახან. აზრი არ ჰქონდა, მაინც არაფერი ახსოვდა.

კაბინეტს ტოვებს. დირექტორმა რალაც მოაძახა, რასაც ვერასდროს გაიგებს. თავისი საქმე შეასრულა, ახლა აღარაფერი ესაქმება აქ.

– მადლობა, ქეთუმ, მივდივარ მე.

– სად?

– სად და ამერიკაში, ჩერეზ მექსიკით,

– ულიმის, – სამსახურიდან მივდივარ. ხო ვიცი, გული გწყდება. მადლობა, მამაჩემს რომ კარგად უვლიდი.

– ვის?

– მესამე ოთახი. მეორე სართული.

ბოლომდე ვერა, მაგრამ თითქმის ყველაფერს ხვდება.

რამდენიმე ადამიანის დაზიანება ამ ამბით...

კეთილი ტყუილიც ტყუილია...



ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულა. ზარი დაფარული ნომრისგან, როგორ ვერ იტანს მსგავს სისულელეებს. არ პასუხობს. მთავარი ამბები მოაგვარა, ახლა აღარაფერი აკავებს. უკანასკნელი ჯაჭვი, რომელიც აკავებდა, საბოლოოდ განწყდა.

ცხელი შხაპი აფხიზლებს. აბაზანიდან გამოსულს ორი გამოტოვებული ზარი ხვდება დაფარული ნომრიდან. ერთხელაც თუ დარეკა, უპასუხებს. წვება. წიგნს იღებს, ერთადერთ წიგნს, რომელიც დარჩა და პირველ გვერდზე შლის: „ლა ქრონიკას კარიდან სანტიანგო უსიყვარულოდ გასცქერის ტაკნას გამზირს...“ „უნდა მეპასუხა“, – ნანობს. – „იქნებ დამირეკოს“. „ავტომობილები, უსწორმასწორო, გახუნებული შენობები, რუხი შუადღის ნისლი მოფარფატე ციმციმა აბრები. როდის ეტირა ყოფა პერუს?...“ დაფარული ნომრიდან რეკავენ. წიგნს ხურავს. „იქნებ თავად ეს წიგნია ბოლო ჯაჭვი? სულ პატარა, მაგრამ უკანასკნელი...“

– გისმენთ...

– სად ჯანდაბაში გაქვს ეგ ტელეფონი?

ნი?

ბაჩო ფურცელაძე.

როგორ ვერ მიხვდა. ისევ ნანობს, ამჯერად იმას, რომ უპასუხა. ახლა აღარ მოეშვება, უნდა იარონ კვირაში სამჯერ მაინც გუგას საფლაგზე და უსმინოს ამის სისულელეებს.

– მშვიდობაა?

– ომია, რა მშვიდობა. ისე, დალაპარაკება მინდოდა. შევხვდეთ?

– არ მცალია ახლა, არც ამ დღეებში. ხო გელაპარაკები, მითხარი, რაც უნდა გეთქვა.

– მეგონა, გადავკრავდით.

– არა. გისმენ.

– რა ხდება „ჭაობზე“, როდის დაამუშავებ საბოლოოდ?

– მაგრად დაგაინტერესა, არა?

– მართლა, მაგარი ვეშია. არ დაანებო თავი.

– ვიზამ რამეს.

„რას ვერჩი“, – ფიქრობს, – „ერთადერთი კაცია, რომელიც ინტერესდება ჩემით, როგორც რეჟისორით. ისე, საინტერესოა, საიდან მიხვდა, „ცხვარში“ ვინ იყო მთავარი პერსონაჟი?“

– წასვლას ახსენებდი მაშინ. სად უნდა წახვიდე?

– მთავარია, წახვიდე, მნიშვნელობა არ აქვს, სად მიდიხარ.

– ფილმს არ გადაიღებ?

– არ მგონია. უნდა ვიფიქრო კიდევ ბევრი.

– მართლა მიდიხარ?

– კი, დღესვე. ჩემოდნებიც ჩალაგებული მაქვს.

– თუ იცი, უბედურება რა არის?

– რა?

– ვისაც რალაცის გაკეთება შეუძლია და რამის ტრაკი აქვს, ყველას ამ ქვეყნიდან გაქცევაზე უჭირავს თვალი.

– ეგრეა.

„ცარიელი თავი კი არა, შენ ყოფილხარ ნამდვილი ფილოსოფოსი, ბაჩო ფურცელაძე! აი, შოპენჰაუერი, მამენტ“.

– ეგ კიდევ არაა მთავარი. უფრო დიდი უბედურება, თუ იცი, რა არის?

– აბა?

– მართლა გასაქცევად გვაქვს საქმე. ამ ქვეყნიდან კაცი უნდა გარბოდეს და ამას ვამბობდე? მარა ეგრეა. ასე მოგ-

ვიქციეს საქმე ამ შობელძაღვლებმა. როდემდე უნდა გავრბოდეთ? მე შენ გეტყვი და, კაი ცხოვრების გემოს რო გავიგებთ, უკან დამბრუნებლები ვართ რომელიმე თუ, რა?

„შოპენჰაუერი, ბიჭოს!“

– გამიხარდა შენი ნახვა, სერიოზულად გეუბნები, ნუ დაინწყებ ახლა შენებურებს.

– მეც გამიხარდა, ბაჩო, – მოწოლილ ცრემლს უკან აბრუნებს, ყლაპავს, როგორც ბევრ სხვა რამეს, – არაფერსაც არ დავიწყებ.

– ანუ ნახვალ მაინც?

– მივიღივარ (ნეეს.).

ბაბო, ანუ ჯაჯიბანი აქაბი

არავინ იცოდა, საიდან გაჩნდნენ.

ერთ საღამოს, დიდხინიანი გვალვისგან დახეთქილმა მიწამ თითქოს პირი გახსნაო და პირდაპირ სოფლის შუაგულში აღმოჩნდნენ. მერე კი, კვალის დასაფარად, მთელი თვე გადაუღებლად წვიმდა. უფროსები ამბობდნენ, აქამდე არასდროს გვახსოვს, ეგრე გადაბმულად ეწვიმოს, არადა, ლამის საუკუნეს ვუკაკუნებთო. ბაბუა მსგავს სისულელეებს არ იმეორებდა. განა იმიტომ, რომ ჯერ საუკუნისა არ იყო, მართლა არ ახსოვდა ან არ ენახა, ისე, უბრალოდ. იჯდა იმ თავის სარწვევლა სკამში და ათჯერ ან იქნებ ოცჯერ წაკითხული, მთლად უყდო „მოზი დიკი“, ეჭირა.

ბაბუაჩემი დონ კიხოტი იყო. იყო, თუმცა აღნაგობით სანჩო პანსას ჩამოჰგავდა. მომრგვალებულსა და მუდამ მეოცნებეს, ყველა რაღაცას ეკითხებოდა და იმასაც პასუხი ყველაფერზე ჰქონდა. სწორი პასუხი, რაც მუდამ მაოცებდა.

და, როცა დიდი წვიმები შემცირდა, მერე კი ერთიანად გაქრა, ბაბუა წავიდა. თვალები დახუჭა, დალილიმა, უკანმოუხედავად გადააბიჯა ზღურბლზე და მარადისობას (თუ არარსებობას) შეერია. ყველაფერი ისე ჩვეულებრივად მოხდა, დიდი ხანი ვერ მოვდიოდით აზრზე.

– გვინდა თუ არა, მოგვინევს, საქმეს უნდა მივხედოთ, – თქვა მამამ და მივხედით – მართალს ამბობდა.

ახლა მე ვიჯექი იმ სარწვევლა სკამში – მოშლილში, მეღვილის წიგნის ფურცლებით გაცრეცილში და ვკითხულობდი „მოზი დიკს“, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რა იყო ამაში ათჯერ ან ოცჯერ წასაკითხი. თავში არაფერი შემდიოდა. მხოლოდ ერთს ვხვდებოდი: კაცს, რომელსაც ყველაფერი უნდა ჰქონოდა, არაფერი შერჩა. ეგრე წავიდა.

ბევრჯერ გვიკამათია, როგორ არა. ჯიუტი იყო, მეც – ასევე. მე, ბავშვური გულუბრყბილობით, ის – გამოცდილი კაცის სიღინჯით. ახლა ვფიქრობ, ზუსტად მაგ ხასიათმა დატოვა ყველაფრის გარეშე-მეთქი. სულ რამდენჯერმე ვიყავი საფლავეზე. არ მგონია, სასაფლაოზე ბოდიალი რამეს გამოხატავდეს. მამამ არაერთხელ მისაყვედურა, მერე მომეშვა, მიხვდა, არაფერი გამოვიდოდა.

საერთოდ, ხშირად მიყვებოდა ისეთ ამბებს, რომლებიც არ მესმოდა, როგორც „მოზი დიკი“, მაგრამ თავს ვუქნევდი, ვიდრე ბოლოში გავიდოდა, რადგან ერთხელ შევანყვეტივარ და აღარაფრით მომიყვა ის ამბავი. მნიშვნელობა არ ჰქონდა, მესმოდა თუ არა, საუბარი იცოდა ისეთი, აზრი ეკარგებოდა, რამდენად ალიქვამდი.

– სიზიფე ხო იცი? – მკითხა ერთხელ. ვიქნებოდი თხუთმეტი წლის.

– ხო, აბა?! – ვუთხარი.

– ხოდა, ტყუილია. რაც მაგაზე გასწავლეს.

არავის არაფერი უსწავლია. მაგას ხო არ ვეტყვოდი, აღარ მოყვებოდა. და თქვა:

– არასწორად გვასწავლეს, რომ სიზიფე იტანჯებოდა იმ ლოდის აღმართში ატანისას, რომ ის ყველაზე უბედური ადამიანი იყო სამყაროში. იცი? სიზიფეს-ნაირი ბედნიერი არავინ ყოფილა. როცა დაგორებულ ლოდს ისევ აღმართისკენ ეზიდებოდა, მას იმედი ჰქონდა, გესმის? – იმედი! ათასჯერ გამოუსვლელი საქმის შემდეგ ვინ იტოვებს იმედს? მან არ იცოდა, რომ ისევ არ გამოუვიდოდა. ეს ყველაფერი თითქოს მეხსიერების წაშლას ჰგავდა. ყოველ პირველ ნაბიჯზე სიზიფე დარწმუნებული იყო, ლოდს ბოლომდე აიტანდა. ზუსტად ის გზა იყო ბედნიერებისა – გზა მწვერვალამდე და, მჯერა, მაშინაც კი არ იქნებოდა ასეთი ბედნიე-

რი, თუ ბოლომდე აღწევდა.

ვცდილობდი, არ შემემჩნია, რომ, რასაც ამბობდა, ჩემთვის ჩინური იყო. თავს ვუქნევდი და ვეთანხმებოდი. მხოლოდ ბევრი წლის შემდეგ მივხვდი, რასაც ამბობდა.

– საქმეები უნდა გავინანილოთ, – ამბობდა მამა. – ერთ საქმეზე სამი და ოთხი ადამიანი დადის. დრო გადის, ხალხი მოდის. ტყუილად ვცდებით... – და ამჯერადაც მართალს ამბობდა.

დღემდე მიყვარს იმ სარწვეველა სკამში ჩაჯდომა თუ ჩანოლა. მოშლილში, მაგრამ კარგად ველარ ვიხსენებ მის სახეს. როგორღაც ასე მოხდა, ერთადერთი სურათი შემოგვრჩა, თუმცა იმ სურათში ახალგაზრდა და ლამაზია, არც მომრგვალებული და ნაკლებად ჩაფიქრებული, უღვაშის გარეშე. არადა, იმ დროს ყველა ატარებდა. მე არასდროს მახსოვს წვერ-უღვაში მის მომრგვალებულ სახეზე.

უბრალოდ წავიდა. დალილიმა, თვალვინაობაზე, უკანმოუხედავად გადააბიჯა ზღურბლზე და შეერია მას, არარსებობას (თუ მარადისობას).

და იმ დღეს დასრულდა ხანგრძლივი, გადაუღებელი წვიმები.

და მერე გაგვახსენდნენ ისინი...

არავინ იცოდა საიდან გაჩნდნენ.

არავის დაუნახავს. სოფელმა მაინც მიიღო. სოფელი სოფელი არ იქნებოდა, ახალი ხალხისთვის ცხელი ხაჭაპურები, კეცის მჭადები, ოჯახის ყველი და ცივი ღვინო წამებში რომ არ გაეჩინა.

კაცი დაბალი იყო, მუდამ მოლიმარი და ბევრს ლაპარაკობდა. ქალი – პირიქით; მუდამ სევდიანს, წარბშეკრულს, ხმას ვერ ამოაღებინებდა ადამიანი. ყოველთვის შავი კაბა ეცვა. სხვანაირად ჩაცმული არასდროს გვინახავს. „ხო და არა“, – ეგ იყო მაგის საუბარი.

– გაბო დამიძახეთ! – ასე თქვა, თითქოს ნიშნის მოგებით. მე მაშინ არ ვიცოდი, რა იყო ნიშნის მოგებით თქმა. მხოლოდ ახლა, ბევრი წლის შემდეგ მაგონდება, რომ ეგრე ჩანდა. – ეს კიდე ჩემი მეორე ნახევარია, ქეთო. – თქვა. და დიახო, ეთანხმებოდა ქალი, როგორც მერე ყოველთვის და ყველაფერში.

სოფელს ორივე შეუყვარდა. სოფელმა

იცოდა სიყვარულის ფასი. მიღების ფასიც იცოდა და კითხვების დასმა არ უყვარდა. არავის უკითხავს, საიდან მოხვდნენ აქ, საიდან გაჩნდნენ. ხან ვინ იკედლებდა, ხან – ვინ. ემანდ, ჩვენი მოვალეობა არაა თუ რაო! მაშინ ბაბუა აღარ იყო და მამაც, რაღა თქმა უნდა, უარი არ თქვა. ყველაზე დიდი ხნით ჩვენთან გაჩერდნენ. ბაბუა რომ ყოფილიყო, ვინ იცის, გაჯიუტებულიყო. ერთი ეგაა, დიდად მიმნდობი და კაცთმოყვარე გახლდათ და, ვერ წარმომიდგენია, უარი ეთქვა ასეთი მოსიყვარულე მეუღლეებისთვის.

დიახაც, ეგეთებად ჩანდნენ ბოლომდე.

მამამ დიდი სიყვარულით მიიღო ეგენი. დიდიდან დაღამებამდე სუფრა იყო გაშლილი. იყო სმა და ერთი ამბავი.

– რათ არა გყავთ შვილები, კაცო, ჰაა? – წამოსცდა ერთხელ მამას კარგად გადაკრულში მყოფს და იმწამსვე დედამ ისე დაუბრიალა თვალები, წამში მიხვდა, რას ეკითხებოდა. მოაყოლა უცებ მერე თავისებური ამბავი ძველი სოფლელი გიჟის, როსტომას შესახებ და გულიანადაც ხარხარებდნენ. მე ეს ამბავი ყელში მქონდა ამოსული. გაბოსაც, ალბათ. ჩვენამდე თერთმეტ ოჯახს ჰყავდა შეფარებული ეგენი და ვინ არ მოაღებდა პირს როსტომას ამბებზე? ჩვენ ვიყავით მე-თორმეტე და თურმე ბოლო ოჯახი, ანუ უკვე წელიწადი ხდებოდა, აქ იყვნენ და არავის უკითხავს, საიდან გაჩნდნენ.

გიჟი როსტომა ყველას დაბალ ლობედ მიაჩნდა. სოფლის ბირჟაზე შეკრებილი დიდი თუ პატარა რას აღარ მიაძახებდა, ის კი ერთს გაუღიმებდა და გზას გაუყვებოდა. ეგრეაო – იტყოდა. შვილებმა სახლი რო გაუყიდეს, ადგა და წავიდა. ორი ბედოვლათი ვაჟკაცი ჰყავდა, ჯან-ლონით სავსეები, სხვა არაფერი დაე-ბერტყა მამაზეციერს იმათთვის, თუმცა მაგათ თავს არაფერი ერჩია როსტომას. ერთხელ გაუბედა ბათუმიდან სტუმრად ჩამოსულმა ბიჭმა გადაკრული სიტყვა და იქ აენთო როსტომა, მტერს. კლავდა, ოღონდ მართლა კლავდა. ძლივს გააკავა სამმა კაცმა. ხოდა, სახლი როცა გაიყიდა, წავიდა როსტომაც. რამდენიმე წელი გადაიკარგა და არავინ არაფერი იცოდა, სად იყო, რას აკეთებდა, როგორ ცხოვრობდა. სოფელს ვერ ივინყებდა და უარ-

საც არავინ ეუბნებოდა ლამის გასათევეზე. აბა, ვინ დაამაღლებდა.

როსტომას სასაფლაოზე ვარ. მხოლოდ ის არის აქ. მისმა შვილებმა ხო სახლი გაყიდეს და წავიდნენ, ცოლი იქამდე გაექცა და აწერია ახლა საფლავის ქვაზე როსტომას – მეზობლებისგან. მაგარი პატივი სცეს, აი. მოვდივარ ხოლმე და ვასუფთავებ. ღამე მოვდივარ, ვინმემ არ დამინახოს. განა მეშინია, მაგრამ ვიცი მე მაგათი ავი ენის ამბავი. მილაპარაკია როსტომასთან მე. ერთხელ მითხრა, – „განა არ ვიცი, მაგათ ვინა ვგონივარ? ასე მანყობსო“, – მერე დააყოლა, – ეგონოთ, არ დამრჩენია მაინც დიდი დღეო“. ეგ იყო და ეგ, მაშინ ვნახე ბოლოს და ერთი კვირის თავზე მოკვდა. „რატო-მეთქი, ვკითხე, რატო არ ეტყვი ყველას, რომ მათნაირი ხარ?“ – გაეცინა, „ღმერთმა დამიფაროს, მაგათნაირი ვიყო. მე გიჟი ვარ, შვილო. მართალია, ეგ ამბავი. გიჟი არასდროს იტყვის, გიჟი ვარო“. მაშინვე მივხვდი, რაღაც ისე არ იყო როსტომას ამბავში. ადგა და წავიდა. ბოლოჯერ ვუყურებდი თურმე. თავიდან კი მეშინოდა ღამე აქ მოსვლა. მერე მივხვდი, საშიში რო არაფერია. მაინც ყურსასმენები მიკეთია, ყოველი შემთხვევისთვის. ჩემდა ჭირად, როსტომას სასაფლაო სულ ბოლოშია. შესასვლელი კიდე, როგორც გამოსასვლელი, ერთი მხრიდანა აქვს მხოლოდ. სოფელს არ უყვარს კითხვები, არავინ დაინტერესებულა, როგორ იჭრება ხეები და სარეველა ბალახები ამ საფლავზე.

ჩუმად მოვიდნენ. საღამო იყო და მზე მაინც ისე აჭერდა. მთელი სოფელი სახლში იყო შეკეტილი. პირველ ოჯახში რომ შედგეს ფეხი, მაშინვე განვიმდა. მასპინძლებს რატომღაც არ გაჰკვირვებიათ ჩამოძონძილი და ერთმანეთისთვის შეუსაბამო წყვილის დანახვა. ხოდა, მაშინ დანყებულა ყველაფერი... მერე ამბობდნენ, ალბათ, მოგვეჩვენაო. ყველა ამას იმეორებდა და სჯეროდათ კიდეც. ყველაზე ბრძენმა ისიც თქვა, რაღაც პანდემიის, კი არადა, ეპიდემიის მსგავსი იყო, ალბათ და დაიჯერეს.

პირველად პატარა იყო, გუბესავით იდგა და ყურადღება არ მიუქცევიათ.

მერე მთელი კვირა იზრდებოდა, ხეებს გლეჯდა და სახლამდე მიდიოდა. იქ კი შეეშინდათ, ეს გამჩერებელი არააო. ლამის ზღვად ქცეულმა გუბემ თითქოს ისმინაო და გაჩერდა. მშვიდი იყო, აუღელვებელი. უკვირდათ შემდეგ, ტყის გარდა, აქ არაფერი გვინახავს ამდენი წელია, რა წყალი, რის წყალი, მაგას ვნატრულობთ ლამის საუკუნეა, ასე ერთად რა დაგვემართაო. ის კი იქამდე იდგა, ვიდრე ქალს არ წაიყვანდა და ესეც არავის დაუნახავს. მხოლოდ მაშინ მოიკითხეს, ერთ დილით ისევე ხშირ, გატოტვილ ხეებს რომ მოაფლეს თვალი. ვიღაცამ თქვა და სოფელი რისი სოფელი იქნებოდა, თუ არ გაიმეორებდა, ქალი პატარა ტივით წავიდა გუშინ ღამითო.

გაბო არ მიდიოდა, ერთ თვეზე მეტი არავისთან გაჩერებულყო და რაღაც კი იეჭვა მამამ, როგორც კარგა ხნის მერე ამტკიცებდა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

– თუნდაც ათი წლით დარჩეს, ხმა არავინ ამოიღოს, სტუმარი ღვთისაა! – გამოაცხადა ცოლის საყვედურებით გაბეზრებულმა.

იმ დილით კი, როცა წყალი აღარ იყო და, როგორც დამტკიცდა, არც არასდროს ყოფილა, კაცი მარტო ჩამოვიდა საძინებლიდან. სულ ეგრე იყო და არავის არაფერი უეჭვია. მაგიდას მიუჯდა და მხიარულად შეექცა საუზმეს. ეგრე იჯდა ლამის ერთი საათი და დაუსრულებლად ჭამდა. მაშინ შევამჩნიე, მამას მოუსვენრობა რო დაეტყო. თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ბედავდა. იმასაც ვხვდებოდი, მოთმინების ფიალა ევსებოდა და თავს ველარ იკავებდა.

– კაცო, სად არის ქეთო, ხო კარგადაა? – ამოღერდა ბოლოს და მეც ვიგრძენი, როგორ ამოისუნთქა დედამ შვებით.

– ეე, ქეთო რო ახლა აქა მყავდეს, რაღა მიჭირს, აბა! – ისეთ კილოზე იკითხა, გეგონებოდა, მთელი ცხოვრება სოფელში გაუტარებიაო.

– ქეთო, კაცო, შენი ცოლი?

– ქეთო, მამა. – ცივმა ჟრუანტელმა დამიარა. დედა სულ გაფითრებული იყო, მამა – დაბნეული.

– გაგიგონია? ეს რა ხუმრობაა, გაბოს ვენაცვალე, ეს რა ხასიათზე გაგეღვი-

და, ჰაა? – სიტყვებს თავს ძლივს აბამდა, მთლად მოტიტვლებული თავიდან ოფლის წვეთები შუბლზე, შუბლიდან – ცხვირზე, ცხვირიდან პირდაპირ მაგიდაზე მონვეთავდა და უხერხულ სიჩუმეს არღვევდა.

ვიგრძენი, ასე მძაფრად არც მანამდე და არც მას შემდეგ მიგრძენია, როგორ მინდოდა ბაბუა იქ ყოფილიყო, თავისებური ეთქვა და ყველაფერი ნამებში გაერკვია. დაბნეულობას შიში ცვლიდა და ყველა ხვდებოდა – მეც, დედაც, მამაც, თავად გაბოც, ასეთი ცხადი არასოდეს არაფერი ყოფილა.

მერე ნამოდგა და თქვა:

– ჩემი ცოლი ზუსტად ხუთი წლის წინ მოკვდა.



– სისხლს ვხედავ, – თქვა ლამარამ.

ლამარა პატარა ქოხში ცხოვრობდა. ქოხს კარი ჰქონდა მხოლოდ. თავის დროზე ფანჯარაც ყოფილა ახლა ამოვსებულ ადგილას, მაგრამ მე არ მახსოვს, ბაბუა მიყვებოდა. შვილი რო მოუკვდა, მაშინ ამოჭედა და მას შემდეგ მზის სინათლე არ ღირსებია. არც გარეთ გამოსული დაუნახავთ და, კაცმა არ იცოდა, როგორ მოიტანა თავი აქამდე, რას ჭამდა, რას სვამდა. სოფელს არ უყვარდა კითხვები, განსაკუთრებით ისეთი კითხვები, პასუხებს რომ ვერ მიიღებდა. ლამარას ქოხის სახურავი ჩამონგრევის პირას იყო, თუმცა ისეთი შეკრული, რო მზის სხივი ვერც ზემოდან აღწევდა. ყოველი დიდთოვლობისას გვეგონა, ახლა ველარ გაუძლებს და თავზე ჩამოენგრევა, მერე იქიდან დანაწევრებულს და დაშლილს ამოვიყვანთო – თქვენც არ მომიკვდეთ. აგერ თექვსმეტი წელი ხდებოდა, სახლიდან არ გამოსულა. ას წელზე მეტის იქნებაო, ამბობდნენ. მაშინ ვნახე პირველად და დავრწმუნდი. ასის კი არა, იქნებ ორას წლამდე ყოფილიყო. სავარძელში მიწოლილს ხმა ახალგაზრდული და ძლიერი ჰქონდა, ასაკისთვის შეუსაბამო. ეგ იყო სოფლის პირველი მოსახლე, ქმართან ერთად ლამის გაუვალ ტყეში პატარა ქოხი რო ჩადგა. ოჯახი იზრდებოდა და მაინც როგორღაც ეტეოდნენ იმ სახლში. მერე მიმოიფანტნენ. ნავიდა მაგის ქმარი რაჟდენა მეო-

რე მსოფლიო ომში და აღარ დაბრუნდა, როგორც ბევრი სხვა. დიდხანს ელოდა ლამარა. ძალიან დიდხანს, ნახევარ საუკუნეზე მეტს და მარტო მაშინ დაკარგა იმედი, მეოცე საუკუნე ოცდამეერთემ რო შეცვალა. შეცვალა და ერთადერთი შვილიც გამოეცალა ხელიდან. მაგის ხელში დალია სულიო ბაბუამ თქვა.

სახლი მონესრიგებული და სუფთა, მაგრამ აქოთებული იყო. შევდგით თუ არა ეზოში ფეხი, გულისრევის შეგრძნება ისე მომანვა, არ მეგონა თუ გადავრჩებოდი. თხის ყველისა და რძის საზიზღარი სუნი ჭიშკრამდე აღწევდა. სკამი მხოლოდ ერთი იყო და იძულებული გავხდი, მთელი საათი ფეხზე ვმდგარიყავი. ამკარა იყო, დედაბერი ვერ გვცნობდა. განა იმის გამო, თექვსმეტი წელი რო არ ვენახეთ, რაც, რალა თქმა უნდა, დიდი დროა – არა, უბრალოდ, რაც ქოხში გამოიკეტა, ველარავის ცნობდა. ერთი სული მქონდა, ამ ჯოჯოხეთს როდის დავალწევდი თავს.

ნახევარი საათის შემდეგ ცოტა შეეზა ვიგრძენი. თხის ყველისა და რძის სუნი ისე საშინლად აღარ მეჩვენებოდა, ალბათ, შევეგუე და ზუსტად მაშინ გავიფიქრე, რადგან ამას გავუძელი, ამ აქოთებულ ქოხს შევეჩვიე, გამოდის, ყველაფერს შეეჩვევა ადამიანი, განსხვავება დროშია, რამდენ ხანში მოახერხებს შეგუებას-მეთქი. თუ ასე იყო, ლამარაც შეეგუებოდა შვილის სიკვდილს, ისევე როგორც ქმრის დაკარგვას. იქნებ რამდენიმე წელი სჭირდებოდა, სამი ან ხუთი, იქნებ არც მაგდენი, თუმცა მაგას ველარასდროს გავიგებდით. იმავე ზამთარში მოკვდა. ის ზამთარი უცნაურად თბილი და უთოვლო გამოდგა, და ერთ დილას ტყის გზაზე მიმავალ ვაჟას მოსწყურდა. ვაჟა ერთადერთი იყო, ვისაც, ასე თუ ისე, იხსენებდა ლამარა. ესეც ცოტა გათამამდა და ხშირად სტუმრობდა მოხუცს. სოფელი იმასაც ამბობდა, ალბათ, ეგ არჩენს, ლამით თუ მიაქვს საჭმელ-სასმელი, აბა, სხვა რა უნდა იყოსო. წყლის დასალევად შევიდა და, ჩვეული ყინვა რო ყოფილიყო, ვერაფერს იგრძნობდა კაცი, მაგრამ, რადგანაც უჩვეულოდ ცხელოდა, სუნმა იქამდეც მიღწია და მიხვდა ვაჟა – ეს არ იყო თხის

ყველისა და რძის სუნი.

– სისხლი ძველია, ბევრია, გახუნებულ და თითქმის ყვითელი, – გვიხსნიდა ლამარა.

– ძველი სისხლი რას ნიშნავს? – ჩაეკითხა მამა.

– ძველი სისხლი, ძველი სისხლია, – ჩაიხითხითა ლამარამ.

– რალაცის გასარკვევად მივედით, თავადაც არ ვიცი, რისი გარკვევა გინდოდა და იქიდან უფრო დაბნეულები წამოვედითო, – ეუბნებოდა სალამოს დედას.

– ახია თქვენზე, – ბრაზობდა დედა, – გამოშტერებულ ლამარას უსმენთ. სისხლიო, არა? თანაც ძველიო, გახუნებულ.

– ეგრე თქვა.



– შენ არაფერი იცი. არაფერი, იმის გარდა, რომ უნდა ეცოცხლა. უნდა ეცოცხლა. უნდა ეცოცხლა. პირველს მას უნდა დაეტირებინა შენი თავი, შენი ჩია, დამპალი სხეული, რომელსაც ბავშვობიდან ვერ იტანდი და თუ სიკვდილი იყო, ეგრე არა, ეგრე არა, ეგრე არ უნდა მომკვდარიყო. ამოცნობაც ძლივს მოახერხე. არ გინდა გახსენება და მაინც ყოველდღე გესიზმრება, ყოველი ღამე კომპარულია. მიეჩვიე კიდევ. ყოველ ღამე ჩადიხარ მორგში, გესმის, როგორ იხსნება ის საშინელი ტომარა, ის ხმა დღემდე ყურებში ჩაგესმის და ხედავ, ხედავ, პირისპირ ხედავ მის სახეს, დასახიჩრებულს და მაინც ლამაზს. ბავშვი იყო, ჯერ კიდევ ბავშვი და რამდენიმე თვეში ამთავრებდა სკოლას, მიზნები და ოცნებები ჰქონდა. თავს ადანაშაულებ და მართალიც ხარ, შენ ხარ ერთადერთი დამნაშავე და პირველივე დღიდან შეძელი აღიარება, ხმამაღლა თქმა. გამშვიდებენ, შენ რა შუაში ხარო და ყველა, უკლებლივ ყველა გძულს: მეგობრებიც, ოჯახის წევრებიც, საკუთარი ძმაც კი, ყველა, ვინც ამას გეუბნება და ფიქრობენ, რომ ეს სიტყვები გულს დაგიამებს. უნდა წასულიყავი იმ დღეს სკოლაში, უნდა წასულიყავი და გამოგეყვანა. ვერ წახვედი, რადგან დილიდან მთვრალი იყავი. ვერ წახვედი პირველად და უკა-

ნასკნელად. შენი აზრი იყო, შენი დამპალი აზრი ქალაქში ჩამოსვლა, აქაოდა, დიდ ქალაქებში განათლებას უკეთესად იღებს ადამიანიო. გეგონება, რამე იცოდი, რამე გესმოდა და დადექი არჩევანის წინაშე – ან სასმელს მოაკვლევინებდი თავს, ან აღარასდროს დალევდი. სასაცილოა და გადაწყვეტილება რთული მისაღები აღმოჩნდა. ქელები არ ყოფილა, რადგან გძულს დაკრძალვის მერე სუფრაზე მოყრიამულე ხალხი, გულს გირეეს და სულ ფეხებზე დაიკიდე, ვინ რას იტყვოდა. ერთი წლის თავზე კი მიხვდი, მიხვდი თუ იგრძენი, ალბათ, უფრო მეორე, რადგან ვერასდროს ვერაფერს ხვდები. იგრძენი – ბედნიერება ვერასდროს იქნება ისეთივე ხანგრძლივი, როგორც ტკივილი. ბედნიერება წამიერია და როგორც არ უნდა გაგიხარდეს, სწრაფადვე მთავრდება, ისევე სწრაფად, როგორც მოდის. ტკივილი კი სხვაა, ის ნელა მოდის და არასდროს გტოვებს, შენში იჟლინდება, ფესვებს იდგამს და ბოლომდე გინოვს. გასწავლეს, ცხოვრებამაც და ხალხმაც, ყველამ გასწავლა, რომ სამყარო ვერ მოგერგება, შენ უნდა მოერგო სამყაროს. უნდა გქონდეს მიზანი და გეგმა, მიზნის მისაღწევად სიფხიზლის დღეებს გაჭირვებით აგორებ, რადგან არჩევანი მართლა არ ყოფილა ადვილი, ადვილი, როგორც შორიდან ჩანს. ყველაფერს ამარცხებ, ამარცხებ საკუთარ თავს, სხვების აზრებს ამ შენს მოქმედებებზე, შენი სხეულის აუტანლობას. მერე იწყება, იწყება დიდი ბრძოლა სამყაროსთან. ორი წელი, არც მეტი და არც ნაკლები, ზუსტად ორი წელი ანდომებ მარცხენა ხელით წერის სწავლას. გახსენდება გამომძიებლის მიერ გადმოცემული წერილები, სუფთა, ლამაზი ნაწერით, უცნაურად გადახრილი, როგორც ცაცხვებს ახასიათებთ. არ გაინტერესებს, სრულებით არ გადარდებს, რა წერია იმ წერილებში. შენ არ ნაგვიკითხავს არც ერთი წინადადება. წერილები მხოლოდ იმისთვის გჭირდებოდა, რომ ზუსტად გესწავლა ყოველი ასოს მოყვანილობა, უკლებლივ ყველა ასოს დახრის კუთხე. ნელა მუშაობდი, იმდენად ნელა, შიში გიპყრობდა, რომ ველარ მოასწრებდი. და აი, ორი წლის შემდეგ, შეუძლებელია ნაწერის გარჩევა.

კმაყოფილი ხარ, რაც გააკეთე, ამაყობ, სანადელს რომ მიაღწიე. დიდი ხნის მანძილზე პირველად გეუფლებო კმაყოფილების შეგრძნება. ახლა სიგარეტსაც სხვა გემო აქვს, ყავასაც, რომლის გარეშეც უკვე წლებია, ერთ ღერსაც კი არ ეწევი და რადგან ყველაფერმა, რაც ისწავლე, დავინწყება იცის, ყოველდღე წერ. წერ ათასგვარ სისულელეს, ხელი რომ არ გაგიფუჭდეს. წერ და იმავე ღამეს წვავ, ბუხარში აგდებ და ანადგურებ. ახლა დაისვენებ, ძალებს მოიკრებ და იმას გააკეთებ, რაც დიდი ხნის წინ უნდა გაგეკეთებინა. თაბახის ფურცელს იღებ და წერას იწყებ: „გადანწყვეტილებას ვიღებ მშვიდად, სრულ ჭკუაზე მყოფი. რადგან ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. ყველაფერს ვნანობ, განსაკუთრებით კი იმას, რომ ეს ყველაფერი აქამდე არ გავაკეთე. თუ შეძლებთ, მაპატიეთ“.



– მღვდელი არ მოვა. მოაბით თოკები და ჩავუშვათ, რას მომაჩერდით! მამა იოსებმა თქვა – ვერაო, თვითმკვლელებს ვერ ავუგებთ წესსაო! – ლამის ყვიროდა მესაფლავე. ჩვენ კი ვიდექით და ვაკვირდებოდით მასწავლებლის ცხედარს. საშინელი სანახავი იყო, თავი შუაზე ჰქონდა გადამსკდარი.

აკი ამბობდა ლამარა, სისხლს ვხედავო. მართალი ყოფილა.

მასწავლებელი ჯერ კიდევ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. რამდენიმე წლის წინ დაბრუნდა ქალაქიდან. ნუთუ ამისთვის? ასე რატომ უნდა დაესრულებინა ცხოვრება? თავის მოკვლის უმტკივნელო გზები არსებობს, რამდენიც გენებოთ. დალევ დიდი რაოდენობით საძილე აბებს თუ რაღაც მაგდაგვარს და მორჩა, იძინებ. ასე რატომ გააკეთა? ეს კითხვები ამეკვიატა და მთელი დღე მოსვენებას არ მაძლევდა.

– გამოდი, უნდა დააჭედონ, არ გირჩევ მაგ ხმების მოსმენას! – თქვა მამამ და საფლავს გამარიდა. მგონი, საერთოდ ალაც ახსოვდა, ეგ ხმები ხუთი წლისამ რო გავიგე მისივე დაუდევრობით ან იქნებ უბრალოდ ეგონა, მაშინ ბავშვი იყო და რას დაიმახსოვრებდაო. მე კიდევ სამი წლიდან ყველაფერი მახ-

სოვს, სულ ყველაფერი.

ის საშინელი სანახობა დღემდე მახსენებს თავს. დილიდან მაფრთხილებდა მამა, არ ნამოხვიდე ან თუ ნამოხვალ არაა აუცილებელი შეხედოო.

გასროლის ხმა დილაადრიან გაისმა. მეხის გავრადნას ჰგავდა. გვაფრთხილებდა ლამარა, ბევრი სისხლი ჩანს, ძველი სისხლიო, თუმცა, როგორც მერე იხსენებდნენ, სისხლი წითელი იყო. წითელი და ახალი, ბევრი კი ნამდვილად დახვდათ. მთელი სახლი მუავე, გულისამრევ სუნში იყო ჩაძირული. გამომძიებლები ნახევარ საათში მოვიდნენ. საეჭვო არაფერი იყო, კაცმა თავი მოიკლა, წერილი დატოვა, რომელშიც ყველაფერი გასაგებად ეწერა. „გადანწყვეტილებას ვიღებ მშვიდად, სრულ ჭკუაზე მყოფი, რადგან ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. ყველაფერს ვნანობ, განსაკუთრებით კი იმას, რომ ეს ყველაფერი აქამდე არ გავაკეთე. თუ შეძლებთ, მაპატიეთ“.

– ექსპერტიზის პასუხები ერთ კვირაში იქნება, ამდენი ხანი ვერ გავაჩერებთ“-ო, – იმეორებდა ჭალარა გამომძიებელი.

– კაცო, წესს არ აუგებენ, არ აზიარებენ, – შეეპასუხა ვილაც.

– ეგრე ყოფილა მაგის ბედი, – ხელი ჩაიქნია გამომძიებელმა. – არ იცით თქვენ ამ ექსპერტიზის ამბები? ერთ კვირას გეტყვიან და, კაცმა არ იცის, როდის იქნება პასუხი. თანაც ასეთ აშკარა საქმეში. ეზარებათ, ყველა ფეხს ითრევს და ბოლოსთვის ინახავენ. თუ დამიჯერებთ, დამიჯერებთ, თუ არადა, თქვენი საქმისა თქვენ იცით. აბა, რას მეუბნებით, რა პასუხს ელოდებით. შეხედეთ წერილს, მთელმა სოფელმა იცის მაგისი ნაწერის ამბავი. დანერა და გააკეთა, ჰა, დაიშალეთ ახლა.

სხვა რა გზა იყო, მესამე დღეს დაასაფლავეს მასწავლებელი. მღვდელი არ მოსულა. მღვდელი კი არა, ნახევარმა სოფელმა თავი შეიკავა მოსვლისგან. სოფელში აქამდე თავი არავის მოუკლავს და რაღაცამ შეაშინათ. იქნებ იმან, რამე წყევლა არ იყოსო. სოფელს ხო ასე უყვარდა ცრურწმენები ყველა სხვა სიკეთესთან ერთად.

გამომძიებელი მართალი აღმოჩნდა, ლამის მთელი თვე ელოდნენ პასუხებს.

იმ დღეს მთელი სოფელი გარეთ იყო. გიორგობის თბილი სალამო იდგა და დიდი სუფრა გაეშალათ. უკვე კარგად შემთვრალეს აღარც ერთმანეთის მოსმენა ახსოვდათ და აღარც სადღეგრძელობისა. ქალები სუფრას ანესრიგებდნენ, შედარებით ფხიზელი კაცები მწვადებს წვავდნენ. სუფრა იქ იყო გაშლილი, სადაც უნდა ყოფილიყო – სოფელში ერთადერთ ტრიალ მინდორზე, ზემოდან სოფლებების აშენებული სალოცავი რომ დაჰყურებდა თავზე. ყოველი შემდეგი ჭიქის მერე ვხვდებოდი, სასმელი ზედმეტად მეკიდებოდა. იქამდე ამდენი არასოდეს დამელია და ღვინოს არაყივით ვსვამდი – ერთ მიყუდებაზე გადაეკრავდი და პურს ვაყოლებდი. სწორედ მაშინ მოვიდა ჭალარა გამომძიებელი, ძიანოდარა, როცა ყოვლადწმინდისა უნდა შეგვესვა, ანუ უკვე კარგად შებინდებული იყო. შებინდებული კი არა, ერთმანეთს ძლივს ვარჩევდით.

– ყველანი აქა ჰყოფილხართ, აი, – წელში ძლივს გაიმართა, სულს ველარითქვამდა იმ აღმართში ამოსვლის მერე. – მიდი, ბიჭო, სკამი მომიტანე, – გასძახა ვილაცას იმ უკუნით სიბნელეში და მართლა მოურბენინა იმ ვილაცამ სკამი.

– რა ხდება, კაცო, ხო მშვიდობაა? – იკითხა მამამ, – ამოისუნთქე და გვითხარი.

– ერთი აქეთ მოდი, აბა! – კბილებში გამოსცრა ძიანოდარამ.

გავყევი. ვიცოდი ვერ შემამჩნევდნენ. ძველი ბანაკისკენ წავიდნენ, აუზს ამოეფარნენ და მეც წამებში გავჩნდი მათთან. თან სულ უკან მრჩებოდა ყურები, ვინმე სხვაც ხო არ აგვედევნა-მეთქი, მაგრამ არაფერი გამიგია.

– ცუდი ამბავია, – ძლივს ამოილაპარაკა გამომძიებელმა. ცუდად მესმოდა და კიდევ უფრო ახლოს მივედი. ლამის გვერდით ამოვუდექი.

– ეს რო მაგათთან მეთქვა, ერთი ამბავი ატყდებოდა. ჯერ მე მომდგებოდნენ, მერე პანიკაში ჩავარდებოდნენ, ამიტომ გეუბნები შენ. მე კი ვიცი, ადრე თუ გვიან გაიგებენ, მარა ხო იცი, მე და შენა არაა...

– კაცო, აღარ იტყვი რა მოხდა? – გაცხარდა მამა.

– ექსპერტიზის პასუხი მოვიდა. ჩვენი მასწავლებელი ცაცია იყო, გასროლა კიდევ მარჯვენა მხრიდან მოხდაო. აბა, მითხარი, ვინ იზამდა ეგრე? შანსი არაა, მემარცხენემ მარჯვენა მხრიდან გაისროლოს. თანაც სროლა საფეთქელზე მიბჯენით არა ყოფილა, არც დიდი მანძილით, მარა... ალბათ, აიძულეს ის წერილი დაენერა? მარა ვისა, კაცო, ჰა? ვის რაში უნდოდა, ვერ გამიგია. ხოდა, დაანერინეს ეგ წერილი და მერე მოკლეს. თავი არ მოუკლავს, მაგას წყალი არ გაუვა.

მერე იყო სიჩუმე, საშინელი სიჩუმე, რომლის მსგავსიც არასოდეს არაფერი განმიცდია. სულ ათი წამი თუ გაგრძელებოდა, ათი წამი, რომელიც საუკუნედ მეჩვენებოდა. სანამ რამეს იტყოდნენ, გამოვიქეცი და აღარაფერი გამიგია. არც მოქეიფეები გამხსენებია და აღარც მამაჩემი. სახლისკენ გავიქეცი შეშინებული და გაუხდელად დავნექი ლოგინზე. მთელი საათი ჭერს მივშტერებოდი, ვერაფერზე ვფიქრობდი. მამა დილამდე არ დაბრუნებულა. მზის ამოსვლამდე ჩამეძინა და მხოლოდ სალამოს გამაღვიძა დედამ გაჭირვებითა და ჩხუბით, აბა, ახლა ამათ აჰყევი სმაში და კაი ჩიტსაც დაიჭერ. ადევ ამდენი საქმეა გასაკეთებელიო.

– გაბო სადაა? – ვკითხე დედას.

– შენ რო, გეძინა წავიდა. კი ძალიან დასწყდა გული, ასე დაუმშვიდობებლად რო მიდიოდა, მაგრამ ვერაფრით გაგალვიძეთ.

– როგორ, ასე უცებ?

– რალა უცებ, გახსოვს მაინც რამდენი ხანია აქაა?

– მამამ ხო თქვა, რო...

– წავიდა, მორჩა. ადექი!



გაბოს გეძახიან. გაბრიელი დაგარქვეს და რადგან პატარაობიდან ასე გეფერებოდნენ, დღემდე გაბოს გეძახიან. შენ დიდი ხანია, აღარ იცი, რას ნიშნავს სიმშვიდე. იმდენად დაგავინწყდა, ვერც კი ხვდები, შენს ახლანდელ მდგომარეობას სიმშვიდე რომ ჰქვია. ახლა შეგიძლია გადააგდო, გადააგდო და მოიშორო ის, რასაც წლებია ჯიბით ატარებ. შარვლის უკანა ჯიბეში ჩაკეცილს გამოუდმებით

რომ ამონებდი, სადმე ხომ არ ამომივარდაო. დღე რომ არ გასულა მისი წაკითხვის გარეშე და ასე გამძიმებდა, გამძიმებდა იქამდე, ვიდრე თავად არ აასრულებდი სამართალს, რადგან მიხვდი, რომ სამყარო მართლა ვერ მოგერგება, რომ შენ უნდა შესთავაზო შენი წესები და სამართალსაც თავად უნდა მიაგნო, თუმცა სამართალი ზუსტი უნდა იყოს, ბასრი – თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ! შენ არ გჯერა, დიდი ხანია აღარ გჯერა, რომ ღმერთი სამართლიანია, რომ მეორე ლოყას თუ მიუშვერ, მერე დაგიფასდება. არ გჯერა და მაინც ინერ პირჯვარს, მაინც ლოცულობ. არა საკუთარი თავისთვის, რა თქმა უნდა არა. არც იცი, ამას რისთვის აკეთებ, რადგან თუ არ გნამს არ უნდა გნამდეს. არადა, როგორი ბავშვი იყავი – ღვთის მოშიში, მონრმუნე, ძალიან კი დაგიფასდა, არა? იქნებ გამოცდა იყო. გამოცდა და ჩაიჭერი. შენ არ გჯერა, რომ ღმერთი ეგეთ გამოცდებს აწყობს და თუ აწყობს, მაშინ არ გინდა, რომ გესმოდეს. აღარ გინდა, დაილაღე. რაც გააკეთე, არასდროს ინანებ, რადგანაც ეს არ ყოფილა ცხელ გულზე გაკეთებული. უამრავი წელი შეალიე ამაზე ფიქრს და არ გაგნელებია და თუ არ გაგინელებია, ეგ კი არა, ყოველდღე თუ უფრო მეტად ელოდებოდი ამ წამს, გამოდის, რომ სწორად მოქცეულხარ. „არ ინანო! არ ინანო! არ ინანო არასდროს, რაც გააკეთე!“ – უმეორებდი საკუთარ თავს. „უნდა გადაადგო, უნდა მოახერხო შარვლის უკანა ჯიბიდან ბოლოჯერ ამოღება ამ დაწყვეტილი ფურცლისა და ისიც ისევე დანვა, როგორც ყოველდღე ნვაავდი უაზროდ დანერილ წერილებს. შეძლებ! აიღებ და ნაიკითხავ, ნაიკითხავ უკანასკნელად!“ ოქმი N 27821: გარდაცვლილის ასაკი: 17 წელი. მ.დ. გაბრიელის ასული. გარდაცვალების მიზეზი: ცივი იარაღით მიყენებული მრავლობითი ჭრილობა ყელის არეში. გაუპატიურება არ ყოფილა. გარდაცვალების თარიღი: 28 მარტი. აღმოჩენილია მასწავლებლის ანაბეჭდები ჩანთაზე. მასწავლებლის ჩვენებაში ნათქვამია, რომ მ.დ-ს ჩანთა დარჩა, რის შემდეგაც მან დაურეკა და ჩანთა მიუტანა სკოლასთან ახლოს. ზარი დაფიქსირებულია გარდაცვლილის მობილურზე და გრძელდება თორმეტი წა-

მის განმავლობაში. მკვლელობის იარაღზე ანაბეჭდები აღმოჩენილი არ არის... და არასდროს დაგავინწყდება, როგორ ამბობდა, მეო არაფერში ვარ დამნაშავეო და მე იმ წამის შემდეგ, ჩანთა რომ დაეუბრუნე, აღარ მინახავსო. შენ შეგეძლო ყველაფერი მაშინვე გაგეკეთებინა, იმ დღესვე, რადგან იცოდი, სადაც ცხოვრობდა, იცოდი, სად შეიძლება გენახა, თუმცა მაშინვე ყველაფერი გაირკვეოდა და დარჩენილ ცხოვრებას ციხეში გაატარებდი. ეს საკმარისი არ იქნებოდა, ერთი გასროლა და ყველაფერი დასრულებლია და არანაირი ტანჯვა, მაგრამ, თუკი არ გნამს, თუ ფიქრობ, რომ მერე აღარაფერია, რა მნიშვნელობა აქვს, წესს აუგებენ თუ არა. ჯანდაბამდე გზაც ჰქონდეს, მთავარია, შენს თვალწინ დალიოს სული, ტკივილი იგრძნოს და როცა თვალებში ჩახედავ, შიშს დაინახავ, შიშს არა სიკვდილისა, არამედ იმისა, რომ სიმართლემ გაიმარჯვა, რომ ვილაც მაინც მიხვდა ყველაფერს და არა მხოლოდ მიხვდა, ზუსტად ის გააკეთა, რაც უნდა გაეკეთებინა. წერილს ხსნი და ანახებ, რაც წერია, ეუბნები, ხმამაღლა ნაიკითხოს და ისიც კითხულობს. „გადანწყვეტილებას ვიღებ მშვიდად, სრულ ჭკუაზე მყოფი, რადგან ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. ყველაფერს ვნანობ, განსაკუთრებით კი იმას, რომ ეს ყველაფერი აქამდე არ გავაკეთე. თუ შეძლებთ, მაპატიეთ“. მერე ხედავ, როგორ ფითრდება, ფითრდება, რადგან იცის, რაც ელის. ხვდება, ძალღვივით მიაყრინა მინას და აღარავინ გაიხსენებს. წესსაც კი არ აუგებენ, მთავარი ხომ ეგაა. ამდენი წელი ხომ ზუსტად მაგის მისაღწევად ინვალებ. ნანერს საკუთარისგან ვერ არჩევს და იქნებ იმასაც კი ფიქრობს, რომ აგონიაში მყოფმა მართლა თავად დაწერა. თუ უდანაშაულოა, თუ მართლა მას არ ჩაუდენია, ახლა უნდა თქვას, ისევ უნდა გაიმეოროს, რომ ბოლოს მაშინ ნახა, ჩანთა როცა მიანოდა და უკან არ ასდევნებია. ველარაფერს ამბობს. ასეც იცოდი. უკანასკნელი ეჭვიც გიქრება და მშვიდად დებ წერილს მაგიდაზე, მის სამუშაო მაგიდაზე წიგნებთან და ჩანაწერებთან ერთად. მერე ყველაფერი მარტივად სრულდება, იმაზე მარტივად, ვიდრე წარმოდგენა შეგეძლო.

●
სოფელმა იცოდა დავიწყების ფასი. მართლა იცოდა. სოფელს შეეძლო ღრმად, ძალიან ღრმად დაემარხა ის, რისი გახსენებაც არ უნდოდა, თუ არ აწყობდა და ნებისმიერს აღუდგებოდა წინ, ვინც მის ამოთხრას შეეცდებოდა. ნებისმიერს, იმის გარდა, ვინც თავად ჩამარხეს, რადგან იმან ძალიან დიდი სიღრმიდან და, კაცმა არ იცის, რის ფასად, ამოსვლა მოახერხა. მოახერხა და ახლა თავად სოფელი ველარ აღუდგებოდა წინ. განა იმიტომ, რომ აღარ შეეძლოთ, აღარ უნდოდათ უბრალოდ.

ხანგრძლივი წვიმები ისევ მოვიდა და ამჯერად აღარვის გაჰკვირვებია. არც ყველაზე მოხუცებს უთქვამთ, აქამდე ასე გადაბმულად არასოდეს უწვიმიაო.

ჩვენ მაინც გვინევდა გარეთ გასვლა, საძოვრებზე, ურმებით შეშის მოსაზინდად, წყაროდან წყლის მოსატანად და სხვა საქმეებზე. სახლში შეყუყულებს, ლუმელთან მიხუტებულებს, საკუთარ თავში ჩაკეტილებს და ჩაფიქრებულებს, ყველაფერი გვახსენებოდა. ამბებს თანმიმდევრულად ვაწყობდით.

– მე თქვენი ლაპარაკი გავიგე მაშინ, ძველ ბანაკში გაყურადებით, – გაუუბედე მამას მარტო რო დავრჩით.

– ვისი ლაპარაკი?

– აი, შენი და ძია ნოდარასი.

სიგარეტს მოუკიდა. დედა თუ სახლში არ იყო, მხოლოდ მაშინ ეწეოდა. ჩაეცინა. მივხვდი, ჩემი თქმის გარეშეც იცოდა.

– ასე უცებ საიდან გაჩნდა? ან მერე როგორ გაქრა ეგრე, თითქოს მინამ ჩაყლაპაო?

– მინამ კი არ ჩაყლაპა, მე გაუუშვი. დღეს წავა, – მითხრა და მეორე ღერი ამოიღო.

ვერაფერს ვხვდებოდი. ყველაფერი რაც თავში დალაგებული მქონდა, ხელახლა ამერია. არაფერი მესმოდა.

– გინდა გითხრა?

– მითხარი.

და თქვა:

– კი არ გაჩნდა, გაბო ყოველთვის აქ იყო, ჩვენ გვერდით. ჩვენ კი ვერ ვხედავდით ან არ გვინდოდა დაგვენახა. არასოდეს წასულა მთელი ამ დროის მანძილზე. ეგრე მგონია და კიდე იცი, რა მგონია? ჩვენ, ყველამ, ვიცოდით, რის გაკეთებას აპირებდა. რაც მაშინ ძია ნოდარამ მითხრა, მგონია, ყველამ იცოდა, თავად ძია ნოდარამაც კი. განა იმ დღეს, თავიდანვე იცოდნენ და არათუ ხელს არ უშლიდნენ, ეხმარებოდნენ კიდეც. სოფელმა დავიწყების ფასზე მეტად, სამართლიანობის ფასი იცის, გახსოვდეს ეგ. ჩვენ მხოლოდ იმას ვხედავდით, რისი დანახვაც გვინდოდა. ჩვენ არ შეგვეძლო გაბოს ტკივილის გათავისება, რადგან მატყუარები ვართ და არც გამოგვდის. თვალს ვარიდებდით და არ ჩანდა იქამდე, ვიდრე არ გვაიძულა, დაგვენახა. ჩვენ არ გვინდოდა, მაგრამ სხვა გზა არ დაგვიტოვა. ყველამ დავაშავეთ მის წინაშე, ამიტომ დადიოდა კარდაკარ. მიდიოდა ყველასთან და იძულებულს გვხდიდა, სიმართლისთვის თვალეში ჩაგვეხედა. ჩვენ მშიშრები ვიყავით და, ალბათ, ახლაც მშიშრები ვართ. ყველასთან მივიდა, ყველა ოჯახთან, ერთის გარდა. მასწავლებელს ბოლოს მიაკითხა. ყველამ ყველაფერი ვიცოდით და აღიარებას ვერ ვებედავდით. ის კი არა, ხანდახან ვფიქრობ, თავად მასწავლებელმაც იცოდა-მეთქი. იქნებ მართლა იცოდა და, როცა კარი გააღო, როცა ბოლოს და ბოლოს იქ გაბო დაინახა, შვებით ამოისუნთქა, ხვდები?

– კი. ვხვდები-მეთქი, – თავი დაუუქმნე.
მერე გარეთ გავედი აზრზე მოსასვლელად, ცოტა სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად და ჩამონოლილ ნისლში ძლივს გავარჩიე პატარა, გალეული კაცის სილუეტი, რომელსაც გვერდით შავებში ჩაცმული ქალი მიჰყვებოდა.



ქეთი ჯოღბორდი

№ სავსეა მთვარე

თოვლია ნაკარნახევი
სულ მცირე, საათ-ნახევრით
ქართლის მინდვრებზე ამაღამ.
ცა – მოსამართლე ხავერდის,
ღრუბელი – სევდის ნახევრით,
მე – უშენობის ამარა.

მწვერვალებამდე მზერიდან
ვასამებ მანძილს ზეპირად –
ვერუხვედრების ალგორითმს,
რომ ყველა დროის ფერი ზმნა
ნიშნავდეს თოვას. მესიზმრა,
ამბორი თეთრი ანგორით.

ხემის შეხება კონტრასს
ტემბრს შეუხამებს კონტრასტად
და ვიდრე გრძნობას მორთავდეს,
დამახურინებს კორტასარს.
მერე ხელების კორსეტში
შენც ყველა ვნება მოთასმე.

ამაღამ უნდა მოგორდეს
და სისავსეში მოგროვდეს
მთვარე ამბების გარსხვევით.
და როგორც ტრფობის ბოლო წრედს,
მიგვანერს ციურ ბომონდებს –
„კომეტის ორი ნამსხვრევი“.



წაშლილი სიტყვის ადგილზე
ჩნდება ყოველთვის სივრცე
ფიქრისთვის, თუ გსურს გაგრილდე,
ქარებს გაანდე მყისვე,
რომ გინდა გაზაფხულამდე
თოთო ღამეში მკიდე,
სიყვარულს. ძილში, მუხაზე
მოხაზე გულის კიდე.

შეეხე მის მრუდ რელიეფს,
მიჰყევი ბგერის ჩარჩოს,
შეახე სუნთქვა ფერფლისფერ
სიტყვის ფერფლს, თუკი გახრჩობს.

ჰო, აზრზე დგომა გულისხმობს
დროზე დადგომას, ვგონებ...
მზერის გაკანწვრა უსისხლოდ,
მზის ჩასვლის წამი, მონე.

მერე განცდების შემოსვით
გააზრებული ვარდნა...
აერო, წყალი, თან შოსე.
სურნელს გასტაცებ ვარდნარს.

წაშლილი სიტყვის ალაგი,
ანდამატივით გიხმობს,
მაგისტრალიდან ქალაქში
შესავლელი ხარ თითქოს.

ჩრდილი. ფასადი. აკრილი.
სილუეტები. ფერმწერს
შეხვედები სიმულაკრული,
გრძნობის ასლიდან შენ გწერს.

ხმა სიზმრიდან

„სად გადის ჩემი სარკმელი,
არ გაუმხილო დილას“.
დ. წერეთლიანი

შენი სახელი
ვუმეორე სულის განჯინას
სიტყვა კოდივით
და გამებად თან სულ გამებნა.
ამ მოჩვენებით
გაზაფხულსაც მზე თუ გარჯის და
ისევ ხანგრძლივად

დაიღვრება დაუნანებლად,

შენს გვერდით, ჩვეულ
 შემეძლება ფიქრით დაგკავდე
 და მზერის ძაფებს
 წარმოსახვის ბალი დაგკიდო,
 კუნწულებიდან
 ცალი მწიფდეს, ცალი ლარნაკებს,
 აყვავილებდეს
 და სურნელით გაგვინაპიროს.

ხმა სიტყვას ჰყოფნის –
 დაგვეწევა შესულს ღელვაში,
 ხან ტალღას ნება-
 ნება მივდევთ, ვემორჩილებით.
 ხან ვიმორჩილებთ
 და ვნებები, როგორც მძევალი,
 ისევ ვენებზე
 ამოსახეთქ გზებს მარჩიელობს.

ეპიზოდურად
 გადაკარგვა უხმო სიტყვებში,
 საკუთარ თავთან
 გამოყოფა და სითანაბრე.
 მიყვარს, როდესაც
 უყველაფროდ, თოვლით მიყვები,
 როდის მფიქრობ ან
 სიცივეს თუ გავუთამამდე.

ხმითაც მიაბზე,
 როგორია ხედი მანდედან,
 მხოლოდ დუმილში
 არ გაივლოს გრძედი, განედი.
 მინდა მესმოდეს,
 რომ ემთხვევა სიზმრის ხმა დედანს,
 ანუ შენ – ბგერას,
 როგორც ბადე და მე გავები.

Legato

წამს რომ გადმოშლის ღამის ზმანება,
 სიტყვის ნაღმები მასზე რჩება განაკანრივით.
 ასე მინაწილებს დილის ფერებს,
 მაგრამ არ აცხადებს წყვედიადიდან,
 რომ მას შეუძლია სუნთქვით კანს
 შეეხოს და საპასუხო იყოს ჩემი
 ნაკვთების ჩუმი შერხევა,
 როგორც ქარის ხეებში გავლისას

ანრილება ტოტების.

გაუმხელელია მისი სიტყვის
უსიერი იდუმალება.
ამიტომ არაფერი იცით ღამეებზე
და როდესაც ჩიტები ეშვებიან ვერტიკალებად,
მხოლოდ ამინდი ავლენს
შესაძლებლობას მისი სიჩუმის გახმოვანების.
ინვიმა – გაისმა,
ითოვა – დამთოვა,
იქროლა – მიხმო
და გათენების მკლავებმა ერთხანს,
ხელახლა შეგვახო ერთმანეთს
სიბნელიდან ანარეკლებით.

არაფერი გეცოდინებათ დღეებზეც,
თუ აქ ახდება სიზმრის სახიფათო შემობრუნება.
მე გარინდებული ვიდგები
სიცხადის ზღვარზე და
ჩურჩულის მოლოდინიც შეყოვნდება
ღამის მდგმურივით.

სამყარო სიტყვების ველს სცილდება.
ვერასდროს გაიგონებთ,
უამინდო ხავერდით იგრძნობა
მისი ძახილი ხმაში.

ECHO OF LOVE

1

ჩემი თმა და შენი ღუმილი ერქმევა ამ ლექსს,
ამითი მიცნობ.
უხმო მზერით
როცა შენ წყალთან ჩემზე საუბრობ,
რგოლებად ფართოვდება მის ზედაპირზე ჩვენი სიყვარულის
ექო.
აქ ვინყებით: შენი ღუმილი გადამენდილ ცას ემსგავსება
და ჩემი თმა, როგორც მდინარე მიედინება ქვებში.
მე კი, ადგილზე ვრჩები, გელოდები და თან ვმისნობ:
რომ მოხვალ, არ ვიცი რა დაგახვედრო –
თვალეებში გარინდული სიჩუმე,
თუ ბგერებით ხმის შრიალი,
რადგან ჯერ მკაფიოდ არავის განუსაზღვრავს,
ღუმილში მეტი დრამაა, თუ სიტყვებში.
ამიტომ ისევ ვიჩვევ საკუთარ თავს,
გვერდით მოვისვამ, მოვუსმენ.
გამოვეყოფი ჩემივე ნაწილს და
შორიდან ავირეკლავ ერთად

გაცხადებულ „ჩვენს“,
რომელშიც ისეთი სინამდვილეა,
რომ მხოლოდ სიმართლის გამხელისთვის იკითხავს:
– სადაა გადამრჩენელი?
– სადაა ნუგეში, როგორც სიტკბოს ნატეხი სტიქიების ჩასაფ-
რებისას?
არც ერთი ხმა არაა სუსტი ლოცვისთვის.
ვიცი, პასუხად მიგებებებში
ამოსუნთქვა იქნება ღმერთის.

2

გადავიკარგეთ ერთმანეთისთვის.
შენ ნახვედი სიყვარულიდან,
როგორც ბავშვობაში
ულრანი ტყის პირას
დამალობანას თამაშიდან
ნებით გასული,
მე სამუდამო შიშმა მომიცვა.
ახლა კი,
ამდენი ხნის შემდეგ
შენ იმდენად ამრუდებ გზას
სიახლოვის სიმორებით,
რომ უკვე ვშიშობ...
მერე რა იქნება,
მოგისწრო და უკვე გადალლილს?
ამიტომ მინდა,
სიცივემდე დარჩეს მნიფე დღეები,
სამყარო მისმენს და თითქოს ქარვის ატომებს გვიმზადებს...
რადგან ვინ იცის,
რამდენი განსხვავება ემჩნევა ზამთარს,
მას გამოვიცვლით, გადავიტანთ თუ გადავრჩებით.
ვიცვლი განწყობას და აღარც მიკვირს,
რომ არ არის ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ მივინწყებული იქ,
სადაც უყვართ და მაინც შორდებიან.

3

ჩამკიდებ ხელს?
და პასუხი – კარდიოგრამის მრუდი,
მხოლოდ ვერტიკალური,
ბგერებით სტრიქონებში რომ ჩაიშლება.
ხმოვნები თაღოვან ხიდებს მოგაგონებს,
ისეთს,
ბავშვობის სიზმარში ფერად ტერასებს
რომ ედგა შარავანდედად.
მეც წარმოვიდგენ,
როგორ გადავრბივართ ერთი ხიდიდან მეორეზე,
ნაცვლად იმისა,
რომ გამოვიტანო სიტყვის ექოდან აზრი.
როგორ შეიძლება მეთქი,

ამდენი სიმკვეთრე,
ჩაგკიდე ხელი და გამოვფხიზლდი.

4

შენს ვერც ერთ სილალეს დამაბრალებ,
შენკენ გამოწვდილი სიტყვებით
მხოლოდ სევდის შეფუთვის ვცდილობ,
რომ ყველაფერი არის კარგად
და ეს „კარგად“ არის ხშირად გვიანი...
ვერც ხანგრძლივ მტვრადყოფნას
დამაბრალებ ნივთების ზემოთ.
საკმარისია სულის ერთი შერხევა,
რომ ხმები ამოფრინდნენ სისადავიდან
და გადაფარონ ყველა მზაობა,
რომელიც შენთვის ლოდინს ჰგავს თითქოს
და მე ვიფარებ.
სიზმრიდან გამომყვება შენი ხელები,
როცა წარსული სიმძიმეს დაეყრდნობა
და ცაც სხვა არაფერი იქნება,
თუ დაგამახსოვრებს სინათლის ხმას
ქალური ამინდისთვის.

5

ძირითადად ესაა
თარაზული ცხოვრებიდან გადახვევა,
როდესაც ვერტიკალებს მოიშენებ
და მართებულად (მხოლოდ ფორმით) მოიპოვები.
გადამალე ყველა ლუბა
მოლეკულამ არ გამხილოს,
და რამდენიმე გაზაფხულით მეტი სურვილის არ იყოს,
შენმა ცხოვრებამ დიაგონალზე,
იქნებ დაკარგოს კიდევ ელვარება
ამ ზამთრული ანაქრონიზმის.



ირინა კობალუა

დარჩას ასეთი ნამდვილი

–

დროსთან, შიშთან
და დიდ ხმაურთან ერთად,
ჩემი ამბების წერა
ღია ჭრილობას დაემსგავსა,
რომელიც ვერც სუფთა სახვევით მოვმალე,
ველარც მოვაშუშე.
აღარ კი მიცდია, რაიმე გზით მეწამლა.
დარჩეს ასეთი ღია და უშნო,
დარჩეს ასეთი ნამდვილი.

რა დამრჩენია?!

–

მოდით, ვიპოვოთ პოეზია,
როგორც – ჭიამაიასთვის შეპირებული დედა.
ის შეიძლება, ცხენის ნაბლშია,
ცხენის ნაბლში,
რომელიც ლამარას სქელ ვენებსა და კოლგოტებშია ჩაჩურთული.
დადის ქალი გაჩაჩხული,
იმ იმედით, რომ განიკურნება.

–

მოდით, ვიპოვოთ ელისეს მინდვრებში
ჩამხმარი მიხაკი,
მაგრამ მე თქვენ ვერ გაპოვნინებთ ტიცციანის საფლავს,

რადგან ყველაფერი მაგარი უნდა გქონდეთ!

–

მე შემიძლია,
გაპოვნინოთ საშველი
ჯვარცმისა და სიყალბის გარეშე!
მე შემიძლია, გაპოვნინოთ მიტოვებული ტანი,
რაზეც მხოლოდ ბურძგლი იშლება.
მე შემიძლია,
გაპოვნინოთ ჩემი სამალავი,
ტყობულის გიშრებით მოკაზმული,
სადაც არაფერი ბრწყინავს, გარდა ცრემლისა.

–

მე თქვენ გაპოვნინეთ ქალის დარდიც – ჩახჩახა პოეზია
ციცინათელას უკანალში,
გამომწვევი და მშიშარა.
ბევრჯერ თითიც მოვიჭამე,
რომ გაპოვნინეთ მანათობელი ხვრელი...
თქვენ კი მაინც ლომის უკანალში ეძებთ სინათლეს,
ლომის უკანალში, სადაც პოეზია არა, მაგრამ უკუნი და
ნეხვით სავსე სიხარბეა.

ჰინაობის თვე

–

გოგრის წვნიანს ხვალ მოვხარშავ,
ნივრიანს და რძიანს.
ერთ-ორ ქალსაც მოვიპატიჟებ,
გულლიას და სანდოს.
ჩაეუჯდებით, ვისაუბრებთ –
ნოემბრის ბალებზე, გალაკტიონზე,
„ჭარხლის ხარხარზე“,
ჩვენს გამოყინულ ტერფებზე,
გამოსათბობ ღუმელზე,
მთაში, შემაზე წასულ
ქამარ-ხანჯლიან ქმრებზე,
უხემ ზამთარზე, სადაცაა რომ მოგვადგება...
თოვლზე მეტად, შიშველა ხურმებს რომ იხდენს, როგორც
მამალი

შაში – იმფერ ნისკარტს.

მოვუყვები შუა შემოდევზე, სოფელზე,
ჭერში შემოყონილ ძველისძველ ნესტზე,
ზედ გამოსახულ ფიგურებზე,
ჭინკებს რომ ჰგავდნენ,
და ხელს მიქნევდნენ მთელი ბავშვობა.

არადა, შუას გარეშე, არც თავია, არც ბოლო.
დღეს თუ ხანჯლიანი არა მყავს,
არც ქარქაშს გავუჭირებ...

არც ჩემი ფეხის ზომის ასაკს,
პირველში რომ შემოქროლდა –
სამი ნატვრითა და ცხრა კლიტულით.

დამიჯერეთ, ოცდაცხრამეტჯერ
პატიებასაც შევძლებ,
პატიებასაც ვითხოვ,
ოღონდ ტვინმა არ მიმტყუნოს,
ოღონდ სიზმარმა არ წამილოს,
ისევ ღმერთი არ გამიწყრეს
და კიდევ ერთხელ არ ავიტკიო ტანი,
როგორც წლების წინათ
ხრიოკ მიწაზე,
მუხლებგადაყვლეფილი რომ ვბლაოდი.

ბედნიერია ყველა ის ქალი,
ვინც მე მომისმინა,
ვინც სითბო შემაშველა, მომცა გზა გადარჩენის.
იქნებ, დედჩემიც ბედნიერი მყავს,
მე რომ დამბადა.
არ ვიცი, ჰკითხეთ მას.

უბედურია ის ქალი,
ვინც გული ძალად გამიჯავრა,
ვინც გამეჯიბრა
ერთი ქალური კითხვის გაუბედავობით...
გაბედვასაც ხომ გარჯა უნდა,
არც ვითხოვ, თქვენი ჭირი მე.
აჰა და გაბედოს, მკითხოს, შემდეგ?
არ იზამს ამას უბედური.
„უცბათ ჭინკებით რომ გამევესოს თვალი?“

დეკემბრის ბოლოშავა

–

ის კაცი არ მომდის თვალში, არაბია.
დიახ, არაბია და ვერც ტანში შემომივია.

ეს კაცი მირჩევნია, ქართული ძარღვით,
მაღალი მხრებით, ჭროლა მზერითა და
საატყუარა კანფეტებით ხელგამოშვერილი.

დეკემბრის ბოლოშავასავით ცელქი, კენკრით პირმოთხუპნული
და მომლიმარი.

მინდა გაუგოს ჩემს თავხედობას,
გაგვიგოს, რომ მხოლოდ გული გვინდა,
რომელიც აბია და ვცოცხლობთ.

როცა მისგან გამონვდილ კანფენტს შევექცევი,
 მოდიან ფუტკრები,
 ხარბად მკოცნიან და თვრებიან...

როცა გულს ალებს, გამოდიან სიტყვები
 ცხელებით და ნეტარებით –
 „შემოდი, უნდა გადარჩე!“

დათოვლილი მანდარინი

–

ეს ჩემი უადგილო კისკისი,
 ტკბილ და თოვლიან მანდარინებში,
 როგორ აფრთხობს მობუზულ სკვინჩებს.

როგორ უხეშად არხევ ამ ხესაც,
 გამავსე თოვლის უხერხულობით.

მე გთხოვ, წავიდეთ,
 მეშინია ამგვარი დილის –
 ხელების, ხვევნის, გულის გახეთქვის...

მოყვანი ქალო

–

რომ არ მოყვე,
 ცრემლიანი სახე წვინტლით ამიდუღდება.
 არადა, მანგრევს პირის მოღება, დაუშოშმინებელი ხორხორი და
 თავთან შეძახილი – ქალო, უნდა გადარჩე!

ქალო, ხომ იცი,
 არა ხარ წმინდა წყლის დამლევი...
 მაგრამ ისიც ხომ იცი,
 ვითომდა კურკურშია შენი ყაყანა ბედი.

თითები რომ ცომში გქონდეს,
 კაცს იდაყვით ჩამოართვა ხელი,
 ამბავს გაიტანს – ლოყა მოვუწითლეო,
 ტანი მოვუსრისეო, ვახალისე საბანშიო.

დილაადრიან, რამდენ მამრს ხმა აუდგება და ყიყლიყოს
 გასძახებს მის ქალს,
 ყველას ყრუდ მოაქვს თავი,
 აფრენამდე ჰკლავენ ბუზებს,
 აი, შენ რა არ გაყრუებს, ქალო?

რომ არ მოყვე?
 განა, მწყემსი მოგელლება და სალამურზე ცეკვა-თამაშს
 დაგმადლის.

განა, მინა დაგეყრება გაჭრილ ბაგეებზე,
 გეგონება, კომში გებას და

ვინმეს გაფხაჭნილ ყელს ეამოს.

რომ არ მოყვე?

მოყევი, ქალო, მოყევი, უნდა გადარჩე!

ჰენკართი და არ მეშინია

–

ქორფა გაზაფხულზე,

სანამ ვაზს კოკორი გამოებერება

და შეუდგები სამამულე რქის დანეკვას,

სანამ საყვარლობით ასე მაშოშმინებ...
მე ვინყებ ვაზზე ადრე გახარებას.

შენი ხელებისგან გამოფურჩქნულ ტანზე –

მეყრება ბურძგლი და სითამამე.

–

ქორფა გაზაფხულზე,

დარდით გადამნიფებულ სააქაოში,

სადაც მხოლოდ სიყვარულია მოსასწრები,

ავყევი ჩიტების ხმაურს.

ვიცოდით, ჩვენი პაემნები ვერ გაუძლებდა ჩათქმულ ჩამიჩუმს...

და ასე მსუყედ გაბინავებ ახალ ნიგნში,

როგორც გარეცხილ კარაქს ღრმა დერგში.

–

შენ გესმის ჩემი ზამთრის ტკივილის,

იმ ნისქვილიდან – ამ სადგურამდე.

და საიდანღაც ფანოლის ფონზე,

მე მესმის შენი შემოძახილი:

„სად ხარ პატარავ?!“

გიახლოვდები სველ თებერვალში,

გეხვევი მორცხვად თვალუბდახრილი.

–

შენ გახსოვს ჩემი შეშლილი სახე,

როგორ უღრენდნენ ვინმე უთავბოლოები

ჩემს ცხვარს,

მაგრამ მათი უნიჭო ზრახვები

ერთ ჩირქის გროვას დაემსგავსა და სახეში შეახმათ, როგორც

უვარგისი ცინგლი.

და ახლა, როცა ყველა ცუდი გადამავინწყე,

ამ ორ ნელზე მეტ ნეტარებაში

ვსუნთქავ სიმშვიდეს.

–

ჩვენს იმერეთში რა შეგვრჩა კარგო?

მჭადი, „ციცქა და ცოლიკოური“,

ნდობა და ჩვენი დიდი ამბები...

ირგვლივ – ღამეც გვაქვს გადასაღლეელი.

ვხედავ, ვიღვრები შენი თმის ვერცხლში,

და სანამ გასცდები ჭალა-ტყეებს,

სანამ ჩემი ხარ,

ვწევართ და ვუსმენთ –

ქარის ზღურბლთან ჩვილივით მოგდებულ ქარის ღნავილს.
ვწევართ და არ მეშინია.

შეთენებულზე

–

სანამ უბიდან სისხლი წამსკდება
და უვარგისი დღეები გაიჯეჯილებს,
შემიძლია, სანთელს სანთებელა მივცე,
ხატისპურს – ცუკატი, ლექსს – ხმა,
ფუჩუნითაც ჩავუთქვამ სურვილს.

ასე გრძელდება ეს გაზაფხული –
შემორჩენია უშნო სისველე
პირდაღმა კრამიტს, ლუმელის მილსაც.

გავცქერი ეზოს მეძუძურ კატას,
რკინიგზის მხარეს დააჩერჩეტებს ქარი თავსაფარს.

ვერ დამიშიშვლა შუშაბანდები
გამვლელი კაცის აცაბაცობამ.

არადა, შეთენებულზე
პირში წყლის გამოვლება
და სველ ბამბაზე ხორბლის გაბნევა
ისეთი სიქუნქულეა,

ვინ მიმიხვდება, ამ ქუნქულში
რამხელა მუდო პოეზიაა,
კრუხივით მობუსხული და მოყრუტუნე.

მალდება მზერა ნაძვებში, ცაში,
თოკიდან თოკზე
გადაფარჩხულა კაბა – შარვალზე.

ადა ნემსაძე

„მოზაიკის ბაზისზე გაყოფილი“ მოურჩენელი ბავშვები

(ბეკა ქურხულის „თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები
ანუ დემთი-ყიფჩაღი“)



დასრულება, გარკვეული მოვლენებიდან დისტანცირება სჭირდებოდა, რათა სხვანაირად დაენახა უახლოეს წარსულში ქვეყნის (ადამიანის) მიერ განვლილი გზა; შედეგად კი მივიღეთ რომანი – მკაცრი მხილება და ჩვენი უახლოესი წარსულის ობიექტური შეფასება, რაც ნამდვილად სჭირდებოდა დღევანდელს.

„რა სჭირს ადამიანს? რა შეაყოლა ღმერთმა ტალახს ამისთანა მოურჩენელი?“ – ეს ის კითხვაა, რომელიც ბეკა ქურხულის რომანის პირველივე გვერდებიდან ჩნდება და დიდხანს რჩება გონებაში, იმის მერეც, კითხვას რომ მოორჩები და ნაკითხულის გაანალიზებას იწყებ.

ავტორს „თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერების ანუ დემთი-ყიფჩაღის“ წერა წლების წინ დაუწყია, მაგრამ მერე თავი მიუხედავია, თუმცა ყოველთვის ვიცოდი, რომ დავწერდიო, – ამბობს ერთ ტელეინტერვიუში. როგორც ჩანს, მას ამისთვის წლების გამოცდილება, რაღაც დაწყებული პროცესების (პიროვნულის თუ საზოგადოებრივის)

ნებისმიერი დიდი მოცულობის მხატვრული ტექსტისთვის, სადაც უამრავი ზედა და ქვედა დინებაა, ერთ-ერთი უმთავრესი სათაურის პოეტიკაა. „თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერებში ანუ დემთი-ყიფჩაღში“ ორი ამბავი იშლება, თუმცა სათაურად ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, ყივჩაღის, არჩევა იმაზე მინიშნებს, რომ ტექსტში წამყვანი სწორედ ეს ნარატივია და მეორე, თბილისური ამბავი, მისი პარალელური ხაზია. თანაც ყივჩაღის ამბავი თავის თავში იმ მეორე ამბავსაც გულისხმობს, რასაც ორი ფაქტორი ადასტურებს: 1) ამბავი პარალელურად ხდება დროის თანაბარ მონაკვეთში (დაახლოებით ერთ თვეში),

2) თვით ამბების განვითარების მსგავსება (პარალელური პერსონაჟები და პასაჟები). ყველაფრის მიუხედავად, ეს ერთი ამბავია, ადამიანიც ერთია, ერთი გზაა წინააღმდეგობებითა და პრობლემებით აღსავსე, თავისი ბედნიერებითა და უბედურებით, სიყვარულითა და სიძულვილით, ვნებითა და შიშით, ბრძოლითა და მშვიდობით; ესაა ცხოვრება ერთი ჩვეულებრივი წესიერი და კარგი ბიჭისა, რომელიც ხანდახან ცუდსაც სჩადის, რადგან ყოველთვის სწორი, ღირსეული გადაწყვეტილების მიღება ვერ ხერხდება.

უპირველესი თემა რომანში სიყვარულია. სათაურიც ამაზე მიუთითებს – ყივჩაღის მარჯვენა თვალის სინათლე სიყვარულს ეწირება. გულწრფელი, უძლიერესი და საოცრად ვნებიანია ყივჩაღის გრძნობა, ვერ აჩერებს ვერც მტერი, ვერც მოყვარე და ვერც საფრთხე. ეს აკრძალული სიყვარულია. სიცოცხლის რისკის ფასია მიჯნურთა ყოველი შეხვედრა ორივესთვის, მაგრამ ამაზე არაფერს ფიქრობს. მეორე მხრივ კი, ამ გრძნობის სრულიად სხვაგვარი გაგება მოუტანია დროს 21-ე საუკუნის ადამიანისთვის. გიოს თითქოს ორი ქალი უყვარს ერთდროულად, ერთი მიუწვდომელია, მეორე კი გვერდითაა. არადა ორივესთან კარგად გრძნობს თავს. ისინი ერთმანეთს ხელს არ უშლიან: „იქნებ არანაირი სიყვარული და გრძნობები არ მაქვს და უბრალოდ ამოვიჩემე და ავიხირე ბავშვობიდან?.. კლასიკური ორი წლით უფროსი თანმეზრდილი გოგოს სიყვარული. და ნატა არ მიყვარს? მიყვარს და თან ძალიან მაგრად მიყვარს. ვინც ისა თქვას, ორის ერთად სიყვარული და გამოუვალი სიტუაციები არ არსებობსო, იმის სულელი დედა ვატირე მე.“ ეს ერთგვარი გაორება თანამედროვე ეპოქის ნიშანია, მყარ ფასეულობათა მორღვევის პირობებში ბევრმა რამემ განიცადა მოშლა და ტრანსფორმაცია. საკუთარ ღვთიურ სანყისს მოგლეჯილი ადამიანი თითქოს ბრმასავით დადის სამყაროში, სადაც ჭეშმარიტებასაც ეძებს და თავშესაფარებელ ადგილსაც, მაგრამ ამაოდ. „პოსტმოდერნიზმის ნან-

გრევებში მოხეტიალე თაობას კვლავ უდგება სტაბილურ ღირებულებათა პრობლემა. მავანმა თავი შეაფაროს იქნება 10 მცნებას ან სხვა ტრადიციულ ღირებულებებს, ხოლო მათ, ვინც ვერ ახერხებს იქ დაყუდებას, ქმედება უწევთ გამრუდებულ, პარადოქსულ სივრცეში“, – წერს ზურაბ ქარუმიძე. ასე ცხოვრობს გიორგი ასათიანიც. ღმერთისკენ მიმავალ გზას მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გვერდს უვლის და სხვაგან მიდის. ის ქალაქური თუ ძველბიჭური უცნაური კოდექსი, რომელიც მეგობრის დის შეყვარებას კრძალავს, ბედნიერების უფლებასაც ართმევს. ამიტომაც საბოლოოდ ეს მრავალწლიანი საიდუმლო გრძნობა, რომელიც ნატას სიყვარულზე გაცილებით მძაფრია, ბოლოს საბედისწეროც აღმოჩნდება: „ძმაცაცის დის შეყვარება არ მოსულა, ძმაო!“

სიყვარული სამყაროს მამოძრავებელი ძალაა და მის გადასარჩენად ყველაფერი უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა – ესაა რომანის ძირითადი კონცეფცია. ყველა პრობლემიდან მაინც ამ უმთავრესთან მოვდივართ, ნაგებული ბრძოლიდან დაბრუნებული თბილისელი ბიჭიც, საკუთარი ადგილი რომ ვერა და ვერ უპოვია ამ არეულ ქვეყანაში, სიყვარულში ეძებს ხსნას და თარეშიდან გმირის სახელით დაბრუნებული ყივჩაღიც სიცოცხლის რისკის ფასად თავის ზუღეიას დასაბრუნებლად მიდის მეზობელ ყიშლაღში.

ყოველისმომცველი სიყვარულის მოტივი ქართული მწერლობისთვის ახალი არაა და ჯერ კიდევ რუსთაველიდან მოდის, როდესაც მინიერი, ადამიანური გრძნობა ღვთაებრივამდე ამაღლებების საშუალებას იძლევა („მართ მასვე ჰბაძვენ“). „თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერებში ანუ დეშთი-ყიფჩაღშიც“ ეს ხაზია გატარებული, როდესაც ბაბური ადამიანის ყველაზე დიდ მოვალეობად, მის უპირველეს მისიად სიყვარულს მიიჩნევს და ეს ამავედროულად ღვთის ყველაზე დიდ სამსახურად წარმოუდგება: „მე კი მგონია რომ, როდესაც საყვარელ ქალთან ვცხოვრობ და ერთმანეთს ვეაღვსებთ, როდესაც ერთმანეთში ვერ-

თდებით და სიყვარულისაგან და ვნებისგან თითქოს ერთ სხეულში ვერთიანდებით, და ყოველივე ცუდს, საშინელს და ბოროტს ვივინყებთ, და დედამინა, როგორც დიდი დედა, აკვანივით ირწევა ჩვენ ქვეშ, სწორედ ამ დროს, ასე აღვაფლენ ლოცვას ყოვლადმონყალე ალლაჰისადმი და თვით უძირო ლურჯი ზეცა გვიფარავს უფლის ნებით. და მგონია, რომ ღმერთი ყველაზე მეტად ამ დროს იღებს ჩვენს ლოცვას, რადგან სწორედ ასე მრავლდება ადამის ძე დასაბამიდან და ასე იქნება მეორედ მოსვლამდე და ესეც უთუოდ ღვთის ნება და მისი არჩევანია“. სიყვარული აქ არა მარტო ადამიანის უმაღლეს მოვალეობად, არამედ ღვთის სამსახურად, სიცოცხლის გაგრძელებისა და სამყაროს ჰარმონიისათვის აუცილებელ ერთადერთ პირობადაა მიჩნეული. ამავე დროს, აქ ამ გრძნობის ფილოსოფიური გააზრებაც იკითხება, რომლის მიხედვით სიყვარული საკუთარი თავის ძებნა და პოვნაა სხვაში, რაც ორ სხვადასხვა ადამიანს (მე და შენ) კი არ გულისხმობს, არამედ ორის ერთიანობას – „მე შენ ხარ“ და „შენ მე ვარ“. სიყვარულის ასეთი კონცეფცია განსაკუთრებით მძაფრად იმ განცდამი ვლინდება, რომელიც ბაბურსა და ზულეიას აკავშირებთ. ზულეიამ იპოვა თავისი თავი სწორედ ბაბურში და, იმის მიუხედავად, ვისი ცოლი იქნება იგი ფიზიკურად, ამ კავშირის დარღვევა შეუძლებელია. ეს ტექსტში მოგვიანებით დასტურდება კიდევ ზულეიას ორსულობით, რადგან ბაბურის შვილის გაჩენა ამ ორი გენეტიკური ხაზის შერწყმა-გაერთიანებას ნიშნავს.

რომანის ყივჩაღური ნაწილი უფრო ფილოსოფიურია, უფრო უღრმავდება ყოფის, არსებობის, სიკვდილ-სიცოცხლისა და სიყვარულის პრობლემებს. შვიდი საუკუნის წინათ, როცა ცივილიზაციის განვითარებით, ტექნიკური პროგრესითა და დროის მიერ მოტანილი გაუცხოებით გამოწვეული ათასი პრობლემა არ არსებობს, თითქოს უფრო მეტია ცხოვრების სიყვარული, უფრო ვნებიანია ადამიანური არსებობა, არსებობაზე ფიქრებიც უფრო ღრმაა და კავ-

შირი ბუნებასთანაც გაცილებით მჭიდრო, დროც მეტია თვითჩაღრმავებისა და დასკვნების გამოტანისთვის. სიკვდილ-სიცოცხლეზე ფიქრი ყივჩაღურადაა უფრო მნიშვნელოვანი და არა განვითარებულ 21-ე საუკუნეში: „მივხვდი, როდესაც პირველად მოვკალი კაცი და დავლიე ადამიანის, თუნდაც მტრის სისხლი, რომ მკვლელობა თვით უცხოში და მტრის მკვლელობაც კი, და მით უმეტეს, შენიანის, ადამის ძის მკვლელობა და მისი ყოვლადმონყალე ალლაჰის სამსჯავროზე, შენი უსუსური ნების მიხედვით დროზე ადრე გაგზავნა სხვა არა არის რა, თუ არა თვითმკვლელობა, რომელსაც ყველა ჯამაათსა და თემს ასე მკაცრად გვიკრძალავს ჩვენი ერთადერთი შემოქმედი და დამბადებელი მაღალი ალლაჰი“. სხვისი სიცოცხლის წართმევით საკუთარი სიცოცხლის ნაწილსაც კარგავ და ასე წყვილდება მკვლელობა/თვითმკვლელობა. საბოლოოდ კი, არა მარტო ცოდვილი ხდები, არამედ საკუთარ თავსაც ინადგურებ ნელ-ნელა.

ყივჩაღური ნაწილის ფილოსოფიურ პრობლემატიკაში გამორჩეულია სიკეთე/ბოროტების გააზრება და მისი ადამიანური აღქმა. როგორც ბრძენი ჰაქიმი ჰაფიზულლა დურანაჰმადი ამბობს, მთავარი არჩევანის გაკეთება კი არაა – აქ ყველა ამბობს, რომ სიკეთეს ირჩევს – არამედ, იმის სწორად გააზრება და განსაზღვრა, რას ვარქმევთ სიკეთეს. ყოფის სირთულეს სწორედ ეს განაპირობებს. ადამიანს აქვს მიდრეკილება იქითკენ, რომ თავისი ყველა ქცევა გაამართლოს და მას სიკეთე უწოდოს, მაგრამ ეს ყოველთვის ასეა? გამოდის, რომ სიკეთისა და მადლის სიღრმისეული და არსობრივი წვდომა ადამიანური ყოფის ყველაზე რთული პრობლემა ყოფილა. „სიკეთეს და მადლს დაცვა სჭირდება. დაცვას კი ძალა!.. ხშირად პირდაპირ ფიზიკური, უხეში ძალა... იარაღი, სატევარი, ხმალი, შუბი, მშვილდ-ისარი და ქეიბური... სულიერ ძალასა და სიმამაცეზე რომ აღარაფერი ვთქვათ!“ ტექსტის რელიგიური დისკურსია ძალიან საინტერესოა. მუსლიმი აღმსარებლობის ადამიანთა ეს საუბარი მთავა-

რი აქცენტით სახარებისეულ იფქლისა და ღვარძლის იგავს ეხმიანება, სადაც ასევე სიკეთისა და ბოროტების გამოცალკევებასა და სიკეთის დაცვაზეა საუბარი. ბოროტების განადგურებას გულისხმობს ბრძენი ჰაქიმის „იარაღი, სატევარი, ხმალი, შუბი, მშვილდ-ისარი და ქეიბური“, ოღონდ აქ მეორე უმნიშვნელოვანესი კითხვა ჩნდება: ვისგან უნდა დაიცვას? მხოლოდ სხვებისგან თუ საკუთარი თავისგანაც? ამ კითხვებით ჰაფიზულა ბაბურს საკუთარ ცხოვრებაზე დააფიქრებს. იგი მიმხვდარია დაუდგრომელი და შეუპოვარი ყივჩაღის საიდუმლოს, გრძნობს, რომ მას პირადი შურისძიების გამო გამოსთხარეს თვალი, რომ სადღაც არ მოიქცა სწორად და უნდა, ეს გაააზრებინოს, საკუთარი საქციელი კრიტიკულად დაანახოს და დააფიქროს, შეცდომა გარეთ კი არა, შიგნითაც აძებნინოს, თუმცა, მეორე მხრივ, ბაბურისთვის წარმოუდგენელია სიყვარულზე უარის თქმა, მას უჭირს ნურ მუჰჰამედ ბანის პატიება, მაშინაც კი, როცა უკვე მიხვდება, რისთვისაც დაუბნელეს სინათლე. უჭირს არა მარტო პატიება, გაგებაც კი. ზულია სხვისი ვერ იქნება, ვერავის შეცილებას ვერ აიტანს, როგორც არ უნდა უმაგრებდეს ზურგს მის მოწინააღმდეგეს და ამტყუნებდეს მას სოფლის დადგენილი საუკუნოვანი ადათი.

ჰაქიმთან საუბრის შემდეგ ბაბურის ცხოვრებაში თითქოს რაღაც ხდება, იგი მამის ნაქონ ყურანს იღებს და იწყება ღმერთის ძიების, ადამიანური არსებობისა და ღვთაებრივ არსში ჩაღრმავების პროცესი. სწორედ აქედან ავითარებს ავტორი მისი, როგორც მაძიებელი გმირის სახეს და თანდათანობით სულიერებისა თუ ცნობიერების უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს. ყურანის წაკითხვის შემდეგ სინანულის გზაზე დამდგარი ბაბური ფიქრობს კაცის კვლის ცოდვაზე და იმაზე, რასაც მიჰყავს ადამიანი აქამდე. საბოლოოდ, პერსონაჟის რელიგიური განცდები ისე ღრმავდება, ცნობიერების ისეთ საფეხურამდე აღის იგი, რომ გადაწყვეტს, ნურ მუჰჰამედ ბანის მოკვლაზეც კი აიღოს ხელი და მასთან

შერიგება სცადოს, ანუ მაძიებელი გმირი ამ გზაზე ხდება მიმტვევებელი. ცოტა ხნის შემდეგ ბაბურს თანასოფლელი ჯიგიტები მოაკითხავენ და სათარეშოდ წასვლას სთავაზობენ. ამ ეპიზოდში კიდევ ერთხელ იგრძნობა ის სულიერი გარდატეხა, რაც პერსონაჟში მოხდა – მას გადაწყვეტილების მიღება უჭირს, მაგრამ ბოლოს მაინც თავისას გაიტანენ ახალგაზრდები და ბაბურსაც ძველებურად აუდუღდება სისხლი ძარღვებში. ბრძოლის დროს უკვე შესამჩნევია შიდაპიროვნულ სტრუქტურაში მიმდინარე ძვრები, რომელიც პიროვნების განვითარებას იწვევს და შერიგებასა და მიტევაებას ცალსახად შურისძიებაზე მაღლა აყენებს: „მოწინააღმდეგისადმი, ალაღად, არანაირ სიძულვილს არ ვგრძნობდი და მანსურისა და ჩემი სხვა თანამებრძოლებისაგან განსხვავებით, მტრებად არც აღვიქვამდი. უფრო რაღაც შეჯიბრებით იყო, ვინ ვის?.. თითქოს დოღზე, ისინდზე ან კიუკ ბიურზე ვიყავით და ერთმანეთს ნასუქ შავ თხას ვგლეჯდით ხელიდან“. ბოლოსაც, საკუთარ ყიშლაღმდეგ დაბრუნებული სახელიანი ბაბური კიდევ ერთხელ დაფიქრდება, როცა დაღუპულთა ოჯახებიდან გლოვის ხმა ესმის: „თუნდაც ამხელა ან ორი ამხელა სიმდიდრისა და ალაფის გამოც კი ღირდა ამდენი სიკვდილი, უბედურება და გლოვის ძაძებში შემოსილი ოჯახები?“ აქ საბოლოოდ უფერულდება სხვისი სიკვდილის ხარჯზე მოპოვებული სახელი და სიმდიდრე და ყველაფერზე მაღლა ადამიანის სიცოცხლე ინაცვლებს. მაძიებელი გმირი უკვე მზადაა სამყაროს სხვაგვარად ჭვრეტისა და აღქმისთვის, მაგრამ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ასეთ გზაზე შემდგარი პერსონაჟი უეცარი და მოულოდნელი ცხოვრებისეული განსაცდელის წინაშე აღმოჩნდება და ეს ამაღლებული ადამიანის იდეა მიუღწეველი რჩება.

მთელ ამ პროგრესულად განვითარებულ შიდაპიროვნულ ზრდის პროცესს ერთ წამში აყენებს თავდაყირა სიყვარული. ის ერთადერთია, რაც მთელი ამ განსჯისა და ფიქრის შემდეგ გადაფასებული წარსულიდან უცვლელად გად-

მოდის ანმყოში – ზულეიას სიყვარული არანაირ გადასინჯვას არ ექვემდებარება: „ჩემს ზულეიას ვერავის დავუთმოვ, ვერც ძეს ხორციელს კაცთაგან, ვერც ჯინებს, ვერც ყარაყორუმის გრძნეულ მისნებს და ვერც პირსისხლიან იაჯუდებსა და მაჯუდებს“. საბოლოოდ სწორედ ეს თავგანწირული სიყვარული აღმოჩნდება საბედისწერო ბაბურისთვის.

რწმენა – ღმერთისკენ მიბრუნება და მარცხი ამ გზაზე – უშუალოდ უკავშირდება სიყვარულს რომანის თბილისურ ნაწილშიც. ერთ დღესაც დიდი ფიქრის შემდეგ გიო ეკლესიის კარს მიაღგება. ეს ხომ უკანასკნელი იმედის ადგილია, უკანასკნელი თავშესაფარი, სადაც მისნაირები მიდიან ბოლოს. დიალოგი მღვდელთან, უფრო სწორად, ძირითადად მამა ათანასეს მონოლოგი – მხილება ყველა იმ უბედურებისა, რაც გიორგის და ზოგადად მთელი ერის (გინდაც მსოფლიოს) თავს ხდება – ფინალური (და ტრაგიკული) აკორდის წინარე, ერთგვარად შეყოვნებული ბგერაა, რომელიც მამხილებელია, დაუნდობელია, მკაცრია და ამავდროულად გადარჩენის შანსის ძიებაა, იმედის სხივია. მამა ათანასე ამ არეულ სამყაროში ერთადერთი ადამიანია, რომელიც გზააბნეულ გიორგის მთელ თავის ცხოვრებას თვალწინ გადაუშლის: „ვერაფერს ველარ უხერხებ საკუთარ თავს და გატყდი, შეგეშინდა. შიშს მოსდევს თვალთმაქცობა, ტყუილი, თავის დაძვრენის მცდელობა, როცა უკვე ლამის ცხოველურ დონეზე გერთვება თავის გადარჩენის ინსტინქტი და ადამიანი ბოლომდე ეცემა, ჩვეულებრივად პირუტყვდება!.. მაგრამ შენ თავის მოტყუებას ამაოდ ცდილობ! საკმაოდ გონიერი ხარ საიმისოდ, რომ თავი მოიტყუო, არ გჯერა, ერთი წამით არ გჯერა საკუთარი თავის, საკუთარი ტყუილების და ამის გამო კიდევ ათასჯერ უფრო უბედური, დათრგუნვილი და შეშინებული ხარ...“ მოძღვარი ერთდროულად მკაცრიცაა და უალრესად ღმობიერიც, სხვის ცოდვებზეც თამამად საუბრობს და თავისასაც აღიარებს, ამიტომ მისი მონოლოგი იმ სიმართლისთვის თვალის გასწორებაა, რომელიც

ბევრი ტრაგედიისა და უბედურების გადამტან ქვეყანას აუცილებლად სჭირდება, წარსული რომ სწორად შეაფასოს. პირად ცხოვრებანართმეული, ჯერ ისტორიულ მტერთან, რუსეთთან, ომში ჩაბმული და დამარცხებული („შემთხვევით გადარჩენილი დამარცხებული“), მერე თავის დასამკვიდრებლად იძულებით ქუჩაში გაგდებული თუ ნებით გასული თაობა საკუთარ ადგილს კი ეძებდა, მაგრამ რამდენად სწორად იპოვა ან საერთოდ იპოვა თუ ვერა, ეს რომანის კიდევ ერთი უმთავრესი პრობლემაა. მამა ათანასეს სიტყვები მთელი ამ ძიების პროცესის შეჯამებაა, დასკვნაა და შემთხვევითი აქ არც ავტორის გადწყვეტილება უნდა იყოს, ამას სწორედაც რომ სასულიერო პირი აკეთებს და თან ეკლესიის კედლებში. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ გიოს უჭირს ღვთის ნდობა, ეკლესიაში კი მიდის, მაგრამ რწმენით ვერა. წარმოუდგენელიცაა, გადარჩენაში დაგეხმაროს ღმერთი, როცა მის არსებობას ჯერ კიდევ ეჭვის თვლით უყურებ და თუკი არსებობს, გგონია, „ცინიზმამდე მისული იუმორის გრძობა აქვსო“. ეს გიოს თაობის ტრაგედიაა, რწმენის კრიზისი, რომლის დაძლევაც დიდ სულიერ ძალეებს მოითხოვს, თუკი საერთოდ შეძლებს ადამიანი. ღვთისმსახურის სიტყვები მკაცრია, იგი მხოლოდ გიორგი ასათიანს, ანუ ერთ დაკარგულ ახალგაზრდას კი არ საყვედურობს უაზროდ გატარებული ცხოვრების გამო, არამედ თაობის ტრაგედიას ააშკარავებს.

რომანში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანისა და ერის ტრაგედია ერთ სიბრტყეზეა დაყენებული და გააზრებული, რადგან გარკვეულწილად მათ ერთი და იგივე საფუძველი აქვთ. პიროვნულ ტრაგიზმს აქ უმეტესად დრო, ფასეულობათა ეჭვქვეშ დაყენება, პოლიტიკური ვითარების შეცვლა, ახალი იდეოლოგიების შემოსვლა თუ გეოპოლიტიკური ვითარებით გამოწვეული უმწვავესი პრობლემები იწვევს. და იმის მაგივრად, რომ ამ ყველაფერს ერი პასუხისმგებლობის გაცნობიერებით შეხვედროდა, რაღაც უცნაური ნიჰილიზმითა და ზე-

ციდან მოვლენილი სასწაულის იმედად დახვდა: „სიმართლე რომ გითხრა, ეს უსაფუძვლო ოპტიმიზმი, სირაქლემასავით ქვიშაში თავის წაყოფა და იმედიანი განცხადებები უფრო მაბრაზებს და მაგიჟებს, ... ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი გვეშველება, იბერია გაბრწყინდება და ისა!.. რა იქნება კარგად? რა გაბრწყინდება? რა გვეშველება? შეხედე, რას ვგავართ, რა დაგვემართა, რაები ჩავიდინეთ, რა დღეში ჩავიდგეთ თავები, რა დღეში ჩავაგდეთ ჩვენი უბედური, გარეული თუ შინაური მტრისგან დაუნდობლად დაგლეჯილი ქვეყანა! ... აი დღესვე, ამ წამიდან რომ გონს მოვიდეთ, ერმა და ბერმა ხელები დავიკაპინოთ, უარვყოთ ყველა ცოდვა, ამპარტავნობა, იქნება ეს ბავშვური ეგოიზმი, სიხარბე თუ სხვა რამ მანკიერება და ყველამ ჩვენი საკეთებელი ვაკეთოთ, ჩვენი საომარი ვიომოთ და ლოცვით მუხლები გადავიტყავოთ, მაშინაც კი მხოლოდ სასწაული თუ გვიშველის, ისეთ ფსკერზე ვართ დანარცხებული, თითოეული ჩვენგანი, მთელი საქართველო და, სამწუხაროდ, ვგონებ, მთელი მსოფლიოც...“

ისევე როგორც ყივჩაღთან, გიორგი ასათიანთანაც თითქოს ნათდება მომავალი, ერთგვარი გარკვეულობისა და იმედის სხივი ჩნდება, მიტევების, საკუთარი არასწორი ცხოვრების გადააზრების შანსი უჩნდება პერსონაჟს და როგორც ტექსტიდან ჩანს, ეკლესიიდან გამოსული ამას აპირებს კიდევ: „– გავიგე, მამა ათანასე! მოვალ!.. – გიორგიმ უცებ შვებით ამოისუნთქა. გადაავიწყდა კიდევაც, ბოლოს როდის სუნთქავდა ასე თავისუფლად და ლაღად. თითქოს ხაროდან პირდაპირ კავკასიონის მწვერვალზე ამოაყოფინეს თავი“, მაგრამ, ისევე როგორც პარალელურ ამბავში, აქაც სიყვარულმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

ბექა ქურხულის პროზის უაღრესად მტკივნეული თემაა 90-იანელთა თაობის ტრაგედია. იგი მისი წინა რომანის, „სამოთხიდან გაქცეულების“, ერთ-ერთი მთავარი იდეურ-თემატური მოტივიცაა. ეს ტრაგიკული განცდა გაცილებით

გალრმავებულია „თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერებში ანუ დეშთი-ყიფჩაღში“, მისი თბილისური ნაკადი სწორედ ამ თაობის ამბებს აღწერს, უკვე გაზრდილ, მაგრამ იმ დროიდან ვერგამოსულ ბიჭებს; მათ, ასაკით უკვე დაკაცებულებს, თითქოს მხრებით მაინც ის საშინელი დრო დააქვთ და წარსულში დაღვრილი სისხლი თუ ქუჩური ფსევდოფასეულობები ბედნიერებისა და ცხოვრების ახლებურად დანახვის საშუალებას ანმყოშიც არ აძლევთ.

ამ რომანის კიდევ ერთი მკაფიო ნიშანი თხრობიდან რეფლექსიაზე აქცენტის გადატანაა – ცოტა ამბავი და მეტი ანალიზი. აქვე მწერალი ძალიან ფრთხილად მამების როლზეც მიანიშნებს ამ ყველაფერში. თაობათა შორის დაპირისპირება ბუნებრივი პროცესია, ამ დაპირისპირებას სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული მიზეზები ჰქონდა. მე-20 საუკუნის მინურულს კი ქვეყანაში მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა პოლიტიკურმა და სოციალურმა მოვლენებმა რადიკალურად შემოატრიალა ვითარება. მამებმა ვერ მოახერხეს სიტუაციის სწრაფად გაანალიზება და შვილებისთვის სწორი გზის მიცემა. შესაძლოა, ეს მთლად მათი ბრალიც არ იყო, მათ ხომ თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრების გამოცდილება არ ჰქონდათ. თავისუფლება კი საკმაოდ მძიმე ტვირთი აღმოჩნდა და მამებმაც არა მარტო მიატოვეს, პასუხისმგებლობაც მთლიანად მათ გადააბარეს. მერე კი სასტიკი და სრულიად უცნობი რეალობის წინაშე მდგარ შვილებს იარლიყებიც მიაკერეს: „თითქოს მათი ბრალი იყო ჯერ კიდევ პირშიშველა, გულუბრყვილო, გულანთებული ბავშვები ბოლომდე რომ გაიმეტეს, თითქოს მათ, 16-20 წლის ბიჭებმა, პირდაპირ სკოლის ან პირველი კურსის მერხებიდან დაიწყეს ეს საშინელი და სისხლისმღვრელი ომები. ყველაზე ხმამაღლა კი სწორედ ისინი განიკითხავდნენ და აყვედრიდნენ, ვინც სინამდვილეში დაიწყო ეს სისხლიანი კომმარო, ვინც ბოლომდე გაიმეტა, აომა, ამოხოცა, ან ვისი გულგრილი და უტყვი თანხმობითაც მოხდა ეს ყველაფერი. მერე კი ამ ბოზიშვილმა პოლიტი-

კოსებმა მათვე დაანმინდეს ხელები და სტახანოვური მონდომებით აამუშავეს საბჭოთა უშიშროებაში დამხეცებული შავი პიარი“.

თავად რეფლექსია პარალელურად რამდენიმე პერსონაჟისა და საკუთრივ ავტორის პირით ხორციელდება. წინა დღით მამებთან დაპირისპირებული და „ნაბრძოლი“ ზუკა მასთან მისულ გიოს საკუთარ განცდებს უზიარებს. აქ მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი: გიოს და ზუკას თაობა აღარ არის ახალი თაობა, მაგრამ არც ძველია და შეფასებაც სწორედ ამ პერსპექტივიდან ხორციელდება. ზუკას ნაამბობში, ასე ვთქვათ, „შუა თაობის“ ტრაგედიაა აქცენტირებული, რადგან მათი არც მამებს ესმოდათ მაშინ და არც შვილებს ესმით დღეს: „პირველებმა გავბედეთ მეორე მსოფლიო ომის მერე პოსტსაბჭოთა სივრცეში და მაგათ მოსკოვსა და კრემლს დაფუშვით. ჩერნიშევსკის, ბელინსკისა და ულიანოვის ხალხს ვესროლეთ, დიდი ლენინის ენაზე აღარ გვინდა ლაპარაკი, მერე ერთმანეთსაც დავერიეთ, მერე რა, რომ მაგათ დაგვრიეს და გვახოცინეს, ხო ჩვენი ხელით გააკეთეს ყველაფერი, ჰოდა ხელებიც გემრიელად დაგვანმინდეს – „ჩვენ არა, ჩვენი შვილები არიან მკვლელები და ბანდიტები, ეგენი დასაჯეთო!“... უმცროსებისათვის კიდევ ბნელი 90-იანელები ვართ, ბანდა, მკვლელები, ქუჩის ბიჭები, კრიმინალები და მორფინისტები, ნარკოტიკსა და ლომკას გადავყარეთ მათი სამშობლო. მერე რა, რომ ეს მათი სამშობლო ქვეყნად და სახელმწიფოდ, ავად თუ კარგად, ჩვენი ბრძოლითა და სისხლით ჩამოყალიბდა. ... მთელი ჩვენი თაობა ბავშვობიდან გმირობაზე ვოცნებობდით და ჩავრჩით კიდევაც ამ ბავშვობაში, ასეთი სულელები და ინფანტილურები ვართ, გმირობის პრეტენზია გვქონდა, გმირობისთვის ვიბრძოდით, გმირის ადგილი კი მინაშია და არა მინაზე“. შეუძლებელია, აქ ტრაგიკული თაობის სასონარკვეთილი ხმა არ გაიგონო და თან ძალიან ძნელია, არ დაეთანხმო. გიოს და ზუკას თაობა საბჭოთა კავშირში გაზრდილი მამებისგან ბრძოლაში მარტო დატოვებული თაო-

ბაა, რომელმაც საკუთარი გამოუცდელი ლობითა და ახალგაზრდული მაქსიმალიზმით ის შეძლო, რაც შეძლო. მყვირალა, ზეპირი პატრიოტიზმით, „ალუდა ქუთელაურითა“ და „ვეფხისტყაოსნით“ აღზრდილი შვილები, ამ საზეპიროებისგან ფრთაშესხმულნი, გადაეშენენ რეალურ ცხოვრებაში და პირდაპირ ნამდვილ ომში აღმოჩნდნენ. რა გასაკვირი იყო, რომ დამარცხებულიყვნენ? მეორე მხრივ, მომდევნო თაობამაც მათკენ გაიშვირა თითი და ქვეყნის დანგრევასა და მწყობრი ეროვნული იდეოლოგიის ვერშემუშავებაში ისინი დაადანაშაულა. მწერლის მიერ დახატული სურათი აქ, ვფიქრობთ, სრულიად ცხადად სცემს პასუხს დღემდე არსებულ ამ აქტუალურ კითხვას – მთელი ის უბედურება, 90-იანელთა ტრაგიკული ამბავი თაობათა გათიშვამ, შვილების მარტო მიტოვებამ გამოიწვია.

ზუსტად იმავე პრობლემის წინაშე დგას საქართველოს დაკარგული ნაწილიც. ზუკა ორი მეომრის, აფხაზი ბოევიკისა და ქართველი გენერლის ამბავს ყვება. როგორც აღმოჩნდა, შვილები ორივეს ერთნაირად საყვედურობენ:

„რის დამოუკიდებელი აფხაზეთი, ნახეთ რა ბარდაგია, განუკითხაობა და საგიჟეთი...“

„რა გააჭირეთ ამ თქვენი საქართველოთი და ბრძოლებით საქმე, ნათურა ვერ აგინთიათ ქვეყანაში...“

და იქვე ავტორის კონტრშეკითხვა:

„ამისთვის ჩახოცეს ერთმანეთი, რომ მერე ერთ მხარეს აღმოჩენილიყვნენ?“

ეს რიტორიკული კითხვა სინამდვილეში დასკვნაა. ეს იყო გარედან ინსპირირებული ომი, რომელიც ორივე მხარემ წააგო და რომელმაც ორივეს განვითარების პერსპექტივა წაართვა. და რაც ყველაზე ტრაგიკულია ამ ამბავში, ორივე მხარის შვილებისთვის გაუგებარი აღმოჩნდა მამების ცოტნე დადიანობა და გიორგი სააკაძეობა. ომის ნანგრევებზე დაბადებული და გაზრდილი თაობისთვის საზეპირო პატრიოტიზმი სრულიად გაუგებარი და მიუღებელია, ისევე, როგორც ავტომატის ხელში აღება და შეიარაღებული დაპირისპირება.

რომანის ამ მონაკვეთში სამივე თაობის პოზიცია და პრეტენზია ჩანს:

უსახლკაროდ დარჩენილი შვილები – „თქვენ დამიქციეთ სამშობლო, დაანგრეთ ყველაფერი, დამარცხდით, გამოიქციეთ, და ლტოლვილობაში გამზარდე...“

გიოს (საშუალო) თაობა – „მაინც ჩვენ დავაშავეთ, ჩვენ დავინწყეთ, ჩვენ ვერ დავამთავრეთ, ჩვენ დავხოცეთ, ჩვენ დაგვხოცეს, ჩვენ გადავწვით, მერე ნანგრევები ჩავაქრეთ და ველარ ავაშენეთ, ყველაფერი ჩვენი ბრალია, ჩვენი!“

მამები – „რისთვის მაომეთ, რისთვის ამოგვხოცეთ? ყველა თანამდებობაზე რუსებს სვამთ, ყველაფერს რუსები ყიდულობენ, ჩვენ რა, ხალხი არა გვყავს, პაპუასები ვართ და პალმებზე ვზივართ?..“

რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ამდენ სიმართლეში? ყველაფერი საბოლოოდ მაინც იმ აზრამდე მიდის, რომ ომს სიკეთე არავისთვის მოაქვს, ხოლო ძმათამკვლელ ომს გამარჯვებული არ ჰყავს. ამიტომ ზუკას სიტყვები ამ ყველაფრის პასუხია, ის პასუხია, რომელიც არა მარტო ქართული, არამედ აფხაზური მხარისთვისაც ერთადერთი რეალური შედეგია: „ამ სისხლისღვრაში ვინც ჩავიხოცეთ, ხომ ჩავიხოცეთ და, ვინც ცოცხლები გადავრჩით, ისინიც ჩავიხოცეთ“.

მწერალი ანალიზის პროცესში კონკრეტულ ისტორიულ ამბებსაც რთავს და ცდილობს, იმის ნამდვილ მიზეზს მიაგნოს, რამაც ერში დაუნდობლობა გააღვიძა და ფიზიკურად გადარჩენილთა სამუდამო სულიერი კასტრაცია გამოწვივა. რა ფენომენია ეს თვითგანადგურების ინსტინქტი, რომელიც დროდადრო დაერევა ხოლმე ერს? ხალხს, რომელსაც, ამავე დროს, საოცარი მხარში დგომა და ერთმანეთის გადარჩენაც მშვენივრად შეუძლია, თუმცა ამისთვის უფსკრულის პირას უნდა აღმოჩნდეს. მკაცრი მამხილებელი პათოსი ტექსტში საკმაოდ ძლიერია და შიგადაშიგ იჩენს თავს. შეუძლებელია ამ დროს ოთარ ჭილაძის „გოდორი“ არ გაგვახსენდეს, სადაც ასევე ამ მძიმე კითხვებზე პასუხის ძიებისას საკმაოდ მკაცრია ავტორი. საინტერესოა ამ ორი მწერლის შეხედუ-

ლებათა შედარებაც: გარკვეულწილად განსხვავებულია მათი ხედვები, მაგრამ საერთო ისაა, რომ მიზეზს არც ერთი გარეთ არ ეძებს. ყველაფერი ჩვენი დატრიალებულია, ჩვენი მოწყობილია, რაშიც, მართალია, გარედანაც გვაშველებდნენ ხოლმე ხელს (დღემდე გვაშველებენ), თუმცა დიდი ძალისხმევა ამაში არც არასდროს დასჭირვებიათ.

რომანში შვილების თაობის კიდევ ერთი სახე შემოჰყავს ავტორს, ახალგაზრდა გოგო, თბილისელი იუშკი, რომელიც, შესაძლოა, რალაცებში ცდება, მაგრამ მასაც საკუთარი სიმართლე გააჩნია. როგორი უეცარიცაა მისი შევარდნა მთავარი პერსონაჟის სახლშიც და საწოლშიც, ისეთივე მოულოდნელია მისი გამოსვლა. საინტერესოა, რომ იუშკი მარტო მამხილებელი კი არ არის, ბრალმდებელიცაა და ამას უაღრესად რადიკალური ფორმით აკეთებს. მას არაფერი მოსწონს, არც იმ გოგო-ბიჭების თავისუფლება („ქალიშვილობის ინსტიტუტი და ეგეთი დებილობებითა გაქვთ თავი გამოტენილი დღემდე“), არც ბრძოლა და ომები („ატეხავდით სროლას და მერე კისრისტეხით გამობოდით“), არც სამშობლოს და ღმერთის სიყვარული („აი, საშინელი საბანძეთი გქონდათ მართლა, „აუუ სამშობლო“ და „საქართველოო ლამაზო...“ და ეგეთი გოიმობა და ყოველ ნაბიჯზე პირჯვრის წერა. „მარხვაზე ვარ, ტოო“... და იმ მარხვაში ერთმანეთს ხოცავდით. ... ისე იმეტებდით, ხელიც არ გიკანკალდებოდათ!“). ეს თაობა, რომელსაც არა მხოლოდ ნაკლები ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს (ეს ბუნებრივია), არამედ – ნაკლები ცოდნა და განათლება (რაც საკმაოდ საგანგაშოა უკვე), ბუნებრივია, რომ სწორხაზოვნად ხედავს ბევრ რამეს და სიღრმისეული ანალიზიც უჭირს; ვერც იმ უპირატესობას იყენებს, რასაც ფაქტებისგან დისტანცირება (ემოციის დაძლევა და რაციონალიზმი) იძლევა მისი სწორი და ადეკვატური შეფასებისთვის, ამიტომაცაა ასეთი პირდაპირი, შეუვალი და რადიკალური, თავად ავტორს რომ დავესესხო – „ბოლშევიკურად“ მოაზროვნე. შესაძ-

ლოა, რაღაც საკითხებში მისი პოზიცია იყოს კიდევ მართებული, როცა არასწორი ცხოვრების წესზე, ნარკომანიასა და ქალაქის ქუჩებში უაზროდ ჩახოცილბიჭებზე საუბრობს, მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ იუშკის ყველა პრეტენზიის საფუძველი პიროვნულიდან მოდის მხოლოდ და არა საზოგადოებრივიდან. თითქოს მათ თავისუფლების ხარისხი სწორედ წინა თაობის არასწორმა ცხოვრებამ და შეხედულებებმა შეუზღუდა და ამიტომ იძიებს შურს ყველაზე. მიაჩნია, რომ სწორედ ასეთი რადიკალური ქცევითაა შესაძლებელი ნამდვილი თავისუფლების მოპოვება და ამაში დღემდე ხელს უშლის გიოს თაობა. ეუბნება კიდევ, ვიდრე „პრეისტორიული ცხოველებით თქვენით არ გადაშენდებით“, მანამდე ნამდვილ თავისუფლებას ერი ვერაფრით მიაღწევსო. ამ ყველაფრის გზად კი მხოლოდ „შეუზღუდავი სექსუალური თავისუფლება“ მიაჩნია. მისი გაგებით, ნამდვილი სიყვარული პარტნიორისათვის სრული თავისუფლების მინიჭებაა, რაც მას სხვასთან წასვლას და სექსს არ უკრძალავს, პირიქით, „ნამდვილი და თავისუფალი სიყვარული“ ამას გულისხმობს კიდევ. ახალი თაობის სახეა იუშკი? დიახ, არის, არა მთლიანი თაობის, მაგრამ მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ნამდვილად არის. რამ მიიყვანა ეს ადამიანები ასეთ დასკვნამდე? რატომ აღიქმება ეს მახინჯი ურთიერთობა სიყვარულად და თავისუფლებად? როდის მერე წაიშალა ზღვარი ნამდვილ ადამიანურ სიყვარულსა და ცოცხალი სამყაროსთვის დამახასიათებელ სიცოცხლის გაგრძელების ინსტინქტს შორის? თუ ორი ადამიანი ერთადაა და თან ერთმანეთიც უყვართ, იქ რატომღაა საჭირო პარალელური სექსუალური ურთიერთობები სხვებთანაც, თან ბევრთან? (ალბათ, იუშკიმ და მისთანებმა არც იცინან, თორემ ასეთი იდეოლოგია ჯერ კიდევ ბოლშევიკებს ჰქონდათ საუკუნის წინ და ისინი აქ პირველები არ არიან, თუმცა რა თავისუფლებაც მოიტანა ასეთმა შეხედულებებმა მაშინ, იუშკიმ არ იცის, ამას ისტორიის ცოდნა სჭირდება). იუშკის თაობას ჰგონია,

რომ ამით საზოგადოებაში დადგენილ სტერეოტიპებს ებრძვის, კლიშეებს არღვევს, თავისუფლების შემზღუდავ ბორკილებს ამსხვრევს და ამით ნანატრ, მისთვის იდეალურ გარემოს იქმნის. არადა, სინამდვილეში, ყველაფერი შინაგანი თავისუფლებით იწყება, რომელიც სულაც არ მოითხოვს საზოგადოების მორალის დუელში გამონჯევას. ეს შინაგანი შეგრძნებაა და ისედაც გაქვს ასეთ საზოგადოებაშიც და ისეთშიც. ცხოვრობ ამ შენი შინაგანი კანონების მიხედვით და სულაც არ გადარდებს, სხვა აღიარებს მათ თუ არა, თუკი შენ, როგორც ინდივიდი, შენთვის მიუღებელი საზოგადოებრივი აზრის იგნორირებას ახერხებ. მთავარია, საკუთარ თავთან არ გქონდეს კონფლიქტი. ცხადია, ადამიანი სოციალური არსებაა და გარემო დიდწილად განსაზღვრავს მის რეალურ ცხოვრებაში ბევრ რამეს, მაგრამ მოპოვებული შინაგანი თავისუფლების წართმევა შეუძლებელია.

ბექა ქურხულის „თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები ანუ დეპთი-ყიფჩაღი“ მხატვრული თვალსაზრისით ძალიან საინტერესო ტექსტია. კონცეპტუალურად ეს არ არის პოსტმოდერნისტული რომანი, თუმცა ავტორი ამ მიმდინარეობისთვის დამახასიათებელ რამდენიმე ხერხს მიმართავს: იყენებს ინტერტექსტს, კერძოდ, იხსენებს გარკვეულ პასაჟებს თავისი ადრინდელი ტექსტებიდან „ორი მთვარის ამბავი“ და „ცარიელი საფერფლე“; ასევე ნონსელექციის პრინციპს, რომლის თანახმად მწერალი აღარ არის ვალდებული, დაემორჩილოს თხრობის ერთიან სისტემას და ტექსტში შემოაქვს ერთმანეთისგან განსხვავებული მანერით შესრულებული პასაჟები, კერძოდ, ტექსტში გვხვდება: მხატვრული გამონაგონი, ანუ ფიქშენი, ნონფიქშენის საკმაოდ მძლავრი ნარატივი და ესეისტურ-პუბლიცისტური მანერით შესრულებული ჩვენი უახლოესი წარსულის მკაცრი და დაუნდობელი ანალიზი. რომანში თხრობა ხან რეალისტური რომანის ხერხებით ოპერირებს, ხან პოსტმოდერნისტული და ხანაც მაგიურრეალისტური, რაც სტილურად სა-

ოცარ მრავალფეროვნებას ქმნის. უნდა აღვნიშნო, ბექა ქურხულის სტილი სადა, თუმცა მეტაფორული ენაა, თავისი ქალაქური სლენგითა და სკაბრეზული გამონათქვამებითაც, რომლებიც გამაღიზიანებელი არაა და რომანის საერთო სტილისტიკაში ორგანულად ჯდება. ეს ის ენაა, რომელიც თანამედროვე ლიტერატურამ (არა მარტო ქართულმა) მოირგო და დღეს უკვე მასობრივად გამოიყენება, როგორც სამწერლობო ენა და რომელსაც მკითხველიც დადებითად იღებს (მით უმეტეს მაშინ, როცა მწერალს ზომიერების განცდა არ ღალატობს). შეუძლებელია, თვალში არ მოგვხვდეს მახვილი იუმორიც, თითქოს მსუბუქი, მაგრამ ამავედროულად საოცრად ზუსტი და დასამახსოვრებელი.

გარდა ამისა, ცალკე კვლევის საგანია მაგიურრეალისტური პასაჟები (განსაკუთრებით ქალღმერთ გულის ამბავი), სიზმრები, გამოცხადებები თუ წარმოსახვები. ამჯერად ყურადღებას სიზმრის მხოლოდ იმ ფუნქციაზე გავამახვილებთ, რომელიც მას რომანის კომპოზიციაში ეკისრება. სწორედ სიზმარში ერთდება ყველაზე ხელშესახებად ორი სიუჟეტური ხაზი, როცა ირეალურ სამყაროში, ბაბურის სიზმარში დაწყებული ამბავი ჯერ საიქიოში გაგრძელდება (მოკლული ყივჩაღი იქიდან ხედავს მისი სიკვდილის შემდეგ რეალობაში განვითარებულ მოვლენებს), ბოლოს გადმოდის ნუნუკას, ან უკვე დედა მარიამის ზმანებაში და ამთავრებს კიდევ სიუჟეტურ ხაზს. ირეალურ სამყაროში პერსონაჟთა შეხვედრა კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩემ მიერ დასაწყისში გამოთქმულ იმ მოსაზრებას, რომ ეს სი-

ნამდვილეში ერთი ამბავია. რეალური პასაჟით დაწყებული რომანი სიზმრით მთავრდება, რაც, ვფიქრობ, სწორედ თანამედროვე სამყაროს ულოგიკობაზე, რეალობა-ირეალობის აღრევაზე, ქვიშარიტების დაკარგვასა და ზოგადად, სამყაროს საზრისის ძიების ამაოებაზე მიუთითებს.

და ბოლოს, რომანში მოთხრობილი ამბით ჩვენ, მკითხველმა, კიდევ ერთხელ დავინახეთ – ადამიანი სამყაროს შექმნიდან დღემდე ერთ ტკივილს ებრძვის და ეს არსებობის, ყოფის ტკივილია, უბრალოდ, მას რამდენიმე სხვადასხვა გამოვლინება აქვს: სწორი ცხოვრების გზის არჩევის ტკივილი, ადამიანად დარჩენის სიმძიმის ტკივილი, სიყვარულისა და სიძულვილის ტკივილი, ორად გახლეჩილი სამშობლოს ტკივილი, შვილისა თუ ქვეყნის მომავალზე ფიქრის ტკივილი...

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, რომანი იმედით მთავრდება, სიყვარულის გამარჯვებითა და სიცოცხლის გაგრძელებით. ყოფის დაუოკებელი წყურვილი, სიცოცხლის ის უზარმაზარი ენერგია, რომელსაც სიყვარული ანიჭებს ადამიანს, აუცილებლად გამოიღებს ნაყოფს და გაგრძელდება. ეს მწერლის სიყვარულის კონცეფციის ამოსავალი წერტილია. გიოს ორივე სიყვარულიც და ბაბურის თავანწყვეტილი ვნებაც საბოლოოდ მათ შვილებში გადადის და, ვიდრე ადამიანს სიყვარული შეუძლია, სამყაროს საზრისი აქვს, არსებობას – აზრი და გამართლება, მოურჩენელი ტკივილები კი მუდამ იქნება, როგორც ადამიანურობის არსებითი ნიშანი.

თემო ჭახნაკია

მშრალი ხიდის თემა ქართულ პოეზიაში



ვიდრე მშრალი ხიდის თემაზე დაწერილ ლექსებზე ვისაუბრებთ, მცირე ისტორიული ექსკურსი გავაკეთოთ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

მშრალი ხიდის მშენებლობა, რომელიც მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის დავალებით დაიწყო, 1848-51 წლებში მიმდინარეობდა. დიდი ხიდის პროექტი იტალიელმა არქიტექტორმა, ჯოვანი სკუდიერიმ შეადგინა, მშენებლობა კი ინჟინერმა ბლიკსმა დაასრულა.

მას ჯერ „მიხეილის მცირე ხიდი“, შემდეგ კი „ნიკოლოზის ხიდი“ ეწოდებოდა.

მის ქვეშ მდინარე მტკვრის ერთ-ერთი ტოტი მიედინებოდა, რომელიც 1930-იან წლებში შეავსეს და ასე გაქრა „მადათოვის კუნძული“, ხიდი კი დღემდე აგრძელებს ფუნქციონირებას. მშრალი ხიდის ნაწილს, რომელიც ზაარბრიუკენის მოედნამდე გრძელდება, 2022 წელს ეწოდა ქართველი პროზაიკოსის, გურამ დოჩანაშვილის სახელი.

1950-იანი წლებიდან მშრალ ხიდსა და მის შემოგარენში, დედაენისა და 9 აპრილის ბაღების მიმდებარედ, მონყობილია ძველი ნივთებისა და ნახატების გამოფენა-ბაზრობა, სადაც ყოველთვის ხალხმრავლობაა და ტურისტებისთვის საინტერესო ადგილს წარმოადგენს.

მშრალი ხიდის დახლებზე აწყვია სხვადასხვა ვინტაჟური ნივთები: ფოტოპარატები, სამოვრები, თუნგები, საბეჭდი მანქანები, ფირსაკრავები, წიგნები, სუვენირები, მუსიკალური დისკები, ვიდეოკასეტები, საკრავები, ჭალები, ბრინჯაოს ჭურჭელი, ფილმების პოსტერები, მინიატურული სკულპტურები და სხვა.

ჩემი დაკვირვებით, მშრალი ხიდის თემა ქართულ ურბანულ პოეზიაში ახალი საუკუნის დასაწყისიდან შეინიშნება. მე-20 საუკუნის ტექსტებში ამ თემაზე დაწერილი ლექსი ჯერ არ მინახავს. ვინაიდან მშრალი ხიდის ბაზრობა სამოცდაათი წელია არსებობს, შესაძლოა, რომ წინა საუკუნის რომელიმე პოეტის ყურადღებაც მიიქცია ვინტაჟური საგნების პოეტურმა გარემომ.

ვახუშტი კოტეტიშვილმა 2007 წელს გამოაქვეყნა გავრცელებული ათმარცვლიანი საზომით დაწერილი რვა სტროფი-

ნი ლექსი: „მშრალ ხიდთან“. ნავიკითხოთ რამდენიმე სტროფი:

რალას არ ნახავს აქ კაცის თვალი,
გასაოცარი მართლაც ბევრია,
მშრალი ხიდის ქვეშ არ არის წყალი,
სამაგიეროდ ყველაფერია.

დრო იზლა ზნება ნელი ზმორებით,
და გაოცება უფრო დიდია,
როცა ხედავ, რომ პროფესორები
წლობით ნაგროვებ წიგნებს ჰყიდიან.

და აღარ იცი, რითი აიხსნას
ეს ვაება რომ მაინც გიზიდავს,
რას აღარ ნახავ: ფინჯანს, ყაისნალს,
დაბინდულ სარკეს, შუბლის
ქინძისთავს...

გიორგი მირზაშვილის 2008 წელს გამოცემულ ლექსების კრებულში „სახანძრო დაფა“ დაბეჭდილია ასტროფული და პოლიმეტრული ლექსი „მშრალი ხიდი“, რომელშიც დარღვეულია რიტმულ-მეტრული კანონზომიერება და არა აქვს გართმვის სქემა, თუმცა აღნიშნულ პოეტურ ტექსტში უსისტემოდ გამოყენებულ არაერთ რითმას შევხვდებით, როგორებიცაა: ხიდი-ჰყიდი, გრაფინი-პარაფინი, ბირდაბირი-პირდაპირი, შუის-შუშის, სინჯარა-ნიჟარა, ვარდი-ნარდი, სალვე-განვვლე. ლექსი ეძღვნება მშრალი ხიდის თემას, სადაც მხატვარი პოეტი ლექსს გვიხატავს, როგორც ფერწერულ ტილოს. ნავიკითხოთ გიორგი მირზაშვილის ლექსი:

ბაზრობა. მშრალი ხიდი.
საათი „ჩაიკა“. – რამდენად ჰყიდი?
ჭიქები თლილი. ლუპა. გრაფინი,
ნემსი პატეფონის, პარაფი
ბიუსტი სტალინის, „ტიბოს ოჯახი“,
ბირდაბირი,
მზერა პირდაპირი, წნევის გასაზომი
– აპარატი.

დაძირული თევზი, მწვანე
ნატურმორტი.
თეთრი დინოზავრი, გაფრენილი გედი.
მაკლერების გროვა. გაფურჩქნილი
ვარდი.
ნიჟარა შუის, სინჯარა შუშის.
ცალხელა მესაათე. ჩუქურთმა
ალებასტრის.

ვიტრაჟი. SALVE. ცხოვრება განვვლე.
მოსკვიჩი. ზენიტი. ნარდი.
შტიბლეტი ტყავის. ზაფხული
მტვრიანი.

ბაზრობა. მშრალი ხიდი.
საათი სეიკო. – რამდენად ჰყიდი?“

გიზო თავაძეს აღნიშნულ თემაზე აქვს ლექსი „მშრალი ხიდი“, რომელიც ორ-სტროფიანი და ათმარცვლიანია:

ხალხის მდინარე მოდის და მიდის,
ფერადი ჯაჭვის იკვრება რკალი,
თითქოს ხიდია, ეს მშრალი ხიდი
და არასოდეს უხილავს მტკვარი.

ხიდქვეშ გაივლის ათასი ავტო,
ეს მშვიდად დგას და არავის ერჩის,
თუმცა ხიდია და მუდამ ნატრობს,
მასაც ესმოდეს მდინარის რეჩხი.

გიო აბესაძემ 2010 წელს გამოაქვეყნა ექვსსტროფიანი ლექსი სათაურით: „მშრალი ხიდი. სალამო“, სადაც მშრალ ხიდს მხოლოდ სიუჟეტის განვითარების ზოგადი ადგილმდებარეობის განსაზღვრის ფუნქცია აქვს დაკისრებული:

მშრალი ხიდი.სალამო. ძველი
ბარი-ტავერნა.
გარეთ სუსხი. შევდივართ და
პალტოებს მიეკიდებთ.
სითბო.მუხის მაგიდა. გოგო ორი
მტკაველა
ორი ლილის თვალით დგას:
„ყვავილები იყიდეთ“.

კობა ჭუმბურიძეს აქვს 2021 წელს დაწერილი ლექსი „მშრალი ხიდი“, რომელიც თოთხმეტი სტრიქონისგან შედგება და თექვსმეტმარცვლიანი მაღალი შაირით არის დაწერილი. ნავიკითხოთ ფრაგმენტი ლექსიდან:

ბაზრობაზე თუ ჩაივლი, შეგეძენინება
რამე,
ან კიტელი, ან სათბურა, ან ნამგალი, ან
მაკრამე,
ფანდური და ზანდუკი და რადიოლა
„მურომეცი“,
ზინგერს, თექას და საინებს შერჩენიათ
ძველი პენი,

გიტარა და ვიოლინო, დაირა და
ჰელიკონი,
ბოთლი, კეცი, ყავარჯენი, პატეფონი,
გრამოფონი.

რაც შეეხება გურამ ჯახუტაშვილის ლექსს „მშრალი ხიდი“, ის ბოლო წლებში საკმაოდ პოპულარული გახდა ლიტერატურულ წრეებში. აღნიშნული ლექსი 2015 წელს დაინერადა დაიბეჭდა 2017 წელს ავტორის რიგით მეორე პოეტურ კრებულში „მზის ჩრდილი“. გურამ ჯახუტაშვილმა თავის „ლაიქფეიჯზე“ განათავსა 2019 წელს, ხოლო 2020 წელს „პოეზიარიმ“ გამოაქვეყნა ალბომში „21-ე საუკუნის ჩემი ანთოლოგია“, სადაც დიდი მონონება დაიმსახურა ცნობილი პოეტებისა და გვერდის სოლიდური მკითხველისგან.

ჩემი ფიქრით, გურამ ჯახუტაშვილის ლექსი „მშრალი ხიდი“ ფორმის, შინაარსისა და შესრულების ტექნიკის თვალსაზრისით, საუკეთესოა ამ თემაზე დაწერილ ლექსთა შორის. ეს არ არის მხოლოდ საგნების აღწერითი პოეზია, გაჯერებული პროზაული რეალიებითა და ემპირიული სინამდვილისთვის დამახასიათებელი ყოველდღიურობით. ამ ლექსის ორიგინალურობა იმაში მდგომარეობს, რომ მშრალ ხიდზე გასაყიდად გამოტანილი ძველი ნივთების სამყაროს ავტორი ფილოსოფიურ პრიზმაში განიხილავს, რაც ქმნის სევდიან განწყობილებას, რითაც ნაწარმოების შემქმნელი განსაკუთრებულ ემოციურ ზეგავლენას ახდენს ტექსტის აღმქმელზე, რამეთუ ვხვდებით, რომ ყველა ნივთს, შესაძლოა, თავისი დაკარგული ისტორია ჰქონდეს.

პოეტურ ნაწარმოებში შემოდგომაა, სექტემბრის თვე. მწერლის თვალმა და გონებამ მოიარა მშრალ ხიდზე არსებული სავაჭრო სივრცე. მისი თვალთახედვით, ეს ყველაფერი არის „აუხდენელი ზმანებების შავი ბაზარი“, სადაც დახლებზე იყიდება არა მარტო საგნები, არამედ მათთან დაკავშირებული შეგრძნებები და განცდები: შიში, პირველი შეყვარება, გზა და ცხოვრება, ტკივილი, სიზმრები, ლოდინი, იდეა, ჩალიმება, ცა. ამ ყველაფერს მოაზროვნე პოეტი სხვადასხვა საგანს უკავშირებს: ბანარს, ლურსმანს, ბრას, ლითონის ტორშერს, მოზერის რქას, პატეფონს, ომის

ალბომს, ყელსაბამს, დროშას, ზანზალაკს, ნალს, პროთეზს, სიმს, საქსაფონს, დოლს, გიტარას... აღნიშნული საგნები გროშებად იყიდეს ვაჭრებმა და მშრალ ხიდზე ყიდიან სამმაგ ფასში, რომლებიც ახალი პატრონის მოლოდინში დახლებზე აწყვიან.

ლექსის კითხვისას ვხედავთ ბავშვს, რომელიც ფაიფურის თეფშზე დრამის ფოხივით აკაკუნებს ხან დანას, ხან ჩანგალს. ვუყურებთ და წკრიალის ცივი ხმაც ჩაგვესმის. ვხედავთ ბუკინისტებს, მათთან მდგომ გამვლელს, რომელიც წიგნს კითხულობს, ვხედავთ ნახატებს და პოეტის წარმოსახვაში მათგან გაქცეულ პორტრეტებს, დროის უხილავი მდინარე კი ჩვენც, სხვებთან ერთად, მშრალი ხიდის რკალში მიგვაქანებს შთაბეჭდილებებითა და ემოციებით აღვსილებს. პოეტი დახლებიან ტროტუარს სანოვავის მაღაზიისკენ მიუყვება გონების თვალთ და ასე იხატება ორიგინალური ლექსი-ნატურმორტი, რომელსაც კლასიკური თოთხმეტმარცვლიანი ლექსის სტრუქტურული ბუნებისთვის დამახასიათებელი მეტრულ-ვერსიფიკაციული სიმწყობრე, მდორე რიტმული კეთილშოვნება, თავისებური გარითმვის სქემა და ორიგინალური რითმები აქვს, ისევე როგორც გურამ ჯახუტაშვილის ყველა კლასიკურ ლექსს.

ნათელი წარმოდგენისთვის, ზემოაღნიშნულ ლექსს სრულად შემოგთავაზებთ:

მშრალი ხიდი

არარსებობა, მარტოობა და
ენკენისთვე.
აუხდენელი ზმანებების შავი ბაზარი.
აქეთ ბანარი გასაყიდი. შიში. ენის ქვეშ –
ლურსმანი. იქით – დალუქული ბუდე
კრაზანის.
ყიდიან პირველ შეყვარებას. პირველ
ნაფაზებს.
დახლებზე ლპება – განშორება,
გაუცხოვება.
გადამყიდველი რეალურზე ძვირად
აფასებს,
სხვების გროშებად ჩაბარებულ გზას
და ცხოვრებას.
ბრები. ლითონის ტორშერები. რქები
მოზერის.
პატეფონები. ამსახველი ომის –

ალბომი,
 ყიდიან ტკივილს – მარტოობის ქვაბში
 ჩალბობილს,
 გადადუღებულს, ამოთქვეფილს და
 ამოზელილს.
 ყიდიან სიზმრებს. ფასდაკლებით
 გააქვთ ლოდინი.
 ძაფზე კამათლებს უკინძავენ ქალებს –
 ყელისთვის.
 ქალებიც თავებს ანონებენ
 ფილატელისტებს,
 კისერზე კობტად მორგებული
 გილიოტინით.

ყიდიან ცვრიან ბალახებში ნოლის
 იდეას.
 დახლზეა ოქროც, ამოღებულ კბილის
 სინჯისვე,
 ყიდიან პროთეზს მოოქროვილს
 ამით ყიდიან,
 ისტორიული ჩალიმების
 სინარინჯისფრეს.
 ყიდიან დროშებს. ზანზალაკებს.
 დროგამოშვებით,
 ყიდიან შიშებს ათეისტურს. ზოგი –
 ცას ყიდის
 და ხალხიც ცდილობს დაანებოს
 გროშებს გროშები –
 გატაცებული ანგელოზის
 გამოსასყიდი.

ყიდიან ულვაშს. ულაჟვარდო კაცის
 ასისტენტს
 ხატავენ ზურგით, აბრუნებენ ნახატს
 გულაღმა.
 ყიდიან ნალებს, რაც დაკარგა გზაში
 ულაყმა,
 როდესაც თავი დააღწია გრძნულ
 რასისტებს.
 ყიდიან სიმებს, საქსაფონებს, დოლებს,
 გიტარებს,
 ნვიმის დროს სახე უჩერდებათ ძველი
 ნივთივით,
 და სანამ ხიდის შორიახლოს
 გამოიდარებს,
 გაუყიდავი ნივთებივით უწევთ
 ტივტივი.
 ბავშვი ჯაზმენი – ფაიფურზე უკრავს

ჩანგლებით,
 უკრავს კოვზებით, აფართოვებს
 თეფშზე ნაპრალებს
 ვინმემ თუ ჭიქა დაითვალა ერთით
 ნაკლები,
 მაშინვე ბავშვის შთაგონებას
 გადააბრალებს.
 ტოვებენ ნახატს პორტრეტები. ქალი
 უკივის
 გაქცეულ პროფილს, ნახატიდან
 თავს რომ უშველა,
 სკამზე შემდგარი გამომვლელი
 გადაუშლელად
 უკითხავს ქვეთავს რომანიდან ვინმე
 ბუკინისტს.

ექებენ კიდეც, მამაპაპის ნაქონ
 განწყობას.
 ჩრდილიდან მარცხნივ, სანოვაციის
 მალაზიამდე,
 აუყვებიან ჩამწკრივებულ დახლებს,
 სანყობობებს,
 ინტუიციით – ძიებას რომ ახასითებს.
 ექებენ ნერილს. არც მინაზე და არც
 გაფენილ
 სარეცხის თოკზე არსად ხვდებათ
 ქალის ბარათი,
 მხოლოდ ბეჭედი ენარცხება შვეულ
 ქვაფენილს
 და უთეთრდება სამახსოვრო რკალი
 არათითს.

დგანან მუხლამდე სიმშრალეში და ვინ
 ვინ არის?
 – ვერ გაერკვევი, ველარ დასვამ უფრო
 საშინელ
 შეკითხვას, რადგან უხილავი დროის
 მდინარე
 უკლებლივ ყველას მიაქანებს ხიდის
 რკალშივე
 და აყვინთავებს ყოველგვარი
 ვალდებულების
 გარეშე – ქალაქს – აჭრელებულს,
 ვინტაჟებიანს,
 ქალაქს, რომელშიც მუცლიდანვე
 მსჯავრდებულები,
 მოქრონიკულო ისტერიით
 იტანჯებიან.

ორიოდე თვის წინ ჰაგიოგრაფიის სწავლების საჭიროებასა და სწავლების მეთოდების თაობაზე კიდევ ერთხელ წამოიჭრა ფართო საზოგადოებრივი დისკუსია. აღნიშნულ საკითხზე მრავალი მოსაზრება გამოითქვა – ძირითადად ტელეგადაცემებში და ფეისბუქ სტატუსების სახით. გთავაზობთ ახალგაზრდა მკვლევარის, ოქტაი ქაზუმოვის რამდენიმე მოსაზრებას ამ თემაზე.

ოქტაი ქაზუმოვი

რამდენიმე მოსაზრება ჰაგიოგრაფიის სწავლების თაობაზე



ალბათ, ყველა თანხმდება, რომ ჰაგიოგრაფიას მისი შექმნის პერიოდისთვის იმაზე უფრო განსხვავებული დანიშნულება ჰქონდა (იდეოლოგიურ/ტენდენციური – თ. დოიაშვილი, ლ. ბრეგაძე), ვიდრე დღეს აქვს. იგი შექმნიდან რამდენიმე საუკუნის განმავ-

ლობაში ინტენსიურად იკითხებოდა და მასობრივი ხასიათის მქონე უალტერნატივო საკითხავიც იყო. შუა საუკუნეებშივე, საერო ლიტერატურის გაჩენასთან ერთად კი, ვერ ვიტყვით, რომ მისი მკითხველის რაოდენობას უნდა ეკლო, მაგრამ ზემოთ ხსენებული ალტერნატივა ნამდვილად რომ გამოუჩნდა, ცხადია და, სავარაუდოდ, სატრფიალო-სარაინდო რომანებს უფრო მეტად მიეტანებოდა მაშინდელი მკითხველიც. მეტექსტმეტე საუკუნეში ტიმოთე გაბაშვილის ცნობილი ჩივილი „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ, რა დროსაც იგი ერის გარყვნაში სდებს პოემას ბრალს, რადგან მამაკაცებმა და ქალებმა მისი გმირების მიხედვით დაიწყეს მორთვა-კაზმვა და ქცევაო (ე.ი. იდეალად სახავენო), ხოლო მოგვიანებით ანტონ კათალიკოსის წუხილი რუსთაველის „ამაოდ დაშრომაზე“, კარგად წარმოაჩენს სასულიერო მწერლობის ამ დარგის მასობრივი მკითხველის შეცოტავენასა და მისი გმირების მიმბაძველთა (საღვთო შურის ამღებთა) შემოსაზღვრულობას.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჰაგიოგრაფიის შესწავლა პირდაპირ ევროპული მეცნიერული

მეთოდებით დაიწყო, რომელსაც ეს ნაწარმოები, პირველ ყოვლისა აინტერესებდა როგორც საკვლევია მასალა – თავისი დანერის თარიღებით, ავტორთა ვინაობის გარკვევით, ენობრივი მახასიათებლებით, ისტორიული ამბებით, ხელნაწერთა ურთიერთშედარებით, მხატვრული აზროვნებითა და ა.შ.

ბოლშევიკურ ეპოქაში კი ჰაგიოგრაფიის შესწავლა-სწავლებისას, უარი ეთქვა რა მისი რელიგიური მხარის სიცხოველეს, წინ ეროვნული მედროშეობა წამოინია – ჰაგიოგრაფია, არა როგორც რელიგიური ტექსტი, არამედ წარსულზე მეტყველი ძეგლი, ეროვნული თვითშეგნების წარმომსახავი, ერის ჩამომყალიბებელი და, რაც მთავარია, მომხდურ ძალასთან იდეოლოგიურ-ფიზიკური ბრძოლის ამსახავი.

როგორც ვხედავთ, თითოეული ეპოქა ჰაგიოგრაფიიდანაც თავისთვის ნიშნულსა და ღირებულს წამოსწევს ხოლმე წინ, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ნაწარმოებიდან.

ჩვენს თანამედროვეობაში კი დროდადრო ხელახალი ძალით ჩნდება ხოლმე კითხვები მისი, ანუ ჰაგიოგრაფიის სწავლების რელევანტურობასთან დაკავშირებით. რაში შეიძლება გამომადგეს ჰაგიოგრაფია? რატომ უნდა ვინვალო? და ა.შ.

ეს კითხვები მეტად საყურადღებოა იმით (თუკი ჩვეულებრივი სიზარმაცის გამამართლებელი წუნუნი არ არის), რომ, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებულად, თანამედროვე სამყაროს ჰაგიოგრაფიისთვის დანიშნულებისა და ადგილის გამოძებნა დაუსახავს მიზნად. სკოლის მოსწავლეებს სრული უფლება აქვთ ამ შეკითხვების დასმისა, ხოლო მასწავლებელ-სპეციალისტის ვალია, ყოველ ჯერზე მათთან ერთად დაფიქრდეს და არგუმენტირებული პასუხები შეაგებოს, მაგრამ არა გატკეპნილი, მეტაფიზიკური, რელიგიურ-დოგმატური ან პატრიოტულ-დოგმატური ნაყალბევი („მართლმადიდებელი ხარ და ხამს“, „ქრისტიანი ხარ და ხამს“, „ქართველი ხარ და ხამს“)

ხშირია შემთხვევები, როცა მასწავლებელი მოსწავლის კონსტრუქციული კითხვების წინაშე უძლური აღმოჩნდება და, მაღლიერებით აღვსების მაგიერ, უჯავრდება, რჯულისა და ქვეყნისადმი უსიყვარულობას აბრალებს. მასწავლებელსა თუ სპეციალისტს ყველა კითხვაზე პასუხი, ცხადია, ვერ ექნება, მაგრამ უმრავლესობაზე რომ უნდა ჰქონდეს, ეს სადავო არ უნდა იყოს.

ჩემი გადმოსახედიდან, ჰაგიოგრაფიული ტექსტები ძალიან შეუმზადებლად და იზოლირებულად ისწავლება. შეუმზადებლობაში ვგულისხმობ იმას, რომ მოსწავლეს უეცრად უწევს ისეთ ტექსტთან ურთიერთობა, რომელიც მისგან ლამის მეცნიერულ საქმიანობას მოითხოვს. მან ჯერ უნდა იკითხოს, გაშიფროს და გაიგოს ის, თუ რა წერია ტექსტში და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იმსჯელოს სახეებისა და ხასიათების განვითარების საკვანძო მომენტებზე, ხოლო იზოლირებულობაში ქრისტიანული მწერლობის ანტიკური სამყაროსგან მოწყვეტილად წარმოდგენა იგულისხმება. ასევე მოსწავლეს არ განემარტება ჰაგიოგრაფიის გენეზისი, მიზნები და ა.შ. შედეგად, ჰაგიოგრაფიის გმირები ერთგვარ ახირებულ, ზოგჯერ თავიანთი პრინციპულობის გამო გამაღიზიანებელ სახეებადაც წარმოუდგებათ (შემთხვევითი არ არის, რომ მოსწავლეებში – „მოიქნია ასტამი“ და „თვალნი დაუბუშტნა“ – თანალმობის ნაცვლად, არაიშვიათად მხიარულებას რომ იწვევს). ისევე როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ფიზიკურად ძლიერი, მდიდარი, ლამაზი, განათლებული, მამაცი გმირების ტირილისა არ ესმით. არ ესმით; რადგან „ვეფხისტყაოსნის“ შემთხვევაშიც არავინ არ უხსნის აღმოსავლურ-მუსლიმური ლიტერატურის ესთეტიკურ პრინციპებს, რომელთაგანაც ძალიანაა დავალებული რუსთაველი.

გადავხედოთ ანტიკური ხანისა და ჰაგიოგრაფიის მიმართებას.

ეკლესიის გამორჩეული სასულიერო მოღვაწე, მოაზროვნე მამა გიორგი ფლოროვსკი წერილში – „ქრისტიანობა

და ცივილიზაცია“ – ქრისტიანობისა და ელინისტური ცივილიზაციის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ახალი კულტურა (იგულისხმება ქრისტიანული კულტურა – ო.ქ.) წარმოადგენდა იმ დროში არსებულ ყველა იმ შემოქმედებითი ტრადიციისა თუ მოძრაობის გრანდიოზულ სინთეზს, რომლებიც შეერთდნენ ერთმანეთს“. ქვემოთ უთითებდა, რომ: „ცივილიზაცია სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა ელინიზმს, მთელი თავისი წარმართული მემკვიდრეობით, სააზროვნო უნარ-ჩვევებითა თუ ესთეტიკური იდეალებით“, ხოლო თუ არსებობდა კონფლიქტი ელინიზმსა და ქრისტიანობას შორის, ფლოროვსკის აზრით, ეს განპირობებული იყო იმით, რომ „ელინიზმი არ იყო მზად საიმისოდ, რომ იოტისოდენადაც კი დაეთმო ეკლესიისათვის და ეს შეეხებოდა ნებისმიერ სფეროს“, სამაგიეროდ, ქრისტიანული კულტურა: „ეს იყო „ახალი ელინიზმი“, რადიკალურად ქრისტიანიზებული, ასე ვთქვათ, „გაეკლესიურებული“ (ფლოროვსკი გ, „ქრისტიანობა და ცივილიზაცია“).

მოხმობილი ციტატებიდან სამი ორიენტირი უნდა გამოვყოთ: 1) ქრისტიანული კულტურა იმ დროში არსებულ ყველა შემოქმედებითი ტრადიციისა და მოძრაობის გრანდიოზულ სინთეზს წარმოადგენდა; 2) ელინისტურსა და ქრისტიანულ აზროვნებას შორის დაპირისპირება არსებობდა; 3) ელინისტური ქრისტიანული ხდებოდა (ეს უკანასკნელი წარმოგვიდგება როგორც შედეგი ნინა ორისა).

ეს სამი ორიენტირი კი ერთ საზრისს გადმოსცემს: ქრისტიანულმა ღვთისმეტყველებამ, იკონოგრაფიამ, ჰიმნოგრაფიამ, ჰაგიოგრაფიამ და ა.შ. არათუ ბევრი რამ იმემკვიდრა ანტიკურიდან, არამედ თვით იქაც გაითვალისწინა იგი, სადაც კი დაუპირისპირდა მას. თვით ქრისტიანობის საყოველთაოდ ცნობილი კრედო – „ღმერთი სიყვარულია“ – ძველი ბერძნულის „სიყვარული ღმერთიას“ შებრუნებული ვარიანტია (უ. გათრი „ბერძნული ფილოსოფია“).

ამ შებრუნებებს ეხმაურება ქარ-

თულ-ქრისტიანულ ხელოვნებაში ესთეტიკის მკვლევარ რევაზ სირაძის წიგნის, „სახისმეტყველების“, ერთი მცირე თავი სათაურით – „ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულში“. მოგვყავს ციტატა:

„ძველ საბერძნეთში ამ სიტყვებში შემდეგ აზრსაც სდებდნენ: ჯანსაღი სული მხოლოდ ჯანსაღ სხეულში შეიძლება იყოსო. შეუძლებელიაო, რომ გონჯ ადამიანს ლამაზი სული ჰქონდესო... ქრისტიანულმა ხელოვნებამ მეორე უკიდურესობა აირჩია. ადამიანი მხოლოდ სულიერად გააიდება და ხორციელი ბუნება კი მთლიანად უგულვებლყო. ამიტომაც ფრესკებზე გამოსახული პიროვნებანი ხორციელებისაგან დაცლილნი არიან“.

ახლა შევეცადოთ და ეს თეზა კიდევ უფრო გავშალოთ.

ანტიკური გონი ლამაზს ესწრაფვის, მისი ასახვის მთავარი ობიექტები უზადო და უნაკლო პროპორციებით გამოირჩევიან მითებში, მხატვრულ ლიტერატურაში, ქანდაკებაში, მხატვრობაში, ხოლო, თუკი სადმე გვხვდება „ულაზათო“ სხეულის მქონე ადამიანი, იგი არათუ არ არის მთავარი გმირი, არამედ მას ვერაფრით ვერ ექნება ნათელი აზრებიც, ამალღებულ სულზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტია. „ვინ ისურვებს შენს დახატვას, როცა არავის სურს შენი შეხედვა – ამბობს ერთი ეპიგრამისტი“ (ლესინგი, „ლაოკოონი“). ანტიკურ მხატვრულ ლიტერატურაში ტრაგედიები, ეპოსები სწორედ გამორჩეულ პირთა თავგადასავლებს აღწერს და გადმოსცემს, რომლებიც ფიზიკურად სჯაბნიან უკეთურებს – ამარცხებენ ბოროტებს, კლავენ გველეშაპებს, ლომებს, ჰიდრებს, საიდანაც ცოცხალი გამოდიან და ამაში ვლინდება მათი სიქველე. გმირების ასეთი უჩვეულო ფიზიკური ძალა მათი ღმერთებთან წილნაყარობითაა განპირობებული – ზოგს დედა ჰყავს ქალღმერთი, ზოგს კი მამა – ღმერთი.

ჰაგიოგრაფიაში ყოველივე ეს „შებრუნებული პერსპექტივითაა“ მოცემული. ადრეული ჰაგიოგრაფიის გმირის

ფიზიკური სილამაზე განგებაა მიჩქმალული ან ძუნად არის გადმოცემული აქა-იქ. სამაგიეროდ, მთავარი ხაზი უჭირავს მის სულიერ ამაღლებულობასა და აღმატებულობას. თუკი ანტიკურობის გმირი ჩვილობაშივე ავლენს ფიზიკური ძალით განსხვავებულობის ნიშან-თვისებებს, ჰაგიოგრაფიის გმირი ბავშვობიდანვე თავისი ღვთისმოსიებით გამოირჩევა. თუკი ანტიკური სამყაროს გმირი მარადიულ დიდებას საგმირო საქმეების იდეალად დასახვით, მის ამ გზაზე სიკვდილით მოპოვებას ესწრაფვის, ჰაგიოგრაფიის მონამე გმირისთვის სანატრელი სულიერი ძალების მობილიზაციით მონამეობრივი აღსასრულია, რითაც ქრისტეს ებაძება. ჰაგიოგრაფიის გმირის „რაინდობა“ ეშმაკთან შერკინებაში ვლინდება, რომელიც, გარდა ფიზიკური ზმანებებისა, ადამიანური ვნებების, იგივე ინსტიქტების მის წინააღმდეგვე აღძვრით, აზვირთებით იბრძვის, ამ ომში ადამიანის საჭურველი კი ანტიკურის მშვილდ-ისრებისაგან, შუბებისაგან, ფარისა და მახვილისაგან განსხვავებით, ლოცვა, მარხვა, ასკეზა, თმენა და მონამეობისაკენ სწრაფვაა. ანტიკური ნახევრადღმერთი გმირის საპირწონედ, ჰაგიოგრაფიის გმირი ღმერთშემოსილობას იძენს. ანტიკური გმირის სიკვდილი ტრაგედია თუა, ჰაგიოგრაფიისა სულიერი ზეიმი. ანტიკური სამყაროს გმირი ბედს ვერსად გაქცევით ვერ ასცდება (გამონაკლისს შემთხვევებში არჩევანის გაკეთების უფლებას აძლევენ, მაგალითად, როგორც აქილევესს, ოლონდ გაკეთებული არჩევანი საბოლოოა და კორექტირებას აღარ ექვემდებარება), ჰაგიოგრაფიის გმირისთვის კი ბედი, როგორც ასეთი, არ არსებობს, არამედ არის ნება ღვთისა, რომელში ყოფნაც მუდამ პიროვნული არჩევანის შედეგია და ა.შ.

აქ შეიძლება ეჭვნარევი კითხვა გაჩნდეს: ქრისტიან წმინდანებს ანტიკურ გმირებთან ხომ არ ვათანაბრებთ? ამისი ყველაზე კარგი პასუხი თვით ჰაგიოგრაფიაშივეა მოცემული – მისი მტკიცებით იგი მხოლოდ ნამდვილად არსე-

ბულ პიროვნებებზე, ნამდვილად მომხდარ ამბებზე ინერება. ჰაგიოგრაფიის ერთ-ერთი მთავარი თავმოსანონარი ის იყო, რომ მოვლენები მისი უშუალო შემსწრეების მიერ ანდა მოწმეებისგან მონაცოლის საფუძველზე ინერებოდა, ე.ი. გამონაგონი არ იყო.

რას გვაძლევს ყოველივე ეს ჰაგიოგრაფიის სწავლებისას?

პირველ ყოვლისა, იმას, რომ „მსგავსი მსგავსითვე შეიცნობა“. მოსწავლეები ამით ანტიკური ხანის ხელოვნებითა და ჰაგიოგრაფიაში საინტერესო კანონზომიერების აღმოჩენით ინტერესდებიან. ჰაგიოგრაფიის ანტიკურ სამყაროსთან შედარებისას ხალისით აკეთებენ საინტერესო დასკვნებს და წერისას სათქმელად უფრო მეტი ეძლევათ.

სკოლებში, სადაც უფროსკლასელებთან შესახვედრად მივუწვევივარ, ყოველთვის ანტიკური ხანიდან ვიწყებ ხოლმე. უნდა ითქვას, რომ შეხვედრისას რამდენიმე ისეთი მოსწავლეც ყოფილა, ანტიკური ნაწარმოებების ცოდნაში რომ არ ჩამომრჩენიან და, მსჯელობაშიც რომ მომყოლიან. მათ მარტო ბიძგის მიცემა ესაჭიროებოდათ, ამდენად, ჩემს ნამსჯელში მათთვის ერთადერთი სიახლე ანტიკურობისა და ჰაგიოგრაფიის დაკავშირებალა იყო მხოლოდ.

მასწავლებლის მიზანი მოსწავლის ტექსტით დაინტერესება და ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების აგების, გმირის სახის ძერწვის, იმ დროის საზოგადოებრივი და კულტურული პრინციპების ახსნა უნდა იყოს და არა პათეტიკური რელიგიური ქადაგება, რომელიც სულაც არ შედის მის კომპეტენციაში. უნდა ახსოვდეს, რომ იგი მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების პროვოცირებისათვის, კითხვების დამსმელი მოქალაქის აღზრდისათვის არის მივლენილი და არა მომავალი მონამეების გამოზრდისთვის. მასწავლებლისთვის თუნდაც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება და მოქალაქეობა“ მეტად უხვ მასალას იძლევა იდეებისთვის მეტძოლ, თანამოაზრეთა შემომკრებ, სოლიდარულობაზე დაფუძნებულ, აქტიურ მოქა-

ლაქეობასთან დაკავშირებულ თემებზე საბჭოდ, რაც ასეთი საშური გახლავთ ჩვენი დღევანდელი მსოფლიოსთვის.

ექვთიმე ათონელი ბერძნულიდან 150-მდე სასულიერო წიგნის თარგმნით გახდა წმინდანი, გრიგოლ ხანძთელი კი – შორეული ადგილების რელიგიურ-კულტურულად გამოცოცხლებით (მშენებლობებით, ვენახების გაშენებით). შესაბამისად, რჩეულობა შრომა-გარჯილობით რომ მტკიცდება, ჰაგიოგრაფია ამასაც ჩაგვაგონებს.

ახლა გადავიდეთ ჰაგიოგრაფიის სწავლების კიდევ ერთ დელიკატურ საკითხზე – როგორ ვუხსნით მას ქართულენოვანი სკოლების ეთნიკურ აზერბაიჯანელ, ქისტ, იეზიდ, ებრაელ და მსოფლმხედველობრივი მრწამსით ათეისტ და ა.შ. მოსწავლეებს?

ეს საკითხი ყველაზე მეტად მტკივნეული და ამავე დროს, ზოგადად, ქვეყნის პრაქტიკაში მოქალაქის, როგორც ასეთის, აღქმის პრობლემურობაზე მეტყველი მომენტია. კერძოდ, საქმე გვაქვს მოსწავლეთა სეგრეგაციასთან ეთნიკური, რელიგიური და მსოფლმხედველობრივი ნიშნით. აქ მხოლოდ უაღრესად ტაქტიან, ამავე დროს რელიგიების ისტორიასა და კულტურაში ჩახედულ, ჰაგიოგრაფიის მთელი სიგრძე-სიგანით, თავისი ისტორიული ფონითა და თანამედროვეების გათვალისწინებით გამააზრებელ მასწავლებელს შეუძლია გავიდეს ფონს. მას სულ მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ჰაგიოგრაფია იდეოლოგიზირებული და ამასთანავე, პოლემიკური ხასიათის უანრიცაა, ხოლო პოლემიკა ყოველთვის ტენდენციურობითაა დაღდასმული, რადგან მისი მიზანი ჭეშმარიტების გამოვლენა კი არა, ოპონენტზე უპირატესობის მოპოვებაა. თუკი პედაგოგი ამ ტენდენციურობას დაჰყვება, მაშინვე გამოვა მასწავლებლის როლიდან, გახდება მხარე და თავისივე მოსწავლეების მრწამსს, კულტურას, თუნდაც ირიბად, განქიქებას დაუნყებს. ეს კი პირდაპირი დისკრიმინაცია იქნება რელიგიური, ეთნიკური, კულტურული თუ მსოფლმხედ-

ველობრივი ნიშნით. ამით მასწავლებელი მოსწავლეს მეორეხარისხოვნობის იარაღს მიაკერებს და გამოსავლად ნება-უნებლიედ პროზელიტიზმს, ინდოქტრინიზაციას ე.ი. ქრისტიანობაზე (მართლმადიდებლური ნიშნით) მოქცევას შეაჩივებს, მაგრამ აქ პრობლემა მარტო ეთნიკურ და რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ მრავალფეროვნებაში არაა. თვით ისეთ სკოლებშიც კი, სადაც მხოლოდ ეთნიკური ქართველი, ხოლო მრწამსით მართლმადიდებელი ბავშვები სწავლობენ, ამ პრინციპების დარღვევა, თავისგან განსხვავებულისთვის ზემოდან ყურების, თანამოქალაქეებთან კიდევ უფრო გაუცხოების საფანელს ქმნის. ამით იმის თქმა მსურს, რომ ჰაგიოგრაფიის ტენდენციური სწავლებისგან მხოლოდ იმ სკოლებსა და კლასებში კი არ უნდა ავარიდოთ თავი, სადაც რელიგიური, ეთნიკური, კულტურული, მსოფლმხედველობრივი ნიშნით განსხვავებული ბავშვები სწავლობენ, არამედ იქაც კი, სადაც ასეთი მოსწავლეები არ გვყვანან, რადგან ჩვენ, პირველ ყოვლისა, მოქალაქეებს ვზრდით, რომლებიც სკოლის დასრულების შემდეგ ერთმანეთს საჯარო სივრცეებსა და დანესებულებებში გადაეყრებიან, შესაბამისად, მათ საერთო ენის გამონახვა უნდა შეეძლოთ. ამისათვის კი საჭიროა, რომ მომავალი თანამოქალაქეები პატარაობიდანვე გამაერთიანებელ პრინციპებზე უნდა აღიზარდონ და არა გამთიშავზე.

მოსწავლეებთან „აბოს ნამების“ გავლის დროს კარგი იქნება, თუ ტექსტის ისლამისადმი დამაკნინებელი მონაკვეთები სკოლის (და არა უნივერსიტეტის!!!) სასწავლო სახელმძღვანელოდან ამოღებული იყოს, ხოლო აბოს პიროვნებაზე მსჯელობა მთლიანად იქნეს გადატანილი პიროვნებისა და თემის, პიროვნებისა და მისი არჩევანის თავისუფლების მნიშვნელობაზე. აქვე კარგი იქნება თუ ვახსენებთ, რომ თუნდაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მილიონობით აფროამერიკელისთვის სწორედ ისლამი გახდა სამოქალაქო

უფლებებისა და თავისუფლებებისთვის ბრძოლის მთავარი დროშა. ამაზე მსჯელობა მუსლიმ მოსწავლეებში გარიყულობის შეგრძნებასა და აბოსადმი შესაძლო ნეგატიურ განწყობას გაანეიტრალებდა. ქართული ლიტერატურიდან ვაჟა-ფშაველას „აღუდა ქეთელაურის“ ფერისცვალებაც მეტად კარგი საპარალელუ მასალაა „აბოს წამებასთან“. თუ აბო ქართველებისადმი ემპათიისა და ქრისტიანობისადმი სიმპათიის გამო იცვლის რჯულს, აღუდა ყველა რჯულში ჭეშმარიტების საერთოობის აღიარებით თითოეულ ამ უკანასკნელზე მალღდება. სწორედ ჭეშმარიტების საერთოობა და საერთოობის ჭეშმარიტება გახდება აღუდას რელიგიაც, მრწამსიც, მსოფლმხედველობაც და ა.შ.

ბოლოსკენ დავძენ, რომ ეს წერილი ერთ გვერდში რამდენიმე პუნქტად ასე შექმნილია ჩატეულიყო:

1) ჰაგიოგრაფიას ბევრი რამ აქვს შეთვისებული ანტიკური სამყაროდან. შესაბამისად, ლიტერატურის სახელმძღვანელოში ამაზე მცირე ექსკურსი ან მასწავლებლის ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეებში პარალელების გავლები-სა და მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენის სურვილს აღძრავდა, რაც უკვე კარგი შესაძლებლობა იქნებოდა ჰაგიოგრაფიით მათი დაინტერესებისთვის.

2) არ უნდა გვეწყინოს, თუკი მოს-

წავლე წმინდანებსა და ტექსტებს „გა-უშინაურდება“, არ მოეწონება, ზოგან იცინებს და დასვამს შეკითხვებს, რომელთა დასმაც „არ შეიძლება“.

3) ვიფროთხილოთ, რათა გაკვეთილი რელიგიურ ქადაგებაში არ გადაგვივიდეს. პირიქით, ეს შესაძლებლობა რელიგიების ისტორიის თხრობისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ, ან ვთხოვოთ მოსწავლეებს, რომ ანტიკური ღმერთების პანთეონზე, ქრისტიანობაზე, მაზდეანობაზე („შუმანიკის წამებას“), ისლამზე („აბოს წამება“) ინფორმაცია მოაგროვონ.

4) ჰაგიოგრაფიის მთავარი გმირები, როგორც თემის აქტიური წევრები, კრიტიკულად მოაზროვნენი, ხელისუფალის უშიშრად მამხილებელნი, სუსტთა დამცველნი.

5) ჰაგიოგრაფია და უცხოელობა. ქართული ჰაგიოგრაფიის პირველი ძეგლების მთავარი გმირები ეთნიკური ქართველები არ არიან. რას ნიშნავს ეს ჩვენი დღევანდელი მსოფლიოსთვის?

6) სიფროთხილე უნდა გამოვიჩინოთ ეთნიკურად, რელიგიურად და მსოფლმხედველობრივად არადომინანტი ჯგუფების წარმომადგენელ მოსწავლეებთან ჰაგიოგრაფიის სწავლებისას და თავი ავარიდოთ ხსენებული მიმართულებებით დისკრიმინაციას.

ბესო სვედელიძე

არბიმი და რიბა

(საკითხავი პიესა)



– ხუთი წუთი დარჩა, სტუდია! რიტა! მორჩით ახლავე, დროზე!

– კარგი რა, არტემ რა!.. ხომ იცი, ხუთი წუთი ამ ცხოვრებაში არაფერია...

– აუ, დაიწყო ამან ისევ თავისი!

– აუ კი არა, წადი რა, გაისეირნე, ვა!! ვერა ხედავ, რომ კიდევ მხატვან?! შენ ესენი ისენი ხომ არ გგონიან?!

– ვინ ესენი, ვინ ისენი, ღმერთო?

– არტემ, ესენი არიან მომავალი მოდილიანები, გოგენები, ფიროსმანები! აცალე რა! და მეც მაცალე, ვა! გველოდება ვინმე, თუ რა არი?!

– ო, ღმერთო ჩემო, სულ ერთი და

იგივე!.. სულ ერთი და იგივე რატომ უნდა მესმოდეს?! მე გელოდებით, რიტა! რა დროს ჩემი სეირნობაა? პოდაგრა მაქვს, რიტა!.. ორივე ფეხზე! მოდილიანები, გოგენები და ფიროსმანები კიდევ – იყვნენ უკვე. ესენი თავისი თავები გამოვიდნენ – ეგ უთხარი!..

– ჰმ!.. მე რო ჩემი თავი გამოვედი, რა მაგით მერე? რა დღეში ვარ, ვერ ხედავ? ან შენს თავს ვერ ხედავ, რას გავხარ?

– ეს ვარ რო მე? ან ეგ ხარ რო შენ?.. ასეთი ჩემი თავის გადამკიდეკაი ხანია უღრმესი ძილი მენატრება, რიტა.

– ძილი არი დროის კარგვა, არტემ! ამაზე მოვრჩეთ! ადრეც რამდენი გვიჩხუბია, არ გახსოვს?!.. და განა დიდი ლეონარდოც ამას არ ამბობდა?

– ვინ დიდი ლეონარდო? რა მედიდილეონარდობა?! თქვენ გელოდებით, თორემ მეორე სიზმარზე ვიქნებოდი! ცოტა ხნით მაინც დამავინწყდებოდა – ვინ ვარ, სად ვარ და რატომ! დროზე-მეთქი, რიტა! დენი ინვის! რა ვქნა ახლა, შუქი ჩავაქრო თუ ზარი დავრეკო?!

– ისედაც დარეკილი არ გაქ, შე უბედურო?! ხომ მიცნობ კარგად?! იცოდე, ფეხზე არ ამაყენო შე მართლა ვარაუდით მოსიარულევე, თორემ თუ მოვედიიი!..

– ვახ!.. მთელი საათით წინ არ ყოფილა ეს ოხერი? ე, რა სპარსეთის ყურის დროით დავდივარ. ნავალ ერთი, თონის პური ვიყიდო, კრახუნა... ერთ-ორ-სამ! გავქრი!

●

– აუ, საერთოდ ვერ ვიტან ცხოვრებაში მთვრალ კაცებს! ძალიანაც კარგად უთხრა ყველაფერი ქალბატონმა რიტამ!

– რიტა უძლიერესია! ფუჰ, ეს არტიმი!.. ცნობილი დეგენერატი-ლოთია! დიდებმა მომიყვინენ – ადრე თურმე ეგეც ნატურა იყო და შიშველ ნატურად ედგა აქ დამწყებ მხატვრებს პირველი პრეზიდენტის დროს. მერე დარაჯად გადაიყვანეს, იმიტომ რომ დაბერდა, გალოთდა და ერთ პოზაში ვერ ჩერდებოდა. თან სულ ეფსმოდა. აქ მდგარი კიდევ, რალაც სომხობებს მღეროდა! ძალიან სასაცილო ყოფილა!

– ჰაჰა! ვაიმე!

– ახლა კიდევ ასე გვშლის ნერვებზე ახლებს. გგონია, მართლა ეძინება? მატყუარა აფერისტია! ფული უნდა! ვიდრე არ მივაშავებთ ხურდებს, არ მოგვეშვება. მოიგონებს მილიონ რამეს და პირდაპირ კი არ იტყვის, რო ფული უნდა! აგერ ნახე, კიდევ თუ არ შემოეთრეს!

– აი, ის ბიჭები ვინლა არიან? იქით მხარეს რო სხედან...

– უი, ეგენი ძაან ჩვენები არიან. გაგაცნობ მერე. იცი, როგორი კაი ბიჭები არიან?

– მე რომ არ მწამს კაი ბიჭების, ირა?.. სულ თავხედები მხვდებიან ხოლმე, უზრდელები და პირდაპირები!

– ყველა კაი ბიჭი ერთნაირი კი არაა, გოგო!

– მე ვიცნობდი ერთს. დამდევდა. ისე ისაწყლებდა თავს, ისეთი ზრდილობიანი და კულტურული იყო – გეი მეგონა.

– აუ გეები ძაან მიყვარს. აი, ვგიჟდები მართლა! სულ არ მეშინია გეების! აი, ძალიან ჩემები არიან! ხანდახან ვფიქრობ, ბიჭად რომ დავბადებულყავი – მეც ეგრევე გეი ვიქნებოდი-მეთქი!

– ის კიდევ ვილაც საშინელი სამართლიანი კაი ბიჭი აღმოჩნდა! რომ დავუპირე კარგად მომეთოკა, ანუ ხელში ჩამეგდო და ორივესთვის ერთნაირად სასარგებლოები ვყოფილიყავით ერთმანეთისთვის – იცი, რა ქნა?!

– არ მითხრა, რო დაგადო?!

– დამადო კი არა, ჯერ ხომ უკანასკნელი სიტყვებით მაგინა ყველას თვალ-

ნინ და სულ გამომყენებელი-მეძავი მეძახა...

– ვაიმე!

– მერე დედაჩემს მიადგა და არ ვიცი, რა ჩაუყარა... და თან...

– აუ, ლადადობ?

– დედაჩემს ახლაც შიშები აქვს პანიკური... თვალეში ვერ მიყურებს რამდენი წელია სირცხვილისგან!

– კაი რა... დედაზე რეებს ყვები, გოგო?

●

– აქედან რო გავალთ, ესენიც გავიყლოთ და სადმე მოვჯდეთ, ანრი!

– ისე სწორი მოვჯდეთ იქნება, თუ მოვსხდეთ?

– მე მოვჯდეთ უფრო ნაღდი სიტყვა მგონია. სხდომა რა – პარლამენტი თუ გამგეობა? მე მოვჯდები და, ვისაც უნდა მოსხდეს!

– რიტაც აგვეკიდება. სულ შია!

– სულ ეგრე არ იცის, რო? და მერე, რაც კიშკი რჩება, სალფეტკში ახვევს, სახლში მიაქვს, თუთიყუშს უნდა ვაჭამო. თუთიყუშები რა, ლორის მწვადს ჭამენ?

– ჭამენ, ალბათ. ისინი ხომ არ არიან... რა ქვიათ?.. ლორის ხორცს ვინც არ ჭამს.

– ვეგეტარიანელები?

– არა. ახლა მაგას სხვა რამეს ეძახიან! აღარ მახსოვს! აგვეკიდოს! რიტასთან რა საქმე მაქ? მე ის ახალი, ქერა გოგო უფრო მაინტერესებს... ირას გვერდით რო ზის!

– მაგარი თვალეები კი აქვს, ისე.

– სად დაინახე მაგის თვალეები? სხვა რამე მაინც გეთქვა...

– ისე, თვალეები მაგრად ყიდიან ადამიანებს!

– შენც შეატყე, ხო?

– ოდნავ ქაჩავენ მზერას, როდესაც გიყურებენ და ამ დროს ისე უკრიან-ლებთ...

– მერე რა?

– ეგეთ თვალეებიანებზე ამბობენ – საკბილოს ეძებს მაგ დროსო! მაგნეტიზმი რა! მაგნეტიზმი კი არა, უფრო სწორად – ენერგოვამპირიზმი... და მერე უცებ – ნკაპ და მორჩა!

– ნკაპ რალაა?

– ჩავლება!

- სად ეგ?
- ყველგან ერთდროულად!
- - ხანძრის გამოძახება აქედანაა?
 - რა ხანძარი, ღმერთო დიდებულო?!
 - ვა, აქ რა, საუნაა?
 - გაგასაუნებთ ახლა, თუ მოვედი მანდ! უყურე ერთი ამათ?!
 - აბა ხანძარიო?
 - სად ხედავთ აქ ხანძარს?! გაბრძანდით თუ შეიძლება გარეთ! და კარი მოიკეტეთ!
 - ჩვენ გვაპატიეთ, მაგრამ მშვიდობის ჩიხი არაა ეს?
 - არა, გენაცვალე. ესაა კრემატორიუმის ქუჩა. მშვიდობის ჩიხი გვერდითაა და გაბრძანდით-მეთქი ახლავე!
 - ვა, აბა, აქ რა ხდება ეგეთი?
 - აქ არი სამხატვრო სტუდია!! გაკმაყოფილებთ პასუხი?
 - ეჰ, რატომ არ გამოვედი მხატვარი, ილო-ჯან?
 - ხელს გვიშლით, გენაცვალე! წადით ახლავე დროზე, თორემ სუ დაიფერფლება იქაურობა – ვინ იცის, ვინ და რა იწვის!!..
 - ცოტა ხანი გიყურებთ რა?.. დასანვავი დაინვას ბარემ!
 - გეხვეწებით რა!.. არ ვინმეაურებთ. აგერ კუთხეში დავჯდებით. რაც დასანვაია, ბარემ მართლა დაინვას! ხუთი წუთი აქეთ-იქით არაფერს შეცვლის!
 - მოიცათ-მოიცათ! ეგრე იოლად შეიძლება ხანძარზე ლაპარაკი?! იქნებ რა იწვის? იქნებ მუთაქაა ევროებით გამოტენილი? იქნებ ძაღლია სახლში ან თუთიყუში გალიაში? იქნებ ბავშვია ახალშობილი, ან მოხუცი! თქვენ ხართ პროფესიონალები? თქვენ ხართ ქართველი მასტურბატორები!
 - აუ, სუ ცოტა ხანი რა, ქალბატონო ნატურა...
 - მე რიტა მქვია, ჯერ ეგ ერთი! და თქვენ ახლა მზერით მრუშობთ! ვის ჭირდება ამდენი თვალთ მომრუშე მესხანძრე? თვალთ მომრუშეების ბრალია, რომ ყველაფერი ყირაზეა ამ ქვეყანაში! მითხარით ახლავე თქვენი უფროსის სახელი, გვარი და მამის სახელი!
 - ფუნჯები მაინც გამოვსულიყავით ან საღებავები...
- - მომშივდა რალაც... ღვეზელზე რომელი გამეგზავნებით?
 - რიტა, ეგრე გადაწყდა – აქედან ყველანი მივდივართ „ნაძვებში“...
 - ვა, მაშინ ღვეზელი მოიცდის. და მეც მოვიცდი, ბავშვებო! ისეც კი არაა... (კარზე კაკუნის) ახლა გადავირევი! რა დღეა ეგეთი?! არ შეგვჭამეს?! გააღე ერთი რა, ირა!
 - ახლა მოგიტყ...!.. გამოით ყველა გარეთ დროზე!!
 - ე, რა ხდება, არტემ? რა გამოთქმებიან?
 - გამოით-მეთქი!!!
 - სად გამოვიდეთ!.. რა ხდება? ხომ მშვიდობაა?
 - ომი ხომ არ დაიწყო, არტემ ბიძია?
 - ვახ, გამოით-მეთქი დროზე! გვერდზე ხანძარია! ახლა მოვიდა სახანძრო მაშინა!
 - ვაი-ვაი!.. პანიკის გარეშე!
 - გამოით-მეთქი!!! არ გადმოვიდეს ცეცხლი, თორე დანახშირდებით ყველა ერთად!
- - სადაა აბა, ხანძარი, არტემ?
 - მაგან, მგონი, ტუალეტის ნახმარი ქალაღი დაწვა დენის ჯიხურის უკან, მერე დათვრა და ხანძარი ეგონა...
 - მე კი გამომაქცია ნახევრად შიშველი სტუდიიდან! არტეემ, მოგკლავ ცოცხლად სადაც გნახავ!!! შენ რიტა აღარ გახსოვს კარგად!!
 - აგე კვამლი!
 - თვითონ სად გაქრა?
 - ვაიმე! შიგნით თუ დარჩა რამე და შებრუნდა?
 - არ დაინვას... თუ მართლა ხანძარია...
 - ართეემ!!!
 - ტ შე ჩემა!
 - რა ტ?
 - აუ რამხელა ბოლი წამოვიდა მართლა!!
 - აი ვილაც მოდის! მგონი არტემ ბიძიაა!
 - რა უჭირავს, ე?
 - მგონი კნუტია თუ ლეკვი... არა, მოიცა..

– აუ, რა ბოლია მართლა!

– არა, რა ლეკვი? ბოთლია ეგ... კონიაკის. მაგას როგორ დატოვებდა?! თქვენც რამე ხომ არ დაგრჩათ შიგნით?!
– ჩვენი ხელსაწყოები და პალიტრები აგერაა, რიტა!

– ჩანთები ჩვენ გვაქვს! მეც, სალი-საც! ფუნჯებიც!

– არტემ! ცოცხალი ხარ, შე უბედურო? ასეთს რა სვამ მაინც, ისევ უკან რომ შევარდი?

– ვინ ვარ?! სად ვარ?! რატომ ვარ?!
– აუჰ, ამას სულ გაუფრენია!..
– ანრი, სასწრაფო გამოიძახე დროზე!

– რატომ შებრუნდი იმ კვამლში, არტემ?! რა გისხია ეგეთი მანდ?

– აუ, იმ ჩოილარ მეხანძრეებს შეხედე!.. მეორედ მოვიდნენ!

– სასწრაფოდ ეს კაცი გაიყოლეთ! თქვენი მისახედია, ძმებო!

– მოიცა, ძმაო-ჯან, ჯერ ცეცხლი ჩავაქროთ აქეთა მხრიდან... იქითა მხრიდან უკვე ვიმუშავეთ! ქალბატონო ნატურა, აი, ჩემი სახანძრო შინელი. მოიხურეთ, არ გაცივდეთ!

– თქვენ ორმა გაიხედეთ იქით! არ შემჭამეს თვალებით?!
– ჩაქრა, მგონი, უკვე ეგ თავისით... ისე კი მაგარი ბოლი იდგა, ჩემო ძმებო!

– ვინ ვარ? სად ვარ? რატომ?.. გიტოვებთ ესე იგი... ანდერძს!

– აუ, ეს მართლა გაგიჟდა, მგონი...
– კი არ მახსოვს ვინ ვარ? სად ვარ და რატომ, მაგრამ ეგ უფრო მიადვილებს დასატოვებელ სათქმელს... აღარაა ჩარჩო და შეზღუდულობა, ყველაფერი ნათელია!.. ჩაინერე!

– კალამი არ მაქვს!

– დაიმახსოვრე მაშინ!

– რა ჩარჩო? რომელი შეზღუდულობა, არტემ? მართლა სუ გააფრინე?!
– პასუხისმგებელ საზოგადოებაში, რიტა!

– გაუძელი, არტემ-ძია!

– მიიყვანეთ არტემ ბიძია, ბატონო მეხანძრეებო, ეგერ ას მეტრშია საავადმყოფო! პარაზიტოლოგიის გვერდზეა ზუსტად!

– არის!

– კარამდე მიიყვანეთ და მთავარ ექთანს ჩააბარეთ, გაიგეთ?! იცნობენ ისინი

ამას!

– შევასრულებთ! მიე გაზი! ჩართე სირენა!

– პიუ-უაუ! პიუ-უაუ!



– მართლა აღარაა ბოლი. შევედით უკან, ბავშვებო! ჩასაცმელი ვარ! რას ვგავარ ასე შიშველი! ახალგაზრდა მაინც ვიყო!

– აუ, ხო, რიტა! როგორ გამოგვაქცია იმ კრეტინმა ალკაგოლიკმა!

– ეტყობოდა მაგას ადრევე, ეგრე რო დაამთავრებდა! სულ სმა, სპირტი და ტრალი-ვალი! ყოველდღე გაუთავებლად პური, მაიონეზი, ხახვი, ნიორი, ლელვის მურაბის წყალში გაზავებული წვენი და რალაც უდონო არაყი! უკვე პაჟარნი მანქანით დაჰყავთ საავადმყოფოში... ნობელს მაგაში მაინც არავინ მიცემს!

– ანუხებდა რამე?

– ჯიგარი და ნამუსი ანუხებდა მაგ იდიოტს მაგას მთელი ცხოვრება!

– მოიცა, კი მაგრამ... შენ საიდან იცი არტემზე მაგდენი, რიტა?

– ვახ!.. ჰეეე..

– არა, მაინც საიდან??

– ყველაფერი უნდა მათქმევინოთ?!

– ეგ როგორ?.. შენ და არტემი რა?..

– რა რა?! უარესებიც, ხუჭუჭ! მოვრჩით დღეს?

– მაინც „ნაძვებში“ წავიდეთ ყველა, რიტა!.. გავნიავდეთ. მაგარი სტრესი იყო! თან ხანძარიო! მერე არტემი და ის მეხანძრეები...

– კაი! ხო! აღარ გააგრძელო! აქ არ ვიყავი?! მეც იგივე დავინახე!.. ისე, მე კი მომშივდა ამასობაში, ბიჭებო და გოგოებო!

– აუ, მეც!

– მეც!

– წავსულვართ აბა! შუქი არ დაგრჩეთ! საწყალი არტემი...

– იქ არ ჭირდება რამე? მიხედვა... საჭმელი, ვაშლი, წყალი...

– პირველად კი არაა ეგრე! სულ ეგერეა... თვეში ერთხელ ეგრეა! გადასხმები, რინგერები, ბე-ორი ვიტამინი, ცე-ვიტამინი თავისთავად, ქლორი, დიაზეპამები და ბრუნდება უკან მერე ანგელოზივით!

– შემდეგი ხატვა როდის გვექნება,

რიტა?

- არტემი როცა გამოვია!
- რატომ, ე?
- უნდა გამოვიჯახუნოთ კარი! ისე, მოიპარავენ ყველაფერს! სტუდიის გასაღები კიდეც იმ კრეტიზატონს აქვს!
- დუბლიკატი?
- დუბლიკატი, აგერ ირას მოკითხეთ... ვათხოვე ამასწინათ და მიმიტესა...
- აუ, კაი რა, რიტა! ვიპოვი... სადღაც დავდე და ვერ ვიხსენებ...
- შენ რაღად გინდოდა გასაღები, ირუშ?
- სახატავად, ანრი! შენ რა იფიქრე?
- წავედით აბა!.. და მორჩით ამ ძალღი-კატაობას!

●

- მე მინდა, ამ ჭიქით გაჭირვებულებისა ვთქვა, ბავშვებო! ბაბუაჩემისგან მახსოვს: ყველა ჭირი ბაბუის ნაჭამი ალიბუხრიდანააო!
- რომელი ბუხრიდან?
- ქლიავიდან რა!
- ქლიავი თავი გაბია, ალიბუხარი არი ალიბუხარი!
- ძია არტემს გაუ!..
- კარგად იყოს! ოღონდ სტუდიის გასაღები არ მიათესოს სადმე! მეოთხედ შევცვალე უკვე საკეტი! მოვსპობ მაგ უბედურს! ირა, ღორის მწვადი მომანოდე! აი, გაიხარე!
- ჯიბეებს ხომ არ დავუჩხრეკდით ამხელა კაცს?
- იქ გახდიან ექიმები და იმეღია, არაფერი დაიკარგება!
- ვეუბნებოდი თავის დროზე, არტემ, ბარემ მომიყვანე ცოლად! არაფრით არ ქნა!
- აუფ!.. რა კაი ვიდზე წინმატია! გამოუშვი აქეთ!
- ბომბა წყვილი ვიქნებოდით! ცოლი ნატურა, ქმარი - ნატურშიკი! ეგრევე ტელევიზორში, რამე... პაეზდკები!.. მაცნე, ვესტნიკი, გლობუსი ჩვენზე ილაპარაკებდა...
- არაო?
- არაო! არაო, კი არა - მე ერთადერთი უნდა ვიყო შენს ცხოვრებაშიო!!
- როგორ?..
- რამე შეგამჩნიათ თუ უბრალოდ,

ეჭვიანობდა?

- შემამჩნია კი არა...
- აბა?
- თუთიყუში მყავდა. ცოცხალი!.. კოტორა! ისეთი იყო, ისეთი, სუყველა ხმაზე შეეძლო ლაპარაკი!.. კაცი-ქალი-ბავშვი-მოხუცი-ფირმა!
- ვგიჟდები თუთიყუშებზე!
- ჰოდა, ერთხელ მე და არტემს ერთი ამბავი გვაქვს ატენილი სპარსულ ნოხზე და დაიმახსოვრა ეს ჩვენი ის ხმები იმ დამძალმა...
- ვაიმე! ვინა?
- თუთიყუშმა - ვინა! ჩემმა კოტორამ! ერთად დაგვინახავდა თუ არა - ეგრევე ჩართავდა ხოლმე იმ ჩვენ ხმებს... თან ერთი-ერთზე...
- სალოლ, თუთიყუში! გამოუჭერიხართ!
- თავი გერმანულ პორნოში გვეგონა, შვილებო!..
- აბა, რა იქნებოდა?
- გაიქცა არტემი! ვერ გაუძლო!
- მაგდენს ვინ გაუძლებდა, რიტა? ჰა-ჰა!
- ჰოდა, ხომ ვერ გაუძლო? ეგდოს ახლა დასპირტული საავადმყოფოში და იკეთოს გადასხმები! რა გამოვიდა ან იმის, ან ჩემი ცხოვრება იმ გაქცევით?
- კარგი რა, რიტა!
- თქვენ შორის რამოდენა სიყვარულის სამკუთხედი ყოფილა, რიტა! .
- თუთიყუშის გამო დამადო მაგ ეგონისტმა. აზრზე ხარ?!
- ყველა ხომ ვერ გაუძლებდა...
- მოიცა, შენ რო გადაგეგდა ნაბიჯი და შელეოდი მაგ ჩიტს, ვერა, რიტა? არ გამოვიდოდა?
- რა ჩიტს შევლეოდი, შვილო? ზოოპარკში ჩამებარებინა?!
- გაგეშვა გარეთ ფანჯრიდან! მარტო არტემს რომ აბრალებ...
- ან აგეკრა ნისკარტი იმითი... რა ქვია?
- იზოლენტა!
- ჰა-ჰა!
- მოკვდებოდა გარეთ, შვილო! ვინმე ყვავი შეჭამდა ან სვავი....
- რა უნდა სვავს ნახალოვკაში...
- ეჰ! რა ვიცი... ხანდახან ვფიქრობ, რომ იქნებ მეც ვცდები, შვილებო!.. არ

ვიცი, არ ვიცი!.. თუ ეგრეა და – ბარემ გავუვლი აქედან... კი არ იმსახურებს, მაგრამ მაინც... წაფულე რამეებს... ასე ხომ არ დავტოვებთ?.. არაფერს არ ჭამთ! მარტო დაღვევა! აგერ ის ქათმის ხორცი და მწვანელიც მომეცი. მოუხდება ვიტამინები. ვინიგრეტის სალათას ვერ წავიღებ... ამხელა თევშს ვინ გამატანს?.. მარტო მშრალი პაიოკი! ბოლოკი. მუჟავე კიტრიც წავა! ხაშლამის ნაჭრებიც იყოს! პამიდორი, აბა, რა! ხაჭაპურიც ხომ დარჩა? ეს რა დასატოვებელია? ბულიონში ჩაუფუფუნე. შოთის პურიც კაია!

– ამდენს როგორ წაიღებ, რიტა?

– სულ კი არ დავუტოვებ!.. ჩემ თუთიყუშსაც ხომ უნდა?

– მოიცა, კიდევე გყავს?

– ეჰ... თუთიყუშები ყვავებოვით კი არ არიან, შვილო?! მყავს, ოღონდ ფიტულის სახით! ზოომალაზიაში გამიკეთეს. მოკვდა და რეალური კოტორასგან ამიწყეს. პიანინოზე მიდეგს. წინ ვულაგებ ხოლმე საკურთხევით რამეებს... წინ დავუწყობ იმასაც, რასაც არტემი შემარჩენს... მის სახელზე წავიცვიცქნი ხოლმე და მიუვა! ეგრე ვიცი, მე!

– ბარემ ეს ბოთლიც გაიყოლე...

– ბოთლი არ დამანახო! კიდევე ბოთლი უნდა იმ მართლა გამობოთლებულს?

– მოდი, რიტას გაუმარჯოს!

– ვაა! აბა, რაა!

– აუცილებლააად! რიტა დეიდა, გვიყვარხარ მეც და უკვე სალისაც... სალი ახალია, მაგრამ ხომ ეტყობა, რომ ჩვენთანია?

– რამხელა ხარ, შვილი?

– ოცის!

– შენხელა შვილი გვეყოლებოდა, რომ დაეჯერებინა მაგ იდიოტს, მაგას!

– აღარ გინდა რა არტემი, რიტა! აღარ გვანტერესებს, შენი ვინ იყო!

– და თუთიყუშების ცოცხალი და მკვდარი დედაც!

– ა, ეხლა, ანრი!!

– მორჩა რა, რიტა, ეგ თქვენი კინო!

– მორჩა კი არა, ასე გრძელდება... სევდიანად და ერთნაირად!



– გამარჯობა არტემ-ჯან!

– გაგიმარჯოს – რიტა!

– როგორა ხარ – არტემ-ჯან?

– ისევე ისე, რიტა!

– ეგ რას ნიშნავს, არტემ-ჯან!

– ვკვდები მგონი, რიტა!

– ხომ გითხარი, არტემ-ჯან?!

– რა მითხარი, რიტა?

– თავს იკლავ-თქო, არტემ-ჯან!

– მართალი ხარ, რიტა!

– მკვდარი ვილას სჭირდება?!

– ეგ არა თქვა, რიტა!

– ისევე ფილოსოფოსობ?

– რა უჭირს რო, რიტა?

– ეგ შენ გიჭირს, არტემ-ჯან!

– ეს ხორცია, რიტა!

– ხორცი შენი არ არი?

– დროებითად, რიტა!

– მერე საით, არტემ-ჯან?

– იქით წავალ, რიტა!

– იქით ვინ უნდა დაგხვდეს?

– სულ ჩვენები, რიტა!

– ნეტა არა ბოდავდე!

– ეს მე ვბოდავ, რიტა?

– საჭმელი მოგიტანე!

– გაიხარე, რიტა!

– დღეს ვინც ტიტველს მხატავდა...

– სტუდენტები, რიტა!

– ეს იმათი გრევია!

– იდღეგრძელონ, რიტა!

– ყველაფერს შუაზე ვყოფ!

– შენც ავად ხარ, რიტა?

– ისევე თუთიყუში მყავს!

– არ ეშვები, რიტა?

– აბა, მარტო დავბერდე?

– რატომ მარტო, რიტა?

– ნეტა ვისა მთავზობ?

– აგერ არ ვარ, რიტა?

– რატომ მიგდებ აბუჩად?

– მართლა ვამბობ, რიტა!

– აბა, მე დამიფიცე!

– შენ თავს ვფიცავ, რიტა!

– რაღაც ვერაფერსა ვგრძნობ!

– ერთი „ოღონდ“, რიტა!

– თუთიყუშს არ განვაგდებ!

– რატომ? რატომ? რიტა!

– ისიც სულიერია!

– ფიტულია, რიტა!

– მე კოტორას არ გავცვლი!

– რა გული გაქვს, რიტა!

– დიახ, დიდი გული მაქვს!

– უსასრულო, რიტა!

ელჩინ აფანდიევი

ბალადადების საქორწინო აბანო¹

ექვნიება ფოლად მაჯუნბეკოვის ხსოვნას



შემოდგომის იმ დღეს აფშერონში უეცრად ისეთი ხაზრი² ატყდა, ისეთი, მეტი რომ არ შეიძლებოდა. ზღვაზე

ტალღების აქაფქაფებით ისეთგვარად გამაღდა, გეგონება, არასოდეს ჩან-ყნარდებოდა, სულ ასე იქროლებოდა: სანაპიროსთან ახლოს, ხაზრის გამოისობით, ზღვა მდინარესავით მიედინებოდა და კაცს ეჩვენებოდა, თითქოს ზღვის ზედაპირზე ქაფქაფა ტალღები კი არა, ქვეყნის უთვალავ-უანგარიშო თოლიები მოფენილიყვნენ; ხაზრის აფშერონის ბაღების ხეხილის შეყვითლებული ტოტები აყვალყვებინა და ის ტოტები ამ წუთას ფაკირის წინაშე აზებულ და მოცეკვავე გველებს ჩამოჰგავდნენ. ქარი ზეითუნის ხის ფოთლებს ერთ ალაგას ხვეტდა და პატარა ქარბორბალასავით ატრიალებდა, მოთეთრო-მორუხო ღრუბლებს სამხრეთისკენ მიერეკებოდა და, ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ამ სირუხეში მოთეთრო-მორუხო ღრუბლები ზღვაზე, სანაპიროზე, ჩრდილების ცემა-გასმით მიწონილებდნენ, თუმცა, სალამოსპირზე ხაზრი შენეულდა, რამაც ჩაიჩი³ გაზანფარს გუნება ნელ-ნელა გამოუკეთა, რადგან,

1. საქორწინო აბანო ან ნეფის აბანო – აზერბაიჯანში ტრადიციული საქორწინო რიტუალი, რა დროსაც ნეფე თავის მეგობრებთან ერთად აბანოში მიდიოდა.
2. ხაზრი ან ბაქოს ჩრდილოური ქარი – აფშერონის ნახევარკუნძულისა და მისი შემოგარენისთვის დამახასიათებელი ჩრდილოეთის ქარი.
3. ჩაიჩი – იგივე მეჩაიე (არა ჩაის მკრეფავი), ჩაიხანაში ჩაის მომამზადებელი. ფორმას „ჩაიჩი“, რომელიც აზერბაიჯანულის, იგივე „CaiCi“-ა, იყენებს კონსტანტინე გამსახურდია ნოველაში „ქალის რძე“. ამიტომ ჩვენც ასევე ვტოვებთ.

რაც უფრო მეტად წყნარდებოდა ქარი, მით უფრო მეტად მატულობდნენ კლიენტებიც, ხოლო ამ ტემპით მალე ამ პატარა ჩაიხანაში დასაჯდომი სკამი სულაც სანთლით საძებარი გახდებოდა, ხოლო გაზანფარი ჩაის ჩაიზე დააყენებდა, ცალ-ცალი ხელით ერთმანეთზე დაწყობილ, ათ-ათ წელში გამოყვანილ ჭიქას ჩამოატარებდა და აი, მაშინ, ჩაიჩი გაზანფარის გუნებაზე ზედმეტი ვერავის წამოსცდებოდა; ყველა თვალდათვალ დაინახავდა, თუ როგორი ჩაიჩია გაზანფარი სინამდვილეში, რომ თითო ხელში ათ-ათი მსხალა ჭიქით⁴ ტყუილად არ გადაუღიათ მისთვის ფოტო და გაზეთში ტყუილუბრალოდ არ დაუბეჭდავთ. ჰოდა, სწორედ მაშინ, სპილენძის ყვითელსამოვარშემოდგმული ძველი სამუშაო მაგიდის უჯრაში მანეთიანების რიცხვიც იმრავლებდა, მანეთიანები წავიდოდნენ და სამმანეთიანები მოვიდოდნენ, სამმანეთიანები წავიდოდნენ და ხუთმანეთიანები მოვიდოდნენ და ყოველი ასეთი მიმოცვლის შემდეგ ჩაიჩი გაზანფარი გულში მთელი სასოებით დააყოლებდა: „ღმერთმა ბარაქა არ მოგვაკლოს“-ო.

ეს ძველი საწერი მაგიდა სოფლის საბჭოს მდივან სულრას სამმართველოს ბალანსიდან ჩამოეწერა, რის შემდეგაც ჩაიჩი გაზანფარს თავისივე ხელით შეეკეთებინა და ჩაიხანაში სამოვრის შემოსადგამ მაგიდად ექცია, რომლის უჯრაშიც ჩაფენილ ძველ გაზეთს კვირაში ერთხელ ახლით ცვლიდა და ყოველი ასეთი შეცვლისას გაზეთის ქვეშ ჩაცურებული სამშაურიანის ან აბაზიანის მიკვლევა კაცს სულ სხვაგვარ ნეტარებას განაცდევინებდა ხოლმე და წინათ სოფლის საბჭოს მდივან სულრას სამსახურში მდგარი ამ მაგიდის ბარაქიანობას კიდევ ერთხელ დააბეჯითებინებდა.

ჩაიხანა ნელ-ნელა ხალხით ივსებოდა, ხოლო ქარი თანდათანობით იკლებდა, მაგრამ შორს, ახალწამობნელე ბულზე, ტალღების თეთრი ქაფი მაინც

ილანდებოდა.

– შემოგველე, ძიაკაცო, ერთი ჩაი კიდევ მომიტანე, რა! – ეს ჩაიხანის კუთხეში მიმჯდარმა ამირყულიმ თქვა.

ჩაიჩი გაზანფარმა ამირყულისკენ გაიხედა და გულში გაიფიქრა – „ვაი ხეირანსასავით წესიერი ქალის საცოდაობას, ამ დეგენერატს ქმარს რომ ეძახის“-ო, – შემდეგ კი ამრეზით ჰკითხა:

– ბიჭო, შენ არ იყავი, ბუზოვნაში სუფრაზე ვარ მიპატიჟებულიო, რომ იძახდი?

დღემუდამ ალკოჰოლისგან ჩაიჩი გაზანფარის სამოვარზე ფერის დასაყენებლად შემოდგმული, დაბალ ცეცხლზე წამოდულებული ჩაიდნებივით ჩაყუჟუნებული ამირყული კი ასე გამოეპასუხა:

– აბა, რა, მაგრამ განზრახ ვაგვიანებ, რომ იცოდე!.. რო აგვიანებ, საჯარიმოს გასმევენ რა, ერთ ჭიქა არაყს ჩამოგისხამენ და დაგიდგამენ წინ. შენც გადაჰკრავ და ნეტარებ შენთვის! აბა, გაფიცებ ერთი, როგორი ბიჭია ამირყული, ჰა?

„ნაცარი კი დავაყარე ამირყულის თავზე!“ – გაიფიქრა ჩაიჩი გაზანფარმა, ერთი ჭიქა ჩაი კი მაინც ჩამოუსხა და წინ დაუდგა. ამირყული რომ ბაქებუქობდა და არასადაც არ იყო დაპატიჟებული, დიდი-დიდი ღვინის დუქანში ნისიად ერთ ჭიქა შაქრიანი ღვინო ჩაეცეცხლა, ეს ჩაიჩი გაზანფარმა ხუთი თითივით იცოდა, მაგრამ ამირყული ვინც არ უნდა ყოფილიყო, კლიენტი გახლდათ მაინც, ხოლო კლიენტების მომსახურება გაზანფარის მოვალეობა იყო.

ამ დროს ალაქბარი და ვერცხლა მალიქი გამოჩნდნენ და ბალადადამის საქორნილო თავგადასავალიც პრინციპში აქედან დაიწყო.

ვერცხლა მალიქმა დაიძახა:

– ეი, გაზანფარ, სპილოიანი ჩაი მოგვიდუდე ერთი.

სპილოიანი ჩაი, ესე იგი ზედ კოლოფზე სპილო რომ ახატია ის, ანუ ინ-

4. მსხალა ჭიქა – იგივე წელში გამოყვანილი ჭიქა, რომელსაც აზერბაიჯანელები „არმუდეუ ისთაქანს“ უწოდებენ. აზერბაიჯანულად „არმუდე“ ნიშნავს მსხალს.

დური ჩაიო.

– ახლავე, ძამიკო! – ჩაიჩი გაზანფარის საწერ მაგიდას სწრაფად მიუახლოვდა, უფროათაგან ერთ-ერთი გამოსწია და განსაკუთრებული კლიენტებისთვის გადანახული ინდური ჩაის ქილა ამოიღო.

ვერცხლა მალიქი და ალაქბარი, ეტყობა, სადღაც გემოზე მიძლომოდნენ მწვადს და არაყიც ჩაერთყათ, რადგან ჩაიხანაში ფეხი შემოადგეს თუ არა, ნახშირის, ჩაის, ლიმონის, სამი დღის წინ მუქ-ყავისფრად შეღებილი კარების სუნს სპირტის სუნიც შეერია. მართალია, სპირტის სუნი ამირყულისაც უდიოდა, მაგრამ ალაქბარსა და ვერცხლა მალიქისაგან ადენილი სპირტის ოხშივარი სულ სხვა რამ იყო – მას ცხიმინი მწვადების სურნელებაც ერთვოდა თან. ჩაიჩი გაზანფარს მთვრალი კლიენტები გულზე მაინცდამაინც არ ეხატებოდა, მაგრამ ამჯერად ამ საპატივისცემო ხალხის მისამართით უკმაყოფილოდ არაფერი ჩაუბურტყუნებია, ყოველ შემთხვევაში, სახეზე არაფერი დასტყობია და ფერის გულუხვად ჩაყრის გამო მალევე დაყენებული ინდური ჩაი, დაჭრილ ლიმონთან ერთად, ალაქბარსა და ვერცხლა მალიქს დაუწყო წინ და თან სასხვათაშორისოდ მოიკითხა:

– აბა, როგორ ხართ?

ვერცხლა მალიქი თავის მუცელს დუშმანის თვალის დამავსებელს ეძახდა, ე.ი. დაე შურიანებმა, ბოლმიანებმა შემომხედონ და გულზე გასკდნენ, ასეთი მუცელი რომ დამაქვსო. ამჯერადაც, თავისი ღიპი წინ მოეზნიქა, ნეილონის წითელი პერანგის საყელო შეეხსნა და, ოფლში გახვითქული, შაირს ამბობდა:

„ლამით წაველ ლოქბათანში,

გოგო ყიდდა კევს ბაზარში,

კვითხე, კევი რა ღირს-მეთქი?

თქვა, – მო ჩემთან ღამით, გეტყვი...“

და ჩაიჩი გაზანფარის კითხვა რომ მოესმა, მაგიდაზე ცხელ ჩაიდანს ხელი დაავლო, ჩაიჩი გაზანფარს ზედ ცხვირთან მიუტანა და დემონსტრაციულად ჰკითხა:

– აი, გაზანფარ, აი, ეს სპილოიანი

ჩაი, შენ რომ დააყენე ჩვენთვის, მითხარი ახლა, როგორია ეს სპილოიანი ჩაი?

ჩაიჩი გაზანფარმა, ნება-უნებურად, ლამის ზედ ცხვირზე მიბჯენილ ჩაიდანს დახედა და ამოთქვა:

– ანტიკა რამეა!

ვერცხლა მალიქმა უთხრა:

– ჰოდა, გაიხარა მამაშენის სულმა!

– ჩვენც ასე ვართ. ანტიკა ხასიათზე ვართ! უმაგრესად ვართ! შენს გულს რომ გაუხარდება, სწორედ ისე ვართ!

ჩაიჩი გაზანფარმა ჩაილაპარაკა: – ღმერთმა ბოლომდე სულ ასე გამყოფოთ! – და თავის საწერ მაგიდას მიამურა.

ფულიანი მუშტრები ინსტინქტურად კი უყვარდა ჩაიჩი გაზანფარს, მაგრამ ნასვამ კაცთან ლაპარაკს ვერ იტანდა და განსაკუთრებით ვერცხლა მალიქისნაირებს გაურბოდა, რადგან მამაცხონებული ვერცხლა მალიქი როცა სვამდა და კარგ გუნებაზე იყო, ხასიათში რაც კი რამ სიმყრალე გააჩნდა, გარეთ ანთხევდა, რომ იტყვიან – „შესხნიდა ხურჯინს, აპნევდა ფუთ ბრინჯს“; რომ არ სვამდა, კიდეც ასატანი იყო, უფროს-უმცროსობა არ ემღებოდა, თეთრსა და შავს არჩევდა, თუმცა სოფლის მოსახლეობას ვერცხლა მალიქის ვირემშაკობანიც კარგად მოეხსენებოდა.

ვერცხლა მალიქმა თავისი მაგრად ყოფნა განგებ დაიძახა ხმამაღლა, რადგან მერე რა, რომ აფშერონშია, მერე რა, რომ მშობლიურ სოფელშია, ბევრი დასახავად მაინც ვერ იტანს, ჰოდა, ნახონ, რომ უწინდელზეც მაგრადაა ვერცხლა მალიქი, უწინდელზეც მყარადაა.

ვერცხლა მალიქს ჩაიჩი გაზანფარის ჩაიხანისგან ოდნავ ქვემოთ, ზედ ზღვის ნაპირას, სამწვადე ჰქონდა გახსნილი, სახელწოდებით – „მიხაკი“. ოფიციალური დოკუმენტებით, „მიხაკი“ ჩაიხანა იყო, მაგრამ ვერცხლა მალიქს ის მთელ აფშერონში განთქმულ სამწვადედ გადაექცია, თუმცა ზოგ-ზოგიერთებმა ვერ მოუთმინეს, ბაქოს მიწერეს, რომ „მიხაკი“ სინამდვილეში სახელმწიფო ჩაიხანა კი არა, ვერცხლა მალიქის პირადი სამწვადეა. იმდენი წე-

რეს, რომ ბოლოს ზემოთაც ველარ აუვიდნენ, ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს სოფელში ხმა გავარდა, ვერცხლა მალიქის სამწვადე დაკეტესო; მართლაც, ბულდოზერი მიაყენეს და სულ მიწასთან მოასწორეს იქაურობა, თუმცა სოფელში მალევე ხმა დაირხა, ვერცხლა მალიქმა ამჯერად თვით ბაქოში, ზედ სასაფლაოსთან, ახალი სამწვადე გახსნაო, რომელსაც „ალვიდა“⁵ დაარქვა. ნახეს რა საქმის ამგვარი შემოტრიალება, აწი ვერცხლა მალიქზე ცუდი არავის დაუწერია, რადგან შეშინდნენ, ვაითუ „ალვიდაც“ დავახურინოთ და ვერცხლა მალიქი ამჯერად „ინტურისტის“ დირექტორად წასწიონ, წერა-წერით მისი საქმეების გაჩარხვას, საერთოდ არ ვწეროთ ის გვიჯობსო. ყოველ შემთხვევაში, თავად ვერცხლა მალიქი ნაცნობ-მეგობრებთან ასე ლაზღანდარობდა ხოლმე. ვერცხლა მალიქი სოფელში ერთ კაცზე ეჭვობდა და ეს ბიბლიოთეკარი ნაჯაფი იყო და კიდევ შეიძლებოდა ბუზოვის „ხილ-ბოსტნეულის“ მაღაზიის დირექტორს, წერსეს ვართანოვიჩს დაეწერა. მოკლედ, დაე, სოფლის ჯამაათმა საკუთარი თვალეზით იხილოს, რომ ვერცხლა მალიქი მაგრადაა, ალაქბარიც მაგრადაა და უწინდელზეც უკეთესად არიან.

ვერცხლა მალიქი წელში მსხალა ქიქით მუქ-წითელ ჩაის ხვრეპდა და თან ცხვირში წელანდელ, ლოქბათანურ თავგადასავლებზე გამოთქმულ შაირს დუდლუნებდა. ალაქბარიც ყურს უგდებდა და თან თავსაც აყოლებდა, რითაც ანიშნებდა, რომ მაგარი ხარ მალიქ, დუნიანზე შენაირი მეორე არ დაიარებაო. ალაქბარი ქიქას თავისი წვრილი, ნაზი თითებით მიეჭანა და, წესისა და რიგის დაცვით, ვერცხლა მალიქზე გაცილებით კულტურულად დაუწყო ჩაის სმა. ვერცხლა მალიქი რაც უფრო ძვალმსხვილი, ფერ-ხორციანი, უსწორ-მასწორი იყო, ალაქბარი მით უფრო ძვალწვრილი და აწონილი გახლდათ. მკლავები და მკერდი უბალნო ჰქონდა, თავი კი გამე-

ლოტებოდა. ეგ იყო, რომ მარტო ღიბი ამობურცვოდა, რასაც ვერცხლა მალიქს უმადლოდა, ესე იგი მასთან ერთად ხშირი ჭამა-სმის შედეგი იყო.

ერთხელ შვიდი ქვისლი გაუდგა გზასა. შვიდი დღე-ღამე იარეს, იარეს და, როცა დანიშნულების ადგილას ჩავიდნენ, შვიდივემ დაიჩვილა: „გზად ერთი კაციც არ შემოგვხვდა რომ გვემუსაიფაო“. ვერცხლა მალიქი და ალაქბარი აგერ კაი ოცი წლის ქვისლები იყვნენ, მაგრამ იმ შვიდი ქვისლისა არაფერი ეცხოთ. ყოველთვის ერთად ქეიფობდნენ, ერთად დადიოდნენ თბილისში, კისლოვოდსკში, ოდესაში; ცოლებსაც ერთად ღალატობდნენ, ყოველ შემთხვევაში, ამ უკანსკენელზე მაკლერ ზუბეიდადან მოყოლებული, მეზალე ასადულამდე, ყველა ჭორაობდა და ამის ცოდო-მადლიც მაგათ კისერზე იყოს.

ყველაფერ ამისდა მიუხედავად, ვერცხლა მალიქი და ალაქბარი სრულიად გასხვავებული ადამიანები იყვნენ. ვერცხლა მალიქი რამდენადაც ფიცხი და ფეთქებადი იყო, ალაქბარი – იმდენად მშვიდი და დინჯი; ვერცხლა მალიქს ენაზე რაც ადგა, იმას ლაპარაკობდა და თან პირში ეუბნებოდა ყველას ყველაფერს, ალაქბარი თავის სიცოცხლეში პირში არავის არაფერს ეტყოდა და ა.შ. და ა.შ. მოკლედ, ეს ორი ქვისლი შემოდგომის ერთ საღამო ხანს ჩაიჩი გაზანფარის ჩაიხანაში იჯდა და ინდურ ჩაის სვამდა.

ჩაიხანა კი ნელ-ნელა ხალხით ივსებოდა.

ამირყული გვერდიდან ვერცხლა მალიქს უყურებდა და თან ფიქრობდა, რომ გამხდარ კაცს ხალხის თვალში წონა არა აქვსო, მაშინ, როცა მსუქანს ყველა პატივით ეპყრობაო, როგორც რომ თავად ამირყულის გრამი პატივისცემა არ გააჩნდა, მაგრამ საქმე ისაა, გინდ ვერცხლა მალიქით სახლში მხოლოდ ვერცხლის ჯამ-ჭურჭელი მოიხმარე, აქაოდა, კუჭ-ნაწლავზე კარგად მოქმედებსო და ჯამაათმაც

5. ალვიდა – მშვიდობით (აზერბ.)

ამის გამო ვერცხლა მალიქი შეგარქვას, გინდ ამირყულივით ჯიბეში გახვრეტილი გროშიც არ გეგდოს, ხოლო ხელში რაც მოგხვდება, ისიც შაქრიან ღვინოში ხარჯო, მაინც სულერთია, ეს დუნია ისეთი რამაა, არც ვერცხლა მალიქს რომ არ შერჩება საბოლოოდ და, არც ამირყულის.

ამირყულის შუადღისით გადაყლურწული ორი ჭიქა შაქრიანი ღვინისგან მოგვრილი ზემოქმედება ნელ-ნელა ეცლებოდა და ამიტომაც იყო, ცხოვრებაზე ერთობ პესიმისტური აზრები რომ მოსძალგოდა.

ამ დროს ჩაიხანაში ბალადადაშიც შემოვიდა.

რა თქმა უნდა, ამირყული ამ წუთას სოფლის სიმუხტელეზე ფიქრით რომ იყო დაკავებული, ბალადადაში არ უწყოდა, ამიტომაც შარვლის უკანა მხარის ფერთხვა-ფერთხვით, ჩაიხანაში მსხდომებთან სალამ-ქალამით ზუსტად ამირყულის მოპირდაპირედ ჩამოჯდა, მაგრამ აქ ყველაზე უცნაური ის იყო, რომ თავად ბალადადაშიც ქვეყნიერების ზნეზე, ადამიანებზე ფიქრით იყო გართული.

ბალადადაშს ეს-ეს იყო ბაქოდან სოფლის ზემოთა მხარეს მშენებარე სანატორიუმისთვის ქვა ჩამოეტანა და მანქანით ბინეში მდებარე აეროდრომთან ჩამოვლისას ამფრენი და დამფრენი თვითმფრინავებისთვის, აფშერონის გზებზე მოძრავი ავტომობილებისთვის რომ შეეგლო თვალი, გაეფიქრა: „შეხე ქვეყანაზე ამ წუთას რამდენი ადამიანი არ არის თავის ადგილას, ანუ ეს ხალხი სადაც უნდა იყოს, იქ არ არის, ჩქარობენ, ხან აქეთ გაქანდებიან, ხან იქითო“. ცხადია, რომ ბალადადაშს საფრენ ბილიკებზე დაშვებული და აფრენილი თვითმფრინავები მრავალჯერ ენახა, მთელი თავისი ცხოვრება მანქანებს შორის გაეტარებინა (მამამისი ალაბა-ბაც მძღოლი იყო), მაგრამ ახლა ამ ყველაფერს სულ სხვა თვალებით შეხედაო თითქოს და თვითონაც ვერ გაიგო, თუ რატომ შეხედა ასე.

ბალადადაშმა „აეროდრომის“ ქუდი

ცერა თითით უკნიდან ზემოთკენ ააცურა და თავი მოიფხანა.

ერთი წლის წინ თავად ბალადადაშსაც არ ეყოვნებოდა, თვითონაც აქეთ ეშურებოდა – აფშერონის აი, ამ სანაპიროსკენ, თავის სოფელში მოუწევდა გული. თვალებს დახუჭავდა და საკუთარ თავს აფშერონის გზებზე მანქანის ტარებისას წარმოიდგენდა, კასპის ზღვის მლაშე გემოს სასაზე შეიგრძნობდა. მაშინ ბალადადაში ამურის მხარეში ჯარს იხდიდა და ამ ორწლიანი ჯარისა და კიდევ სამთვიანი სამძლოლო კურსების ერთ დღესაც არ ჩაუვლია ისე, ბალადადაშს სიზმარში ამ ზღვაში რომ არ ებანაოს, ფიქრებში სანაპიროს ქვიშნარზე ფეხშველას არ ესეირნოს, ამურის ზამთრის მამალ ყინვაში აფშერონის სანაპიროს მზისგან ცეცხლივით გახურებულ ქვიშაზე ფეხისგულეები არ ასწვოდეს; ამურის მსუსხავ სიცივეში, ყველაფრის თეთრ საბურველში გამხვევ იმ თოვლში ბალადადაში, თავის წარმოდგენებში, აფშერონის პაპანაქება სიციხეში, ყურძენს ჭამდა, ლელვს აგემოვნებდა, ბრონეულის კანს თითებით სრესდა, აბოშებდა და იქიდან წვენს წრუპავდა; ერთი დღეც არ ყოფილა მაშინ ბალადადაშს თავისი ექვსივე და: ნაილა, ფირუზა, ქამალა, ამალა, დილშადი, ბოიუქხანუმი სათითაოდ თვალწინ არ გაეცოცხლებინა, ახლა თავადაც ჯარში წასული ძმები – ალაგული და ნურბალა, მშობლები ალაბაბა და ალაბაჯი და ბარე მთელი სოფელი, თვით ეს ამირყულიც არ მოენატრებინა.

ამირყული ახლა ბალადადაშის მოპირდაპირედ იჯდა და ჩაის სვამდა, თუმცა აზრადაც არ მოსდიოდა, ბალადადაში ამურის მხარეში ჯარში ყოფნისას წარმოსახვით მასაც რომ სწვდებოდა და მასთან ასე პირისპირ ჯდომით ჩაის სმაზე რომ ეოცნებებოდა.

ერთი წელი იყო, რაც ბალადადაშს ჯარი მოეთავებინა და სოფელში დაბრუნებულიყო; ერთი წელი იყო, რაც ბალადადაში აფშერონის გზებზე ნომერ მესამე სამშენებლო სამმართველოს დიდ სატვირთო მანქანას მართავ-

და, თუმცა, მართლაც რომ უცნაური და გამოუცნობია საქმენი სოფლისანი, რადგან ბალადადამს ამჯერად ამურის მხარე, მისი თვალუნვდენელი სიფართოვე, სიდიდე წარმოუდგებოდა ხოლმე თვალნი და საკუთარ თავს აფშერონის სამკუთხა სივინროვეში ვეღარ ატევდა.

ბალადადამმა ჩაი მოყლუპა, ჭიქა ლამბაქზე დააბრუნა, „აეროდრომის“ ქუდი ცერა თითით უკნიდან ისევ ზემოთ ააცურა და თავი მოიფხანა.

– შენ, ეი, შვილი, აქეთ მოდექი, ერთი! – ეს, ბალადადამისკენ მომზირალმა ვერცხლა მალიქმა დაიძახა.

ბალადადამმა თავდაპირველად ყურებს არ დაუჯერა, შემდეგ კი სახე ჩაუშავდა, რაც ჩაიჩი გაზანფარმა მყისვე იგრძნო და – „ეშმაკმა დასწყევლოს, სალამო ხანს, კლიენტების მომრავლების დროს, ნეტა დავიდარაბა არ ატყდებოდეს აქო“, – ინატრა. მილიციელი საფარიც ამ დროს ჩაის დასალევად შემოივლიდა ხოლმე და, ბედად, ისიც არ ჩანდა.

ბალადადამი სოფელში დაფასებული ახალგაზრდა იყო და ჩაიჩი გაზანფარმა იცოდა, რომ ხალხში ბალადადამისადმი ასე მიმართვა, ასე ზემოდან ყურება არ შეიძლებოდა.

– რა იქენი, ბიჭო? შენ არ გეუბნები? – განაგრძო ვერცხლა მალიქმა.

– რა გინდა? – ბალადადამმა ძლივძლივობით ამოღერლა.

– მანქანა მწყობრში გყავს? – იკითხა ვერცხლა მალიქმა.

– მერე?

– მერე და, წადი, მანქანა გამოიყვანე, მიდი ჩემთან, ცოტა თევზეულია მანდ, აიღე და ბავშვებს წაუღე ბაქოში.

ვერცხლა მალიქის ქალიშვილს კონსერვატორია შარშან დაესრულებინა, პიანისტი იყო და ბაქოში ერთ კომპოზიტორზე გათხოვილიყო. ვერცხლა მალიქს სულ მუდამ თვალი ეჭირა მათზე, განსაკუთრებით კი შეთრობისას ახსენებოდა: ხან მიდიოდა და სიძის, ქალიშვილის პროფესორებს, კონკურსების ორგანიზატორებს, ჟიურის წევრებს მიაგნებდა, მთელი თავიანთი ნაცნობ-სამეგობროთი სამწვადეში წაიყვანდა,

ხან ცალ-ცალკე მოინახულებდა სახლებში და, რაც შეეძლო, პატივისცემას არ იშურებდა, ხან კიდევ, ვინ იცის, რას არ აკეთებდა. ვერცხლა მალიქმა ცალი მხარე დუნედ აინია, ხელი შარვლის ჯიბეში ჩაასრიალა, იქიდან ოცდახუთმანეთიანი ამოიღო და დააყოლა:

– სანაცვლოდ კი ამ ოცდახუთიანს აგაკრავ, ფეშქაშად, შუბლზე!

ჩაიჩი გაზანფარი ახლა სრულებით დარწმუნდა, რომ ამით საქმე საბოლოოდ გაფუჭდა.

ჩაიჩანაში მყოფები სულგანაბული ისხდნენ და კრინტსაც არ სძრავდნენ.

ამირყულიმ დაინახა რა საქმის ვითარება, გაიფიქრა: – „ეს დუნია ისედაც გახვრეტილ გროშად არ ღირს და დილიდან რას შევრჩენივარ ნეტა აქაურობას, თანაც ბუზოვნაში ისეთი ღვინო აქვთ მოტანილი, ისეთი, თავად სეიდსაც კი ნერწყვს გადააყლაპებს და, ამიტომ ახლა რატომ არ ავდგები და რატომ არ წავალ ვითომ აქედანო? – და საჩქაროდ გაიძურნა.

ბალადადამი წამოდგა, შარვლის უკანა მხარე დაიფერთხა, ვერცხლა მალიქსა და ალაქბარს მოადგა და წაუსისინა:

– ის ოცდახუთიანი აიღე და ჯერ იმ შენს ოღრამ სიძეს ააკარი შუბლზე, მერე კი შენი გოგოს თავი მიატაკე მაგის თავს, გაიგე?!“

ეს ძალიან მძიმე სიტყვები იყო.

ვერცხლა მალიქს ბოლო ყლუპი გადასცდა, შემდეგ ერთბაშად გამოფხიზლდა, ერთბაშად გონს მოეგო თითქოს და მხოლოდ ახლა გაისიგრძეგანა, თუ ვის და რა ტონით ელაპარაკებო, თანაც იმასაც მიხვდა, რომ ახლა ბალადადამისთვის სიტყვის შებრუნება არაფრით არ შეიძლებოდა, რომ „აეროდრომის“ კოკარდის ქვემოდან მომზირალი ეს წყვილი თვალი ამ წუთას ცეცხლს აკვესებდა, ამ შოლტივით ბიჭის მთელი ტანი მშვილდით მოზიდულიყო და წკიპზე იდგა; ვერცხლა მალიქმა ხორციანი თვალები ბალადადამს მოაცილა, მერე ჩაიჩანაში მსხდომებს სათითაოდ მოავლო და მხოლოდ ეს ამოილულულა:

– რა უჭირს, ძამიკო, შენც დაგჭირდები ოდესმე!..

– შენნაირს არასოდეს დავისაჭიროვებ!

აქამდე ჩუმად მყოფმა ალაქბარმა მონოლოლი ემოციებისგან ათრთოლებული წვრილი თითებით ჭიქა ლამბაქოზე დადო, ბალადადაშს ახედ-დახედა და ჰკითხა:

– არ დავისაჭიროვებო ამბობ, არა?! ანუ მართლა არასოდეს არ დაისაჭიროვებ?

– მართლა არასოდეს არ დავისაჭიროვებ.

– რა უჭირს... – უცებ ალაქბარს წვრილი სახე დამცინავი ღიმილით დაემანჭა, – რა უჭირს... მაგას თუ არ დაისაჭიროვებ, მე დამისაჭიროვებ!

– არც შენ დავისაჭიროვებ.

– მაგასაც ვნახავთ!

– ვნახავთ!

ბალადადაშმა ეს „ვნახავთ!“ ისე წარმოთქვა, რომ ალაქბარივით დინჯი და მომთმენი კაციც კი დაფეთდა, დაფრთხა, ემანდ ბალადადაში ჩემზე არ წამოვიდესო, მაგრამ აქვე გასულ წელს ბაქოში იურიდიულის კურსდამთავრებული, ამჟამად კი მარდაქანში, მილიციაში მომუშავე თავისი ძმა ალაქარიმი გაახსენდა და გული მოიცა.

ბალადადაშმა ჯერ ალაქბარს შეხედა, შემდეგ სრულიად გამოფხიზლებულ ვერცხლა მალიქს, მერე ეშმაკს მიაფურთხა, ძლივ-ძლივობით გავიდა გარეთ და გასვლისთანავე ახლადშეღებილი, მოჭრიალე კარიც ზურგს უკან გაიჯახუნა.

ჩაიჩი გაზანფარმა გულშეგებით ამოისუნთქა.

ჩაიხანაში მყოფები მშვენივრად მიუხვდნენ, თუ რატომ შეიკავა თავი ბალადადაშმა, რატომ გაეცალა იქაურობას, რატომ არ ატეხა აყალმაყალი.

საქმე ის იყო, რომ ზუსტად ექვსი დღის შემდეგ ბალადადაშს ქორწილი უნდა ჰქონოდა.

ჩაიხანაში მყოფებმა ალაქბარის ორაზროვნებაც კარგად გაიგეს, მიუხვდნენ, თუ რატომ დიდგულობდა ალაქ-

ბარი ასე; მარტო იმიტომ კი არა, რომ მისი უმცროსი ძმა ალაქარიმი რაიონის ცენტრში მილიციელად მუშაობდა

– ეს თავისთავად, თუმცა აქვე ყველას კარგად მოეხსენებოდა, რომ ბალადადაში ასეთ რამეებს, მამამის ალაბაბას მსგავსად, არ დაგიდევდათ; სინამდვილეში, იმიტომ რომ (და ძალის თავიც ზუსტად აქ იყო ჩამარხული!) ალაქბარი სოფლის აბანოს დირექტორი იყო, ხოლო სოფლის ახალგაზრდობა საქორწინო აბანოსთვის ამ უკანასკნელში დადიოდა. ალაქბარი კი აბანოს თავის სურვილისამებრ ხან რემონტის მომიზეზებით, ხან სხვა რამის მოსაბაბებით მსხვილი ბოქლომით კეტავდა, რომლის ახსნასაც დიდი რევერანსები, კარგი ფეშქაში სჭირდებოდა.

ამ სოფელში ქალებს შორის პირველი ქორიკანა მაკლერი ზუბეიდა იყო, ხოლო კაცებს შორის – თავად ჩაიჩი გაზანფარი, შესაბამისად, რა გასაკვირია, რომ ბალადადაშისა და ალაქბარის „ვნახავთების“ ამბავი სოფელში ელვის-სუსწრაფესად გავარდა, რამაც ბალადადაშის საცოლეს, სამედიცინო პუნქტში მედდად მომუშავე ბიქას გულში წრიალი შეუჩინა და არც ღამით აცალა ძილი და არც დღისით დაანება ქორწილისთვის წესიერად მომზადება – ვაითუ, ქორწილამდე ბალადადაშმა რამე შარი აიტეხოსო. ბალადადაშის დედა ალაბაჯი საქორწილო სამზადისისგან წუთით დროს თუ იხელთებდა, ბალადადაშთან მირბოდა ხვენწა-მუდარით: – შეეშვი მაგათ, თავიდან-ბოლომდე შარები არიან, ფულით არიან გამოტენილები, რამე ცუდს არ გადაგყარონო. ბალადადაშის დებმა – ნაილამ, ფირუზამ, ქამალამ, ამალამ, დილშადმა და ბოიუქხანუმმა არ იცოდნენ რა, როგორ მოქცეულიყვნენ, თავიანთი უფროსი ძმის პერანგებს უფრო მეტი გულდასმით რეცხავდნენ, შარვალსა და პიჯაკს უფრო მეტი ყურადღებით უუთოებდნენ, ჩაის, საჭმელს არ უგვიანებდნენ; ბალადადაშსა და მამამისს შორის ურთიერთობა მოკრძალებისა და რიდის საბურველს იქით არ გადიოდა, ამი-

ტომაც ალაბაბამ ბალადადაშთან რამდენჯერმე მრავალმნიშვნელოვნად დაახველა მხოლოდ; ალაქბარის ცოლმა, ანახანუმმა, სანამ გაიხდიდა და ქმარს შეუწვებოდა, თმების ვარცხნა-ვარცხნით კაიხანს ჯერ ბალადადაში აძაგა, ხულიგანი უძახა, – ათალას ჯილაგს⁶ გაფიცებ, ალაქბარ, მოეშვი მაგასო, – სთხოვა, შემდეგ საწოლში შეწვა, თავისი ფერხორციანი ტანით ალაქბარის აწონილ სხეულს მიეგლისა, მერე სულაც მკლავთა შიგან მოიქცია და ურჩია, – გასაღები სამედალას მიეცი, ჩვენ კი ბაქოში, კინოში წავიდეთო; ვერცხლა მალიქი მთელ თავის დღეებს ბაქოში, თავის „ალვიდაში“ ატარებდა, ამის გამო იყო, რომ ბალადადაშიც ავიწყდებოდა და ალაქბარიც, მაგრამ საღამოს, როგორც კი თავის წითელ „ფიგულიში“ ჯდებოდა და სოფლისკენ იბრუნებდა პირს, მომხდარი უცებ ახსენდებოდა და გუნება ეწამლებოდა; სოფლის საბჭოს მდივანმა, სულრამ, ბალადადაშის ბავშვობის ძმაბიჭი – აზიზალა დაიბარა და გააფრთხილა, რომ თუკი ბალადადაში აყალმაყალს ატეხდა, მილიციონერი საფარი საქმის კურსში იქნებოდა, აქვე ისიც დასძინა, რომ თითქოს ალაქბარსაც ასეთი რამ დააბარა, რაც აზიზალამ არ დაიჯერა, რადგან სულრას თავისი ვაჟის მარადაქანში მილიციაში მოწყობა სურდა.

მთელი სოფელი მოუთმენლად ელოდა ბალადადაშის ქორწილს.

სოფელში ასეთი ჭორიც დადიოდა, ვითომ, სოფლის აღსაკალი ყასაბი ალაქიში ამდგარა და ალაქბარაანთსას მისულა, უთხოვია, – დიდი ხანია სოფლის ქორწილები უდავიდარაბოდ ტარდება და, ალაქბარიც ნულარ გააჯანჯლებს, ჩხუბებს ნუ განაახლებსო, – რაზეც ალაქბარს არაფერი უთქვამს, ჩაუღიმი მხოლოდ. სოფლის ერთი ნაწილი

ალაქბარის მდუმარებას იმით ხსნიდა, რომ ქორწილის დღეს ბალადადაშს არ გადაეკიდებოდა, რადგან არც ისეთი გულადი კაცია ალაქბარიო; მეორე ნაწილი კი იმ აზრის იყო, რომ, ალაქბარი რისი ალაქბარია, ბალადადაშს ბოდიში არ მოახდევინოს, არ აჩვენოს, თუ რისი შემძლეა, რადგან ასე თუ არ მოხდა, მაშინ ალაქბარიც და ვერცხლა მალიქიც ხალხის თვალში პატივისცემას დაკარგავენ, აღმოჩნდება, რომ ამათ თურმე არაფრის მომცემი ყოყლოჩინობისა და მამალყინობის მეტი არაფერი შეძლებიათო...

ამირყულის თავისი შუადღის წილი ღვინო დაელია, ახლა კი ჭიშკართან, თუთის ხეს ზურგით მიყრდნობილი იჯდა და სლოკინით ამბობდა:

– უჩხუბრად ქორწილს აბა, რა გემო უნდა ჩაატანო, ჩემო ძმაო?! ის ქორწილი რა ქორწილია, ერთი გემრიელი ზედახორა თუ არ ატყდა! მე ვიყო, რა! ისე, დიდი ხანია, რაც ჩემი დანა არ დამიტრიალებია, ხო იცი... ჟანგი აქვს მოდებული და რაღაც არ მომწონს...

აივანზე ბავშვების ტანისამოსის მრეცხავმა ხეირანსამ ამირყულისკენ გამოიხედა და, ჩურჩულით, სხვამ არ გაიგონოსო, მიანყევლა – „შავი მიწა კი დაგაყარე, ვითომ შენც მაგარი დანის დამიტრიალებელი მყავდე აქა“.

მაკლერ ზუბეიდას რაიონიდან ჩამოსული ერთი სტუდენტისთვის ბაქოში ქირა მოეძებნა და ბალადადაშის ქორწილის დღეს უნდა წასულიყო, მაგრამ საქმე იქამდე მივიდა, რომ ზუბეიდამ, თავის სიცოცხლეში პირველად, სულ მცირე ათ მანეთზე უარი თქვა და ბაქოში არ წავიდა, აინტერესებდა, თუ რითი გასრულდებოდა ეს ამბავი.

ნათესაობამ კარგად იცოდა, რომ ბალადადაში აზიზალას დიდ პატივს სცემდა, ამიტომაც აზიზალა სალდიშად⁷

6. ათალას ჯილაგი – იგულისხმება ისლამის წინასწარმეტყველის ჩამომავალი, ერთ-ერთი სეიდის-ათალას საფლაგი, რომელიც წმინდად ითვლება და საპილიგრიმო ადგილია. გადმოცემის თანახმად, მას ძვალი არ ჰქონია და ამიტომაც „ათალა“, ანუ „ხორცუფალი“, ან „ხორცა ბატონი“ შეერქვა. „ათალას წინაპრებში“ კი შიიზმის იმამები და თავად ღვთის მოციქული იგულისხმება.

აირჩიეს. აზიზალამაც ბიქასთან დააბარა, ხოლო ალაბაბას პირადად დაჰპირდა არხეინად ყოფილიყვნენ:

– შენ არ ინერვიულო, ალაბაბა ბიძია. აქ არა ვარ?!
 ალაბაბამ აზიზალას გახედა, აი, თქმით კი არაფერი უთქვამს, რადგან სოფლის ახალგაზრდობასთანაც დისტანციას იჭერდა, ასე რომ, ახლა თავისი ბრაზისა თუ ნაღველის გამოხატვით ვერ ამჩატებოდა ამხელა კაცი.

იმ დღეს უჩვეულოდ თბილი დარი დადგა, გეგონება შემოდგომის ბოლო დღე კი არა, შუა გაზაფხული ყოფილიყო. იმ დღეს თითქოს სოფელს შემორტყმული კლდეებს, ვენახებს, ქვიშნარს, ზღვას გაზაფხულობანას თამაში გადაენწყვიტათ, თითქოს ლეღვის, ბრონეულის, კომპის ფოთოლთა სიყვითლე სადღაც გამქრალიყო და იმ სიყვითლის მაგიერ რაღაც ოქროცურვილი ნათელი მოჰფენოდა სოფელს. ქალებსა და გოგონებს შორის მჯდომარე ბიქამ, ფანჯრებიდან თავიანთ ოქროცურვილ სოფელს რომ გაჰყურებდა, გულში შეჩენილი წრიალით თქვა:

– ღმერთმა ჯანმრთელად მიმყოფოს მისი თავი! მის ბედზე რა კარგი ამინდი გამოვიდა, დახე! ეს მაგიტომაა, სუფთა გული რომ აქვს ჩემს ბალადადაშს... ღმერთმა მისი თავი არ მოგვაკლოს!
 მაკლერი ზუბეიდა ასეთ შემთხვევებში ასაკს არ დაგიდევდათ, ახალგაზრდა ქალების წრეში გაერეოდა ხოლმე. ერთს თამამად გაეხუმრებოდა, მეორეს თვალს ჩაუკრავდა, მესამეს დაემანჭებოდა, მაგრამ ახლა ისიც წყანარად იდგა ფანჯარასთან და ამინდსა და სოფელს აკვირდებოდა. როცა ბიქას სიტყვები მოესმა, ვითომდა გულდამწვარმა, ხვნეშით, მრავალმნიშვნელოვნად ამოიძახა: – ამინ! – ოღონდ ისე, ბიქას ბალადადაშზე დარდი რომ გაუასკეცა.

ახალგაზრდებს სეფა გაეშალათ, ალაბაბას მაშტალადან მომღერალი მოეპატიჟა, რომელსაც თან თავისი დამკვრელთა დასიც ახლდა. იმასაც ამბობ-

დნენ, თავად ჰაჯიბალა ჰუსეინოვი უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ ვერ მოუხერხებია, რადგან ბაქოს კვებითი ტრესტის მუშაკების დღისთვის მიძღვნილ კონცერტზე მონაწილეობის მისაღებად წასასვლელი შეეჩილაო. ბოზბაშის მოსამზადებლად მთელ ამ მხარეში განთქმული ბოზბაშის უსტაბაში, საბავშვო ბალის მზარეული ჰუსეინყული მოენვიათ და ამიტომაც, სოფლის პირველ ბოზბაშის მჭამელ ექიმ ალალის დილიდან ენაზე არაფერი გაეკარებინა, რათა ჰუსეინყულის ბოზბაშის გემო მთელი სისავსით შეეგრძნო და გემო განსაკუთრებულად ჩაეტანებინა.

იმ ოქროცურვილ, ნათელ დღეს სოფელში ხმა გავრცელდა, რომ თურმე ალაქბარი აბანოში საკუთარი ხარჯებით გაკეთებულ კაბინეტში იჯდა, რაღაც ქალაღებებსა და ფურცლებს აწესრიგებდა და თან ამბობდა:

– სამედალა გამეთავისუფლა დღეს, თავის ეზოში ყვავილებს უნდა მიხედოს. ვუთხარი, საჭიროების შემთხვევაში გამოგიძახებ-მეთქი...

სამედალა აბანოს ცეცხლფარეში იყო. რა თქმა უნდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ან თავად ბალადადაში, ან ალაბაბა მოვიდეს ჩემთან, ანდა ვინმე მომიგზავნონ, ბოდიში მოიხადონ, თავზე ნაცარი დაიყარონ და მერე ვნახოთო; ბალადადაში კი ახლა, ამოდენა ხალხში, საქორწინო აბანოსთვის ბუზოვნაში ანდა შუველანში ხომ არ წავიდოდა, ხოლო ნეფის საქორწინო აბანოში წაუსვლელობა არც ბალადადაშს ეკადრებოდა და არც ალაბაბას.

ნაცნობ-მეგობრებმა ბალადადაშის ხასიათი ხუთი თითივით იცოდნენ და ამიტომაც, საქორწინო აბანოს დრომ რომ მოაღწია, ყველა სახტად დარჩა და ვერ მიხვდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო; ერთმა თქვა: მოდი წავალ და ალაქბარის დედის ხსენს ცხვირში ამოვადენო, სხვებმა დაუშალეს – ეგება ბალადადაშს არ მოენონოსო, მეორემ თქვა – წავალ და დანას გაფუყრი მუ-

7. სალდში – იგივეა, რაც მეჯვარე. პატარძლის მეჯვარეს სოლდში ჰქვია.

ცელში ვერცხლა მალიქსო, უთხრეს – ბალადადამის ქორწილში სისხლის დაქცევა არ გამოვაო. ბოლოს ისევ აზიზალას გახედეს. აზიზალაც ბალადადამთან მივიდა:

– ადე, აბანოში წავიდეთ! ვინ მიგდია, ბიჭო, ალაქბარი?! მაგას ვინ კითხავს?! კაცს სიცოცხლეში ერთხელ საქორწინო აბანო აქვს და... წავიდეთ, შენ ნუ ჩაერევი, მე თვითონ ვეტყვი, სამედალას დაუძახოს და ცეცხლი დაანთებინოს. მე ვიცი, როგორც დაველაპარაკები!

ბალადადამმა ახლად დაუთოებულ შარვლის უკანა მხარე დაიფერთხა და დაიძახა:

– შენ არ მიცნობ, თუ რა ხდება? – და თან ისე დაიძახა, თითქოს ეჭვობდა ბავშვობიდან ერთ უბანში გაზრდილი აზიზალა მას მართლა იცნობდა თუ არა.

აზიზალამ დაიძახა და გულს შემოენტო:

– კარგი! შენს ძმობას ვფიცავარ, აი, ამ წუთას ვერცხლა მალიქს ვიპოვი და, თუ თვითონ არ მივა და მაგ ნაძირალას აბანოს არ დაანთებინებს, ნანლავებს გადმოვყარევენებ!.. – თქვა აზიზალამ და ის-ის იყო ოთახიდან გასვლა ინდომა, რომ ბალადადამმა კედელზე გაკრულ ხალიჩაზე ჩამოკიდებულ ორლულიან თოფს დაავლო ხელი, კონდახი მკერდზე მიიბჯინა, ხოლო ლულას აზიზალასკენ უქნა პირი:

– მიდი, წინ იარე!

– გაგიჟდი, ბიჭო?

– წინ იარე-მეთქი, გეუბნები! – ბალადადამმა ეს ისე ამოთქვა, რომ აზიზალას ოხუნჯობაზე ეჭვის ნატამალიც კი არ დაურჩა.

– მოიცა!..

– ჩემზე კარგად იცი, ასეთი ხუმრობა რომ არ მიწევია! წინ იარე!

– კი, მაგრამ, საით?

– აბანოსკენ!

– სისხლი გინდა დაღვარო? ცოდოა, ბიჭო, ბიჭა...

– წინ იარე!

აზიზალამ გულში ალაქბარის ჯიშჯილაგს აგინა, წამისუსწრაფესად გაიფიქრა, რომ ამ ნაძირალა, მამაძაღლმა

ალაქბარმა ყველანი შარში გაგვხვია და ეგ არის, ძლივს პურის ფულს ვმოულობდითო (აზიზალა მართლს ამბობდა, სულ ახლახან სოფლიდან ბაქოში, ბაქოდან კი სოფელში მომავალი სამარშრუტო ტაქსის მართვა დაეწყო და ეს სამსახურიც ძალიან დიდი ხათრის წყალობით მიეცათ აზიზალასთვის).

აზიზალა – წინ, ხელთოფიანი ბალადადამი კი – მის უკან. სახლიდან რომ გამოვიდნენ, აბანოსთვის განკუთვნილი ბოხჩები ოთახში დარჩათ, ეზოში კი იმ წამსვე დიდი ვაიუშველებელი და ორომტრიალი ატყდა. მზარეული ჰუსეინყული ამასობაში თუთის ხის ქვეშ ბოზბაშისთვის ხახვს ფრცკვნიდა. აზიზალას უკან მომავალ ხელთოფიან ბალადადამს რომ ჰკიდა თვალი, კაცმა სიცოცხლეში პირველად ხახვის მაგიერ თითი გაიჭრა; ფანჩატურში ჩაის სმითა და ყალიონის ნევით გართულ, საღამოს ქორწილის მომლოდინე მამტაღელ მომღერალს მთელ თავის გუნდთან ერთად თვალეები დაებლიტა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მომღერალს ბევრი ქორწილი ჩაეცილებინა; ქალებმა კივილი მორთეს, ახალგაზრდები, ბავშვები ბალადადამს გაეკიდნენ; ამირყული კვლავაც ჭიშკართან იჯდა და ზურგით თუთის ხეს მიყრდობოდა, ქვეყანა ისევ არაფრად უღირდა, მაგრამ აზიზალა, ბალადადამი და მათ კუდში ახალუხლებიც რომ დაინახა, ადგა და ისიც შეუერთდა. ეს ამბავი ალაბაჯის რომ მიუვიდა, ქალმა სახე ჩამოიხოკა: „ვაიიი! – ამოიკივლა, – სახლ-კარი დაგვექცა! წავა და მოკლავს იმ მეაბანოე ოღრამ ალაქბარს!“ და მწუხარებისაღმოკიდებული ეზოში შევარდა; ალაბაბამ კი წარბები შეიჭმუნა, ისევ არაფერი უთქვამს, თუთუნისგან გაყვითლებულ თითებს შორის მოქცეული სიგარეტი ლედვის ხისქვეშ მოისროლა და ახალს მოუკიდა; თვალისდახამხამებაში ამბავმა ბიქასთან რომ მიადნია, გოგონას გული წაუვიდა, მაკლერმა ზუბეიდამ თავი დანანებით გაიქნია და გაიხსენა, რომ ამ სოფლის ქორწილში კაცი ბოლოს ოცი წლის წინ მოკლესო. აფსუს,

ბალადადამ! სახელმწიფო აუცილებლად დახვრეტსო.

ხელთოფიან ბალადადამს აზიზალა ნინ გაუგდია და აბანოში მიდისო, – მთელ სოფელში ყუმბარასავით გასკდა და ეს ხმა თავის კაბინეტში მჯდომარე, ყასიდად ქალაქების მონესრიგებით დაკავებულ ალაქბარსაც მისწვდა, რამაც ერთ წუთში ის განთქმული სიღინჯეც დაუკარგა, სიდარბაისლაც და ერთი გაფიქრებით გაიფიქრა, მოდი სოფლის საბჭოდან რაიონის ცენტრის მილიციასში მომუშავე ჩემს ძმას დავურეკავო, მაგრამ გარეთ გასვლა ვერ გაბედა, უბედურების განცდამ მთელ ტანში დაუარა და თავისთვის მწარედ ჩაილაპარაკა: „ვახ, ჯიგარი კი დაგენვას მალიქ, ტრამვაისაც მოჰყოლიხარ ქვეშ. რომელ ძალსა და მამაძალს დაჰყრია შენგან ხეირი, შენი გულისთვის მეც რომ შარში გავყავი თავი?“, შემდეგ ალიაქოთის ატეხვა მოინადინა: „მიშველეთ ხალხო, მომკლავს ეს გიჟი“-ო, მაგრამ ახლა ხალხისაც აღარ ეიმედებოდა, ამიტომ აბანოს კარი შიგნიდან საგულდაგულოდ ჩარაზა, შემდეგ კაბინეტში იმ იმედით ჩაიკეტა, რომ, სანამ ბალადადამი ამ კარებს შემოანგრევდა, მილიციელი საფარიც მოუსწრებდა, ნესით, თუმცა ალაქბარმა არ იცოდა, ეს ამბავი მილიციონერ საფარს რომ მიუვიდა, ზუსტად იმ მომენტში, ჯამაათმა ნახა, რომ, არა შვილოსან, ბალადადამი აბანოსკენ არ მიდის რალაც, სოფლიდან გადის და სანაპიროს კლდეებისკენ უჭირავს გეზი.

– გასწიე რა ეგ თოფი!.. ხომ ხედავ, სადაც მეუბნები, მიგყვები...

– ხმა-მეთქი!

სოფელი უკან დარჩა, ისინი კი კლდეებს ჩამოსცდნენ და ზღვის ნაპირას გავიდნენ.

შემოდგომის იმ ოქროცურვილ უკანასკნელ დღეს ზღვის, ქვიშის, კლდეებისა და მთლიანად ამ მხარის თავზემთ დიდრონი, ფითქინა, ფაფუკი ღრუბლები შეყინულიყვნენ, რომელთა შორისაც ალაგ-ალაგ ცის სილაჟვარდე გამოკრთოდა. ზღვას მუქი-მწვანე დაჰ-

კრავდა, ჰორიზონტზე კი ლურჯი ხაზი განოლილიყო, რომელიც თითქოსდა ზღვას ორ ნაწილად ჰყოფდა, თითქოსდა იმის იქით ზღვის მეორე, უფრო სუფთა და ლურჯი ნაწილი იწყებოდა.

კლდეებიდან ქვიშნარზე ფეხი დააბიჯეს თუ არა, ბალადადამი თოფის ლულა ცისკენ აიშვირა და ჰაერში ორჯერ დაცალა, რითაც სანაპიროს შემოდგომური მყუდროება ერთბაშად დაირღვა, შემდეგ თოფი გვერდზე მოისროლა, ზღვისკენ გაიქცა, რბენა-რბენითა და გახდა-გახდით ზღვაში ჩაესო. მისი ამაღლა თითქოს მხოლოდ ამის შემდეგლა ჩასწვდა საქმის არსს და, აზიზალადან მოყოლებული, ყველა ყიჟინითა და საერთო ჟრიაშულით, ასევე სირბილითა და ტანსაცმლის გახდით, დედიშობილა ჩაცვივდა ზღვაში. შემოდგომა და ყინულივით ცივი ზღვა აინუნშიც არ ჩაადგეს. შემოდგომის ამ ბოლო, მზიან დღეს სანაპიროსთან წყნარად მოცურავე თევზები ამგვარი უცაბედი შემოტევისაგან, დგაფუნისაგან, ჩქაფუნისაგან, უეცარი ზღვაოდენი სიხარულის ყიჟინისაგან დაფრთხნენ და მოულოდნელად გადელეებულ ამ სანაპიროს ზღვის სიღმეებისკენ გაეცალნენ.

უცბად უცნაურმა ამბავმა იხდომილა: ამირყული წყლიდან მთელი ძალით ზემოთ ახტა და ასევე მთელი ძალით დაიყვირა:

– ალაქბარ! ჰაი ალაქბარ! – რაც სხვა მობანავეებმაც აიტაცეს. ისინიც ჯერ კანტიკუნტად, მერე კი ერთხმად წყლიდან ახტნენ და დაიყვირეს: – ალაქბარ! ჰაი ალაქბარ!

ამ ჟრიაშულმა, ხელების ზღვის ზედაპირზე ტყლაშუნმა სექტემბრის აქეთია სრულ სინყნარეს, მხოლოდ ქარის ნივილსა და ზღვის ბლუილს მინებებული მთელი სანაპირო აიტაცა. სანაპიროს ასეთი მოულოდნელი გამოცოცხლებისაგან დამფრთხალი თოლიები და წინტალეები აფრინდნენ და მობანავეების თავზემთ ჟივილ-ხივილით აირიგნენ.

– ალაქბარ! ჰაი, ალაქბარ!

– ალაქბარ! ჰაი, ალაქბარ!

– ალაქბარ! ჰაი, ალაქბარ!

და ზღვაში მობანავე ნელანდელი ამაღა, ბალადადაშისა და აზიზალას მოთავეობით, ჟრიამულითვე დაბრუნდა სოფელში. მათ გამოსაგებად გამოსულმა სოფლის ჯამაათმაც ნეფისა და სალდიშის რაზმი ამ შეძახილებით მომავალი იხილა:

- ალაქბარ! ჰაი, ალაქბარ!
- ალაქბარ! ჰაი, ალაქბარ!
- ალაქბარ! ჰაი, ალაქბარ!

და როცა აბანოს გაუსწორდნენ, ბალადადაში შედგა, ყველა გაიღურსა და ბალადადაშმაც დაიძახა:

- ეი, ალაქბარ! ა, შენ და ა, შენი აბანო! ზღვაში ვიბანავე მე! ამიტომ ჩემი ბიჭი... - აქ წინადადების დასასრულებლად ბალადაშმა საჭირო სიტყვას ვერ მიაგნო, თუმცა იგრძნო, რომ რაღაც განსაკუთრებული, მოსხლეტილი რამ უნდა თქმულიყო. - ჩემი ბიჭი... - და მიაგნო ბალადადაშმა. - ჰო, ჩემი ბიჭი ზღვას დაემგვანება, მაგ შენს დაფხავებულ აბანოს კი არა!

შემდეგ ყველა კვლავაც უწინდებური ჟრიამულით ქვემო სოფელში გაშლილ საქორწინო სეფისკენ გაემართა.

ამ დროს ვერცხლა მალიქი ალაქბა-

რის აბანოსგან საკმაოდ მოშორებით იდგა, რადგან არ სურდა, რომ ამ დღეს ხალხს ის ამ ჩერჩეტი ალაქბარის აბანოს სიახლოვეს შეემჩნია.

რაც შეეხება ჩაიჩი გაზანფარს:

- მე ვიყო, ნაჯაფ, ზუსტად ერთი კვირა... - ჩაიჩი გაზანფარმა აქ სიტყვა არ დაასრულა, რადგან მათთან ახლოს მდგომ და მოყურადე ამირყულის მოჰკრა თვალი, ამიტომაც მასაც მიმართა და განაგრძო: - ბიჭო ამირყული, შენც, ორივეს, ზუსტად ერთი კვირით ჩაიჩე გპატიჟებთ. ერთ კაპიკსაც არ გამოგართმევთ, დანვეულები ხართ, მე ვიყო! ვახ, ეს რა ცირკი გამოდგა! - ამბობდა და სიცილით მუცელს ძლივს იჭერდა ჩაიჩი გაზანფარი.

სოფელში სამართლიანობისთვის ნომერ პირველ მებრძოლ, ბიბლიოთეკარ ნაჯაფს მუქთა რამეები ჭირის დღესავით სძულდა, მაგრამ დღევანდელი ამბის შემდეგ ჩაიჩი გაზანფარის შემოთავაზება უყოყმანოდ მიიღო და:

- მოსულა, ძამიკო! - უთხრა და გაიცილა.

აზერბაიჯანულიდან თარგმნა
ოქტაი ქაზუმოვა

ჯოის კეროლ ოუტსი



ჯოის კეროლ ოუტსი – ამერიკელი მწერალი. დაიბადა 1938 წლის 16 ივნისს, ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ლოკპორტში. ლიტერატურით ადრეული ასაკიდანვე დაინტერესდა. ლუის კეროლის ნიგნს – „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“, რომელიც მას ბებიამ აჩუქა, ოუტსი „თავისი ბავშვობის უძვირფასეს საგანძურს და ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ლიტერატურულ გავლენას“ უწოდებს. ოუტსმა წერა თოთხმეტი წლის ასაკში დაიწყო, როცა ბებიამ საბეჭდი მანქანა აჩუქა. სწავლობდა სოფლის სკოლაში, მოგვიანებით კი ქალაქის გარეუბნის სასწავლებლებში გადაინაცვლა. ლიტერატურული მოღვაწეობა 1963 წელს დაიწყო და მას შემდეგ ორმოცდათვრამეტი რომანი, პიესები, ნოველები, მემუარები და მრავალი მოთხრობის, ლექსებისა და ესეების კრებული გამოაქვეყნა. მწერალი არაერთი ჯილდოს მფლობელია, მათ შორისაა ნიგნის ეროვნული პრემია (1970), ორი ო. ჰენრისპრემია და იერუსალიმის პრემია (2019).

1978-2014 წლებში ოუტსი პრინსტონის უნივერსიტეტში ასწავლიდა. ამჟამად იგი კალიფორნიის უნივერსიტეტის მონვეული პროფესორია, სადაც მცირე პროზას ასწავლის.

2016 წელს ოუტსი ამერიკის ფილოსოფიური საზოგადოების წევრი გახდა.

ბედნიერი

გოგო საშობაოდ შინ გაფრინდა, დედა და დედამისის ახალი ქმარი აეროპორტში დახვდნენ. დედამ გულში მაგრად ჩაიკრა და უთხრა, რომ მშვენივრად გამოიყურებოდა და დედამისის ახალმა ქმარმაც ხელი ჩამოართვა და უთხრა, რომ, დიახ, ნამდვილად მშვენივრად გამოიყურებოდა და „კეთილი იყოს შენი შინ დაბრუნება“-ო. კაცს მსუქანა ლოყების ჩამოყოლებაზე ბაკენბარდები გვარიანად მოეშვა, რომელთაც ფერი ეცვალათ და სახის ქვემო ნაწილში გაჭალარავებოდა. კაცმა გოგოს პატარა და ნოტიო ხელი შეიგრძნო, ხელის ჩამორთმევისას ძვლებმა რომ ტკაცანი გაიღო. დედამ ისევ ჩა-

იკრა გულში. „ღმერთო, რა ბედნიერი ვარ, რომ გხედავ“-ო. ხელებზე სისხლძარღვები იმაზე მეტად ამოყროდა, ვიდრე გოგოს ახსოვდა. გამხდარი მკლავები ჰქონდა, თუმცა გოგოს დედა მაინც ბედნიერი იყო, ამკარად ემჩნეოდა. ყელამდე ოსტატურად შეზელილი, ატმისფერი სურნელოვანი მაკიაჟი სახეზე ბლინივით დატყეპოდა. მარცხენა ხელზე ახალი ბეჭედი ეკეთა: მომცრო, კამკამა ბრილიანტის თვალი თეთრი ოქროს კბილანებს შუა იჯდა.

დასალევად იზი სელის გზაგასაყართან შეჩერდნენ. გოგომ დაგრეხილლანიმიანი კლუბური ტონიკი დალია („რა უცნაურია“, – თქვა დედამისმა), გოგოს

დედამ და მისმა ახალმა ქმარმა გაუზავებელი და ყინულებიანი მარტინი შეუკვეთეს, რომელიც მათი „სადღესასწაულო“ სასმელი იყო. ცოტა ხანს გოგოს სწავლისა და სამომავლოდ რას აპირებდა, იმის შესახებ ისაუბრეს და, როცა თემა დასრულდა, მერე, საკუთარ გეგმებზე გადავიდნენ. პირველი, რაც გადანყვეტილი ჰქონდათ, ძველი სახლის თავიდან მოშორება და გაცილებით პატარა, ახალი სახლის შექმნა ან, შესაძლოა, დროებით დაქირავება იყო. „მდინარის პირას ახალი კერძო სახლების კომპლექსით დასახლებული სოფელია“, – თქვა გოგოს დედამ, – „დაგანახებ, როცა ჩავუვლით“; მერე რალაცაზე ჩაიღიმა, მარტინი გადაჰკრა, გოგონას მკლავზე ხელი მოუჭირა და ხითხითით თავი თავზე მიადო. „იესო, ბედნიერი ვარ, როცა ის ორი ადამიანი, ვინც სამყაროში ყველაზე მეტად მიყვარს, ჩემ გვერდითაა. ზუსტადაც აქ, ზუსტად ახლა“. შავი ატლასის მჭიდროდ მორგებულ ფორმის შარვალში გამოწყობილმა მიმტანმა ქალმა კიდე ორი მარტინი და ლუდზე მისაყოლებელი თხილით სავსე მინის მომცრო ფიალა მოიტანა. „გმადლობ, ძვირფასო!“ – თქვა დედამისის ახალმა ქმარმა.

მანამდე გოგო დედას მისი ხელმეორედ გათხოვების გადანყვეტილების შესახებ მხოლოდ ორ ან სამჯერ თუ ესაუბრა. ერთმანეთს ყოველთვის შორი მანძილიდან ესაუბრებოდნენ ხოლმე და დედაც ერთსა და იმავეს იმეორებდა, რომ დიახ, ეს გოგოსთვის, მართალია, მოულოდნელი იყო, თუმცა ასეთი რამ ყოველთვისაც ხდება, მან ეს იცის ან საერთოდ არ იცის, მოიცადე და ნახავ. გოგონა ძალიან მოკლედ ესაუბრებოდა, „დიახ!“, ან „არ ვიცი“ ან „ასე ვფიქრობ“, – ჩაიბუტბუტებდა ხოლმე. დედამისი ჩახლერილი ხმით ამბობდა, რომ კაცმა მას სიცოცხლე დაუბრუნა. „იცი, თავს ისევე ქალად ვგრძნობ!“ და გოგოს პასუხის გაცემა ძალიან ეუხერ-

ხულეობდა. „თუკი ბედნიერი ხარ, მაშინ...“ – მიუგო გოგომ.

თითქმის უკვე ცხრის ნახევარი იქნებოდა და გოგოს შიმშილისგან თაბრუ ესხმოდა, მაგრამ დედამისი და მისი ახალი ქმარი უკვე მესამე წრეზე სვამდნენ.

იზი სელში გასართობი იყო: ჯერ პიანისტი, რომელიც ჰოუგი კარლმაიკლის¹ ძველ საყვარელ მუსიკას ფონად უკრავდა, მეორე – შავგვრემანი, დეკოლტე, კილტებთ მორთულ წითელ კაბაში გამოწყობილი მომღერალი ქალი და კიდევ ერთი ახალგაზრდა, ასე ოცდაექვსს მიტანებული, მომცრო, ზედმეტად გამხადრსახიანი ქალი, არანაირი მაკიაჟით, მუქი ნაბლისფერი თმის პანკური ვარცხნილობით, შავი, ხელოვნური ტყავისგან შეკერილ, გასანთლულ სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი, ვოგის მოდელის პოზა რომ ეჭირა და მოძრაობებით სექსუალურ აქტს განასახიერებდა, უტიფრად, უემოციო გამომეტყველებით თავისთვის ბუტბუტებდა. ფიქრებს ისე ახმოვანებდა, თითქოს კლუბის კლიენტებმა მხოლოდ ეს-ესაა გაიგონესო: „დილის საათებში აბორტის გაკეთება იმითაა უკეთესი, რომ შეგიძლია მთელი დღე შენზე მაღალ გოგოსთან ფეხზე მდგარმა ისექსაო, ხომ ასეა? ჯაკუზში ექვსი ასეთი ადამიანი ეტევა. უჰ, ლესბოსელები ცხელ ავზში, როგორც ვიცი, ამ თამაშს „მუზიკლ ჰოლი“ ჰქვია. უჰ, შესაძლოა, ნიუ ჯერსიში მის შესახებ ჯერაც არავინ იცის, ამიტომაც არავინ იცინის, ჰაა?“ – სიტყვებს ძალიან სწრაფად წარმოთქვამდა და გოგოსთვის ძნელად გასაგონი იყო, მაგრამ ჩანდა, რომ დედამისსა და დედამისის ახალ ქმარს ესმოდათ, ყოველ შემთხვევაში, იცინოდნენ, თუმცა ამის შემდეგ დედამისის ახალმა ქმარმა გაანდო, რომ ქალების პირიდან ბილნსიტყვაობას ვერ მოინონებდა, იმისდა მიუხედავად, ისინი ლესბოსელები იყვნენ თუ არა.

1. ჰოუგი კარლმაიკლი -(1899-1981) ამერიკელი მუსიკოსი, კომპოზიტორი, მსახიობი და ადვოკატი

სადილისთვის თერნპაიკამდე ათი მილის დაშორებით მდებარე პოლონეზიურ რესტორანთან შეჩერდნენ. გოგოს დედამ აუხსნა, რომ სახლში წესიერი საქმელი არაფერი ეგულებოდა, ამას გარდა, „უკვე გვიანიცაა, ხო?“ ხვალ გვარიან სადილს მოამზადებს. „არაუშავს საყვარელო, არა?“ ის და მისი ქმარი წაიჩხუბნენ, თერნპაიკში შესულიყვნენ თუ პირდაპირ გზა გაეგრძელებინათ, თუმცა სადილზე კვლავაც ამაღლებული განწყობა დაეუფლათ, გემრიელადაც იცინოდნენ, კერძების მოტანის მოლოდინში ერთმანეთს ხელს უჭერდნენ და ღია ფერის ტროპიკულ სასმელს მაღალი, მაცივრიდან გამოღებული ყინულით საესე ჭიქებით

სვამდნენ.

„იესო, ვგიჟდები იმ ქალზე“, – უთხრა გოგოს დედამისის ახალმა ქმარმა, როცა დედა ტუალეტში იყო. „დედაშენი მაღალი დონის ქალბატონია“, – თქვა კაცმა. მოწნული სავარძელი გოგოსთან ახლოს მიაჩოჩა, ოფლიანი და კეთილგანწყობილი, ხორცსავსე, მისკენ გადაიხარა, ხელი მხრებზე მოხვია. „ამ სამყაროში ამ ქალბატონზე ძვირფასი არავინ გამაჩნია, მსურს, რომ შენ ეს იცოდე“, – თქვა კაცმა და გოგომ თქვა, „დიახ, მე ეს ვიცი“ და დედამისის ახალმა ქმარმა ლამის ტირილით, გამწარებული ხმით თქვა, – „სავსებით მართალი ხარ, საყვარელო, შენ ეს იცი“.

ინგლისურიდან თარგმნა
მაია ბოლაშვილმა